დაბრუნება „თავისუფლების კუნძულზე“ და სხვა **გვ. 08**

შესაძლებელია თუ არა „გერმანული კედლის“ დაძლევა? **გვ. 20**

ინტერვიუ ნიკა რურუასთან **გვ. 12**

გავშვები გავშვობის მიღმა **გვ. 40**

ლიტერატურა, რომელსაც სექსი ძლიერ უყვარდა **გვ. 62**

ვერნახული თამაშები **გვ. 86**

ლიბერალი

№ 161 / მაისი 2015

ISSN 1987-7528

9 771987 752008

ფასი 5 ლარი

1737
2015

ხეობა ჩიღლიში

გვ. 24



ბრიტანულ-ქართული აკადემია
BRITISH-GEORGIAN ACADEMY

საერთაშორისო სკოლის ახალი კამპუსი ლისზე

10 000 კვადრატულ მეტრზე გადაჭიმული კამპუსი
თემატურად დატვირთული მწვანე ზოლი და ეკოლოგიურად სუფთა გარემო

შემეცნების ცენტრი და მრავალფეროვანი ბიბლიოთეკ

უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი შიდა და გარე სასწავლო სივრცეები; მრავალფუნქციური მეცნიერების, ხელოვნებისა და ტექნოლოგიების ოთახები

შენობის თანამედროვე არქიტექტურა:
აკადემიური, ადმინისტრაციული და სპორტული ბლოკები



სპორტული კომპლექსი: საცურაო აუზი, ჰოკეის, ფეხბურთის, ჩოგბურთის, კალათბურთისა და საციგურაო მოედნები, საველოსიპედე ბილიკი

+(995 32) 2 251 253; +(995 32) 2 294 295
www.bga.ge

ლიბერალი

№ 161 / მაისი 2015

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ვარდიაშვილი

ჟურნალის რედაქტორი
გიორგი ჭეიშვილი

პოლიტიკის რედაქტორი
ირაკლი აბსანძე

ვებგვერდის რედაქტორი/
მედიაგანვითარების
დირექტორი
ლიკა ზაკაშვილი

ახალი ამგების რედაქტორი
დათო გამისონია

ფოტორედაქტორი
ლევან ხერხეულიძე

ჟურნალისტები
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, გიორგი ჭეიშვილი, ქეთევან ღვედაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მაღალდაძე, სოფო აფციაური, თეი კანაშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი, დათო გამისონია

კონტრიბუტორები
ლევან ახალაია, კორნელი კაკაჩია, გვანცა კვინიკაძე, ერეკლე მუმლაძე, ლევან ბერძენიშვილი, გიორგი კეკელიძე, ირაკლი ხვადაგიანი, ზურაბ გურიელიძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, ლიზა ადეიშვილი

ჟურნალის დიზაინერი
თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი/
კორექტორი
ნათია ორმოცაძე

ახალი ამგების სტილისტ/
კორექტორი
ნინო კალატოზიშვილი

ბიზნესგანვითარების
დირექტორი
ქეთევან ქავთარაძე

კომუნიკაციის მენეჯერი
ელენე ხარაზაშვილი

პარტნიორებთან ურთიერთობის
მენეჯერები
ირმა მოსულიშვილი,
ანდრო ჯანიაშვილი

ადმინისტრაციული მენეჯერი
მზია კუბლაშვილი

დისტრიბუტორი
გიგი ნაზარაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით:
247 02 46

www.liberali.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორის სვეტი

პრიორიტეტი

პანკისი ზაფხულში განსაკუთრებით ლამაზი სანახავია. მთებით გარშემორტყმული, მწვანედ ახასხასებულ ბაღებსა და ვენახებში ჩაფლული ხეობა მიმზიდველ იერს, მოუწესრიგებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და რამდენიმედღიანი წვიმის მიუხედავად, არ კარგავს. მომცრო ზომის სახლები სუფთა და მოვლილი ეზოებით გამოირჩევა.

სტუმრობისას ადგილობრივთა ხაზგასმული თავაზიანობა შესამჩნევ დაძაბულობას ვერ ფარავს. ჟურნალისტებთან ურთიერთობას ყოველი მათგანი არ გაურბის, თუმცა არის თემები, რომელზე საუბარსაც გაჩუმებას არჩევენ.

რჩება განცდა, რომ ხეობა საფრთხის მოლოდინში გარინდულა. თუ რა საფრთხეზეა საუბარი, ამის დეტალებს წინამდებარე ნომერში, ვრცელ რეპორტაჟში წაიკითხავთ. პანკისელები ხელისუფლების მეტ აქტიურობას, მეტ ჩართულობას, დახმარებას ელიან.

თუმცა, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელის პრიორიტეტები სხვაგვარია, მის დღის წესრიგში ჯერ დგას საკითხი – როგორ დაარწმუნოს მოსახლეობა, რომ არ უჭირს, რომ ლარი კარგად იქცევა, რომ სიღარიბე განსაკუთრებული პრობლემა არ არის, რომ ისტერიული სამთავრობო ცვლილებები ჯანსაღი პოლიტიკური პროცესია, რომ გაშვებული მინისტრები, გათავისუფლების მიუხედავად, მადლობას იმსახურებენ, რომ მთავარი პრობლემა რეალობა კი არა, მათ წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდაა...

P. S. მიმდინარე თვეში „ლიბერალს“ დაარსებიდან 6 წელი უსრულდება. რედაქციის სახელით ყველა (ყოფილ თუ ახლანდელ) თანამშრომელს, მკითხველსა და მეგობარს გმადლობთ და გილოცავთ. ჩვენ თქვენთან ერთად, თქვენი დახმარებით, თქვენთვის ვმუშაობთ.

ზურაბ ვარდიაშვილი, მთავარი რედაქტორი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი თემა

ხეობა ჩიღირში

ჩვენ მას ვუყვებით სპეციალური რელიგიური სასწავლებლების, ე.წ. ჰუჟურების შესახებ, სადაც, ადგილობრივთა თქმით, არაბულ ენასა და ყურანს ბავშვებს ინტენსიურად ასწავლიან. ჰუჟურები კარგად დაფინანსებული დაწესებულებებია, სადაც არაბული ენის შესწავლისთვის ბავშვები ფინანსურ წახალისებასაც იღებენ. თავდაპირველად ახმეტის რაიონის გამგებლის მოადგილე პარალელს სხვადასხვა ენების შესწავლასთან ავლებს. „ინგლისურს რომ სწავლობენ ბავშვები, განა ეს ცუდია? – კითხვას სვამს ის. თუმცა მას შემდეგ, რაც დაფინანსების წყაროებზე ვკონკრეტდებით, გვეუბნება, რომ არც ჰუჟურების და არ მათი დაფინანსების შესახებ არაფერი იცის, და რომ ამ საკითხს შესაბამისი ორგანოები უნდა იძიებდნენ.

ზურაბ ვარდიაშვილი, გიორგი ჭეიშვილი
03.24

ინტერვიუ

ნიკა ჩუჩუას განმანათლებლური იდეები და ბუნდოვანი პოლიტიკური ამბიცია

კულტურის ყოფილ მინისტრთან შეხვედრა ერთი კონკრეტული საკითხის გასარკვევად გადავწყვიტეთ – გვაინტერესებდა, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებული ყოფილი ჩინოვნიკების მიერ შექმნილი საზოგადოება „ივერია“ ყოფილი სახელისუფლებო პარტიისგან დისტანცირების სურვილის ნაყოფი უფრო იყო თუ დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშის დასაწყისი. ნიკა რურუამ შეხვედრა წიგნების მაღაზია „პროსპეროს“ კაფეში დაგვინიშნა. ჩვენი ერთსაათიანი შეხვედრის დიდი ნაწილიც წიგნიერებასა და განათლებაზე საუბარში დაიხარჯა. ის სასიამოვნო, მაგრამ ფრთხილი მოსაუბრეა. განსაკუთრებით მაშინ ფრთხილობს, როცა საქმე კონკრეტულ პოლიტიკურ გეგმებს ეხება, თუმცა ეს ასეთი გეგმის არარსებობას სულაც არ უნდა ნიშნავდეს.

ირაკლი აბსანძე
03.12

პოლიტიკა

ქართველი ხლიჩაოს ძიებაში: შესაძლებელია თუ არა "ბეჰმანული ხედვის" დაძლევა?

რა თქმა უნდა, გრძელვადიანი სტრატეგია და ორმხრივ ურთიერთობებში გარდატეხის შემომტანი ჯადოსნური ფორმულა ჯერაც არ არსებობს, თუმცა მიუხედავად არსებული პრობლემებისა, თბილისმა სხვა მოკავშირეებთან ერთად უნდა გააგრძელოს ახალი გზების ძიება საკუთარი პოლიტიკის გერმანიის პოლიტიკასთან დასაახლოებლად. ცნობილი ყბადაღებული გამოთქმის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების გასაღები, შესაძლოა მხოლოდ ბრიუსელში და ვაშინგტონში არ იყოს, ის ბერლინშიც მოიძიოს.

კორნელი კაკაჩია
გვ.20

ფოტოპროექტი

ღუმელს ვეხ ჩავაქროობ, ბავშვი მყავს



ერეკლე მუმლაძე
გვ. 48–59

საზოგადოება

ბავშვები ბავშვობის მილმა

არაადაპტირებული გარემოს გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს სხვა ბავშვების მსგავსად თამაშის, დასვენებისა და გართობის შესაძლებლობა არ აქვთ. შშმ ბავშვებს საქართველოში სხვისი დახმარების გარეშე თეატრებში, სკვერებსა და გასართობ-შემეცნებით დაწესებულებებში დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლიათ. „დე, დამსვი რა", – ეუბნება ნიკო დედას. უფროსი ძმა ჩუმადაა. სალაროში ახალგზარდა ქალი გვპასუხობს, რომ ეშმაკის ბორბალზე ეტლით დაჯდომა შეუძლებელია – „გავაჩერებ, ხელით აიყვანეთ და კალთაში ჩაისვით".

სოფო აფციაური
გვ.40

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში:

უცხოეთი

08 დაბრუნება „თავისუფლების კუნძულზე“ და სხვა

ინტერვიუ

12 ნიკა რურუას განმანათლებლური იდეები და ბუნდოვანი პოლიტიკური ამბიცია

პოლიტიკა

18 ფორმა შინაარსის წინააღმდეგ

20 ქართველი კლიჩკოს ძიებაში: შესაძლებელია თუ არა „გერმანული კედლის“ დაძლევა?

მთავარი თემა

24 ხეობა ჩრდილში

რეპორტაჟი

36 ლტოლვილთა სოფლის უხერხული ხიბლი

საზოგადოება

40 ბავშვები ბავშვობის მიღმა

44 ცხოვრება კიბოსგან განკურნების შემდეგ

ფოტოპროექტი

48 ღუმელს ვერ ჩავაქრობ, ბავშვი მყავს

ბიბლიოთეკა

60 ეროტიკული ლიტერატურის შემოსვლა და გასვლა. ის და იგივენი.

62 ლიტერატურა, რომელსაც სექსი ძლიერ უყვარდა

ქალაქი

68 კამოს ბოლო გასეირნება

სამყარო

72 მთის ბინადრები

სვეტი

76 კომბინაცია ბურთი და ბოთლი

კულტურა

78 თბილისის ისტორიის მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდი

80 ქალისა და მუსიკის სურნელი

სპორტი

86 ვერნახული თამაშები

ბიბლიოთეკა

ლიტერატურა, რომელსაც სექსი ძლიერ უყვარდა

მსოფლიო ლიტერატურის თვალსაზრისით, განსაკუთრებულია ქალების და ეროტიკის დამოკიდებულება იაპონიაში. განსაკუთრებულია იმიტომ, რომ ვისაც „ნანკინელი ქრისტე“ წაუკითხავს, ეცოდინება ავტორის დამოკიდებულება – მითი ცალკე მიდის, ცხოვრება ცალკე. ის, ვინც ქრისტე გგონია, სინამდვილეში ღვთის პირიდან გადავარდნილი, წვერმოშვებული ჟურნალისტია; რაც ქრისტეს მიერ ხსნა გგონია – ჩვეულებრივი მომენტია, როდესაც შეიძლება განიკურნო, თუკი ვენერიულ დაავადებას სხვას გადასდებ. ხოლო ის, რომ „ნანკინელი ქრისტე“ მოკვდება, შენ არ იცი, იმიტომ რომ უკვდავი, ქრისტე გგონია.

ლევან ბერძენიშვილი
გვ.62

ხელოვნება

ქალისა და მუსიკის სურნელი

ტაბლოიდებმა, მუსიკის მენეჯერებმა, სატელევიზიო რეკლამამ თუ ცნობილი ფილარმონიებისა და საოპერო თეატრების დირექტორებმა თითქოს თავიანთი ხელით გამოძერწეს ახალი დროის კლასიკოს-შემსრულებელთა იმიჯი, რომლის მიღება-მორგება იოლი სულაც არ აღმოჩნდა. ამგვარი სასტიკი "თამაშის წესების" მიღმა დარჩენილებს მუსიკალური კარიერა შესაძლოა საერთოდ დაენგრეთ კიდეც.

დავით ბუხრიკიძე
გვ.80

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქ. 50. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებგვერდი: www.liberali.ge

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.
რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

Part of the
ProCredit Group

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

პროკრედიტ ბანკი

სწორი არჩევანი თქვენი ბიზნესისთვის!

*22 22 | 220 22 22 | procreditbank.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიბეჰალი

ბავშვები სიღატაკის პირისპირ

2013 წელი

	უკიდურესი სიღარიბე	ზოგადი სიღარიბე
	1.50$ ხარჯი დღეში	2.50$ ხარჯი დღეში
ბავშვები	6%	28%
მოსახლეობა	4%	25%

უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების გადანაწილება	2011	2013
ბავშვები	19%	28%
ბავშვიანი ოჯახები	46%	50%
უბავშვო ოჯახები	35%	22%

უმუშევარია

ბავშვიანი ოჯახების 52%

34% უბავშვო ოჯახების

ღიბეჰალი

წყარო:

კვლევა: ბავშვთა სიღარიბის შემცირება საქართველოში: სამომავლო გზა, 2014 წ.

Unicef - გაეროს ბავშვთა ფონდი

ავტორი: ეკა მაღალდაძე, დიზაინერი: თორნიკე ლორთქიფანიძე

მსხვერპლი ხეები წითელი ნუსხიდან



2012-2015 წწ.

საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობების რაოდენობა, რომელთა გარემოდან ამოღების/მოჭრის ნებართვა მთავრობამ გასცა

- **2210** მაღალმთის მუხა
- **6504** იმერული ქაღის მუხა
- **348** ქალის მუხა
- **517** კოლხური მუხა
- **710** შავი ღვია
- **20** უთხოვარი
- **8480** უხრავი
- **10777** ნაბლი
- **3454** კაკალი
- **8915** ძელქვა
- **941** მცირენაყოფიანი ბალამნარა
- **430** პატარა თელადუმა
- **415** შიშველი თელადუმა

ჯამი **43721**

2012-2015 წწ.

მთავრობის მიერ საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობების მოჭრის გადაწყვეტილების მიღების ძირითადი მიზეზები

- ელექტროგადამცემი ხაზი
- ხიდის მშენებლობა
- წყალმომარაგება
- მონასტრის მშენებლობა
- გაზსადენის მშენებლობა
- ჰესის მშენებლობა
- გზის მშენებლობა/ ნაპირსამაგრი სამუშაოები

2013-2015 წწ.

საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი მცენარეების უკანონო ჭრის ფაქტები:

ა) გარემოზე მიყენებული ზიანი:

52 428

ბ) უკანონოდ მოჭრილი მცენარეების საერთო რაოდენობა:

90.079 მ³,
+26 ძირი სხვადასხვა ჯიშის ხე
და 942 ტოტი ბზა

2013-2015 წწ.

საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი მცენარეების უკანონო ჭრის ფაქტები ჯიშების მიხედვით

წაბლი
54,839 მ³ და + 5 ძირი
გარემოზე მიყენებული ზიანი
17 183

კაკალი
22,61 მ³ და + 13 ძირი
გარემოზე მიყენებული ზიანი
26 914

ბზა
942 ტოტი და 8 ძირი
გარემოზე მიყენებული ზიანი
4 760

მუხა
12,63 მ³
გარემოზე მიყენებული ზიანი
3 571

წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო („ლიბერალის" მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია)

ლიბერალი

ავტორი: ნათია ამირანაშვილი, დიზაინერი: თორნიკე ლორთქიფანიძე

დაბრუნება "თავისუფლების ხუნძულზე" და სხვა

1947 წლის 12 მარტს აშშ-ის 33-ე პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა კონგრესს წარუდგინა დოქტრინა, რომელმაც მომდევნო 40 წლით განსაზღვრა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები. საბერძნეთში სამოქალაქო ომის საპასუხოდ ტრუმენმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი დაეხმარება მოკავშირე სახელმწიფოებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან უცხო ქვეყნების მიერ დაფინანსებულ შინაურ შეიარაღებულ უმცირესობას. მას ღიად არ უხსენებია მოსკოვი, თუმცა ამ გამოსვლამ საფუძველი დაუდო, ე.წ. შეკავების პოლიტიკას, რომლითაც აშშ-ში 1989 წლამდე ხელმძღვანელობდა. პრეზიდენტების ეიზენჰაუერის, კენედის, ნიქსონის, კარტერისა და რეიგანის საგარეო პოლიტიკური კურსი დაფუძნებული იყო ტრუმენის დოქტრინაზე.

ლევან ახალაია

ეიზენჰაუერმა 1957 წელს განაცხადა, რომ აშშ ახლო აღმოსავლეთში კომუნისტური რეჟიმის გავრცელებას არ დაუშვებს. ანალოგიური დაპირება დადო კენედიმ, თუმცა კუბის რევოლუციის გამო, აქცენტი ლათინურ ამერიკაზე გააკეთა. 1969 წელს ნიქსონმა, რომელსაც ვიეტნამის ომის დასრულება სურდა, შედარებით შეარბილა მიდგომა და მესამე მსოფლიოს ქვეყნებში ამერიკული სახმელეთო ჯარების გაგზავნაზე უარი თქვა, თუმცა მოკავშირე სახელმწიფოებს ფინანსურ და სხვა სამხედრო დახმარებას შეჰპირდა. 1980 წელს ჯიმი კარტერმა, საბჭოთა ჯარის ავღანეთში შესვლის საპასუხოდ განაცხადა, რომ სპარსეთის ყურეში ნებისმიერი უცხო ძალის დომინირებას აშშ ძალის გამოყენებით შეუშლის ხელს. 5 წლის შემდეგ რეიგანმა თავის დოქტრინაში განაცხადა, რომ აშშ დაეხმარება კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ მოძრაობებს ყველა კონტინენტზე.

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას

ცივი ომის დასრულების შემდეგ ცნობილია ბილ კლინტონისა და ჯორჯ ბუშ უმცროსის დოქტრინა. ორივე მათგანი ძალის გამოყენებას ემხრობოდა. კლინტონის პრეზიდენტობის დროს აშშ-მა მხარი დაუჭირა „ნატოს" ჩართვას კოსოვოს ომში, ხოლო ჯორჯ ბუშ უმცროსის დროს ამერიკელი სამხედროები ერაყში გააგზავნეს.

აშშ-ის მოქმედ პრეზიდენტს საკუთარი დოქტრინა არ გაუსაჯაროებია, თუმცა 2015 წლის აპრილის დასაწყისში, ტომას ფრიდმენთან ინტერვიუში, ბარაკ ობამას განცხადებები მიუთითებს, რომ შტატების 44-ე პრეზიდენტი მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, სულ უფრო მეტად უჭერს მხარს, ე.წ. რბილ ძალას.

ობამას თქმით, მეტი თანამშრომლობა და ჩართულობა, რომელიც აშშ-ის სტრატეგიულ მიზნებთან იქნება თანხვედრაში, შესაძლოა უკეთ მოემსახუროს ამერიკის ინტერესებს, ვიდრე მოწინააღმდეგე ქვეყნების მუდმივი იზოლაცია და სანქციები.

მიანმარი, კუბა და ირანი – ამ სამ სახელმწიფოსთან ურთიერთობების აღდგენით აშშ-ის პრეზიდენტი ფაქტობრივად ნიქსონის დოქტრინას უბრუნდება, თუმცა უფრო რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში.

მიანმარის მაგალითი

აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში ცვლილებები რომ ხორციელდებოდა, ეს ჯერ კიდევ 2009 წელს გამოჩნდა, როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ხელი „გადატვირთვის" წითელ ღილაკს დააჭირეს. 2 წლის შემდეგ კი არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენები აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დაიწყო. 2011 წლის დეკემბერში, პირველად 50 წლის შემდეგ, მიანმარში აშშ-ის პირველი დიპლომატი ჩავიდა.

1962 წლიდან მიანმარს, იგივე ბირმას, სამხედრო ხუნტა მართავდა. ამ დროს „ოქროს მიწად" წოდებული ქვეყანა, სახელმწიფო გადატრიალებების, სამოქალაქო ომებისა და ეთნიკურ ნიადაგზე დაპირსპირების ქარ-ცეცხლში იყო გახვეული. სამხედროების მმართველობა გამოირჩეოდა პოლიტიკური ოპონენტების სასტიკი დევნითა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევებით. 2010 წელს მიანმარში პირველად გაიმართა საყოველთაო არჩევნები. მართალია, მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ, რომელსაც ნობელის პრემიის ლაურეატი აუ სან სუ ჩი ხელმძღვანელობდა, არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, მაგრამ უკვე 2011 წლის მარტში მიანმარს სათავეში პრეზიდენტი ჩაუდგა. 9 თვის შემდეგ იანგონში ჰილარი კლინტონი შინა პატიმრობიდან გათავისუფლებულ აუ სან სუ ჩის და მიანმარის ლიდერს ტეინ სეინს შეხვდა. კლინტონმა პირობა დადო, რომ დემოკრატიული რეფორმების გაგრძელების შემთხვევაში მიანმარისთვის დაწესებულ სანქციებს მოხსნიან.

2012 წლის ივლისში აშშ-ის პრეზიდენტის განკარგულებით, მიანმარისათვის დაწესებული ფინანსური შეზღუდვები გაუქმდა. ამერიკულ კომპანიებს გარკვეული შეზღუდვებით ქვეყანაში ფულის დაბანდების უფლება მისცეს. 2012 წლის აპრილში აშშ-ის მაგალითს ევროკავშირმაც მიბაძა. ამავე წლის ნოემბერში, აშშ-ის პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევის შემდეგ, ბარაკ ობამა პირველი ვიზიტით სწორედ მიანმარს ეწვია. ერთი წლის შემდეგ კი ობამამ მიანმარის ლიდერს უკვე თეთრ სახლში უმასპინძლა.

ბოლო წლებში ამერიკულმა და ევროპულმა ინვესტიციებმა მიანმარში მეზობელი ჩინეთის გავლენა შედარებით შეამცირა. პოლიტიკური ცვლილებების ფონზე ამ ქვეყანასთან ეკონომიკური კავშირების გაღრმავების სურვილი რეგიონის სხვა სახელმწიფოებსაც გაუჩნდა.

მართალია, მიანმარში ჯერ კიდევ რჩება საკითხები, რომელთა მოგვარებაც ვერ ხერხდება. მათ შორის ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე, ჩინეთის მოსაზღვრე რაიონებში მოქმედი შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც უკვე მრავალი წელია ავტონომიას ითხოვენ. მეამბოხეთა შემოსავალის ძირითად წყაროს კი ოპიუმით ვაჭრობა წარმოადგენს. პრობლემად რჩება ეთნიკური უმცირესობების უფლებებიც. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მიანმარის მაგალითზე აშშ-მა მრავალი წლის შემდეგ პირველად აჩვენა მსოფლიოს, რომ ცალკეული ქვეყნების იზოლაციამ გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა, შედეგი ვერ გამოიღოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნება „თავისუფლების კუნძულზე“

„ობამას სტრატეგიის“ ლოგიკურ ჯაჭვში შემდეგი რგოლი კუბა იყო. 2013 წელს სამხრეთ აფრიკაში ნელსონ მანდელას დაკრძალვაზე ჩასულმა ბარაკ ობამამ კუბის ლიდერს, რაულ კასტროს ჩამოართვა ხელი. თუმცა მაშინ ალბათ ცოტა თუ იფიქრებდა, რომ ზუსტად ერთი წლის შემდეგ ვაშინგტონი „თავისუფლების კუნძულთან“ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის მიზნით მოლაპარაკებებს დაიწყებდა.

ამას წინ უძღოდა კუბელი და ამერიკელი მაღალჩინოსნებისა და დიპლომატების ხანგრძლივი საიდუმლო მოლაპარაკებები კანდაში. როგორც აღმოჩნდა ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი არგენტინელმა რომის პაპმა ფრანცისკემ ითამაშა. პონტიფიკოსმა რამდენიმე წერილი პირადად ბარაკ ობამას და რაულ კასტროსაც კი მისწერა.

2014 წლის 17 დეკემბერს კი ვაშინგტონმა და ჰავანამ ჯაშუშობაში ბრალდებული მსჯავრდებულები გაცვალეს. კუბის ხელისუფლებამ 5-წლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა 65 წლის ალან გროსი. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ყოფილი თანამშრომელი სამ კუბელ პატიმარში გაცვალეს, რომლებიც 1998 წლიდან აშშ-ის ციხეში იხდიდნენ სასჯელს.

უკვე აპრილის დასაწყისში კი ნახევარი საუკუნის შემდეგ აშშ-ისა და კუბის ლიდერების ორმხრივი შეხვედრა შედგა. ორ ქვეყენას შორის ბოლო მოლაპარაკებები უმაღლეს დონზე 1959 წელს გაიმართა, როდესაც აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი „კომანდანტე“ ფიდელ კასტროს შეხვდა.

დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში, 2015 წლის აპრილში პანამაში გამართულ შეხვედრაზე ბარაკ ობამა და რაულ კასტრო, როგორც ამას ეტიკეტი მოითხოვს, ეროვნული დროშების ფონზე არ გამოჩენილან. თუმცა სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა გადაწყვიტა კუბის ამოღება ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფოების სიიდან. ეს კი ფაქტობრივად ბოლო დაბრკოლებაა, რომლის მოხსნის შემთხვევაშიც ჰავანაში აშშ-ის საელჩოს გახსნას ვეღარაფერი შეუშლის ხელს. კუბის თაობაზე, რომლის გამოც 1962 წელს მსოფლიო ბირთვული ომის ზღვარზეც კი დადგა, აშშ-ის ამ გადაწყვეტილებას მიესალმნენ. ანალოგიური განცხადება გააკეთა კუბის ყოფილმა ლიდერმა ფიდელ კასტრომაც. თუმცა კომუნისტური პარტიის გაზეთში დაბეჭდილ წერილში „კომანდანტე“ ამბობს, რომ აშშ-ის ოფიციალურ პირებს ის მიანც არ ენდობა.

ვაშინგტონსა და ჰავანას შორის ურთიერთობების სრულად აღდგენას ჯერ კიდევ უშლის ხელს აშშ-ის მიერ დაწესებული ეკონომიკური ემბარგო. თუმცა, თუ ბარაკ ობამა შეძლებს ამერიკის მოქალაქეების დარწმუნებას, რომ კუბასთან დაახლოება მათ საფრთხეს არ შეუქმნის, მაშინ კონგრესი, სავარაუდოდ, ამ შეზღუდვასაც მოხსნის. აშშ-ის მხრიდან კუბისკენ გადადგმულ ნაბიჯებს ევროკავშირშიც მსგავსი რეაქცია მოჰყვა. ბრიუსელი ჰავანასთან ეკონომიკური კავშირების სრულად აღდგენას ეცდება.

ნათელია, რომ კუბასთან სრულყოფილი ურთიერთობების აღდგენის შემთხვევაში უახლოეს მომავალში ამერიკული და ევროპული კომპანიები ბოლო წლებში რეგიონში გაძლიერებულ რუსულ, ჩინურ და ირანულ ინვესტიციებს მნიშვნელოვან კონკურენციას გაუწევენ.

აშშ-ისა და კუბის „მოულოდნელი დაახლოებით“ კმაყოფილები არ არიან მოსკოვში. საბჭოთა კავშირისათვის კომუნისტური სახელმწიფო, წლების განმავლობაში დასავლეთ ნახევარსფეროში ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად რჩებოდა. „ცივი ომის“ პერიოდში კი კუნძულზე „ლურდესის“ სახელით ცნობილი საბჭოთა კავშირის საიდუმლო ბაზაც კი მოქმედებდა. წლების განმავლობაში კუნძულს ლათინურ ამერიკაში მოქმედი რადიკალური მემარცხენე ჯგუფების წევრებიც აფარებდნენ თავს. მათთვის კუბა ყოველთვის შთაგონების წყარო იყო და დღემდე ასეთად რჩება.

თუმცა დღეს თეთრ სახლში მიაჩნიათ, რომ კუბის ხელისუფლება არც კოლუმბიელ მეამბოხეთა მოძრაობა „ფარკთან“ და არც ბასკ ნაციონალისტთა დაჯგუფება „ეტასთან“ აღარ თანამშრომლობს. სულ მცირე ექვსი თვე მაინც, როგორც ამას ვაშინგტონში ამბობენ.

აღსანიშნავია, რომ აშშ-მა „თავისუფლების კუნძულის“ 50-წლიანი იზოლაცია ისე დაასრულა, რომ კუნძულის მმართველების პოლიტიკა ფაქტობრივად არ შეცვლილა. პოლიტიკური პატიმრები ციხეში რჩებიან და ჰავანის ქუჩებში ისევ ძველმოდური ავტომობილები მოძრაობენ. ზედმეტად მიამიტური იქნება იმის თქმაც, რომ აშშ-ის ინტერესები მხოლოდ კოლორიტულ კუბურ სიგარებსა და „მოჰიტოზე“ გადის. როგორც თავად ბარაკ ობამამ პანამაში გამართულ „ამერიკის სამიტზე“ განაცხადა, კუბასთან ურთიერთობების აღდგენით ვაშინგტონი მთლიანად ცვლის მიდგომას იმ რეგიონისადმი, რომელიც ერთ დროს აშშ-ის გავლენის სფეროში იყო მოქცეული და ბოლო დროს ანტიამერიკული განწყობებით გამოირჩევა.

ირანი აშშ-ის მთავარი მოკავშირე ახლო აღმოსავლეთში?

კუბისა და მიანმარისაგან განსხვავებით, „ობამას დოქტრინა“ გაცილებით რთული გამოწვევების წინაშე ახლო აღმოსავლეთში დგას. შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში ირანის ბირთვულ პროგრამაზე წინასწარი შეთანხმება ჯერ მიღწეულიც კი არ იყო, როდესაც რესპუბლიკელი სენატორების ნაწილი უკვე მისი ჩაშლით დაიმუქრა. ირანისათვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის წინააღმდეგია ვაშინგტონის მნიშვნელოვანი მოკავშირე – ისრაელიც.

ირანის ბირთვული პროგრამა 1950-იან წლებში აშშ-ის დახმარებით დაიწყო, თუმცა 1979 წელს ისლამური რევოლუციის შემდეგ დასავლეთის სახელმწიფოებმა ირანთან თანამშრომლობა შეწყვიტეს. პროგრამის განახლების მცდელობა თეირანს რამდენჯერმე ჰქონდა. 1980-იან და 1990-იან წლებში ირანთან ამ სფეროში არგენტინა, რუსეთი და ჩინეთი თანამშრომლობდა.

ირანის ბირთვული პროგრამის მიზნების გარშემო ფორმალური დავა კი 13 წლის წინ დაიწყო, როდესაც ირანელმა დისიდენტმა ალირეზა ჯაფარზადემ გაასაჯაროვა დოკუმენტები, რომელიც ირანში ორი მშენებარე ბირთვული ობიექტის არსებობას ადასტურებდა. აღმოჩნდა, რომ თეირანი ბირთვული პროგრამის დეტალებს წლების განმავლობაში მალავდა. ამის გამო თეირანს მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს და ურანის გამდიდრების შეჩერება მოსთხოვეს.

ირანის მთავრობა მუდმივად ამტკიცებს, რომ ქვეყნის ბირთვული პროგრამა მშვიდობიან ხასიათს ატარებს.

2013 წელს ირანის ახლადარჩეული ლიდერის, ჰასან როუჰანის ინიციატივით, დაიწყო მოლაპარაკებები მსოფლიოს 6 გავლენიან სახელმწიფოსთან, რომელიც 2015 წლის 2 აპრილს წინასწარი შეთანხმებით დასრულდა.

ჩარჩო ხელშეკრულების თანახმად, ირანი ვალდებულია ორი მესამედით შეამციროს ცენტრიფუგების რაოდენობა, რომელთაც ურანის გამდიდრებისათვის იყენებს; გადააკეთოს არაკში მდებარე რეაქტორი, რათა პლუტონიუმის წარმოება შეუძლებელი გახდეს და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს სპეციალისტები სადავო ბირთვულ

ობიექტებზე პერიოდულად დაუშვას. ზოგი შეზღუდვა 10, ზოგი კი 15 წლით დაწესდება. სანაცვლოდ, დასავლეთი ირანს თანმიმდევრულად მოუხსნის ფინანსურ სანქციებს. გაუქმდება ძვირფას მეტალებზე, ნავთობის ექსპორტსა და სხვადასხვა თანამედროვე სამრეწველო ტექნიკის იმპორტზე დაწესებული შეზღუდვები. როგორც ვაშინგტონში აცხადებენ, თუ ივნისის ბოლოს თეირანთან საბოლოო შეთანხმება ამ სახით გაფორმდება, მაშინ ირანი ბირთვულ იარაღს მინიმუმ 15 წელი ვერ შექმნის. თუმცა ობამას ოპონენტები ამტკიცებენ, რომ ირანთან ხელშეკრულების მიუხედავად, თეირანი არცერთ ბირთვულ ობიექტს არ დახურავს და დასავლეთი მხოლოდ დროს თუ მოიგებს. ამასთან ირანისთვის სანქციების მოხსნის შემთხვევაში, უცნობია, შეძლებს თუ არა გაეროს უშიშროების საბჭო, რომლის წევრები ჩინეთი და რუსეთიც არიან – შეზღუდვების ხელახლა დაწესებას.

ირანისა და დასავლეთის შეთანხმებას მკაცრი კრიტიკოსები ჰყავს თეირანშიც. მათ შორისაა ირანის სულიერი ლიდერიც. შედარებით განსხვავებული პოზიცია აქვს პრეზიდენტ როუჰანის. მას ირანელი ახალგაზრდების ის ნაწილი უჭერს მხარს, რომელსაც დასავლურ სამყაროსთან კავშირის აღდგენა სურს.

თეირანთან დიალოგის დაწყების გზით აშშ-ის პრეზიდენტი კიდევ ერთხელ დებს ფსონს „ცვლილებებზე“, ამჯერად უკვე ირანის შიდა პოლიტიკაში. სანქციების მოხსნის შემთხვევაში ირანი მნიშვნელოვნად გაძლიერდება. რეგიონში შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით კი აშშ-ს, რომელსაც არ სურს ომში ღიად ჩართვა, მაგრამ სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვაც არ უნდა, ძლიერი მოკავშირეები სჭირდება. იმის გათვალისწინებით, რომ ისტორია ხშირად მეორდება, არ არის გამორიცხული საუდის არაბეთთან და ისრაელთან ერთად დროთა განმავლობაში ასეთ მოკავშირედ ირანიც იქცეს.

აშშ-ის მიერ ტრადიციულ მოწინააღმდეგესთან დაწყებული პოლიტიკური დიალოგი არაორაზროვანი გზავნილია ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელიც დღეს ძალისმიერი გზით ცდილობს გავლენის სფეროების შენარჩუნებას. პირველ რიგში, ეს ალბათ რუსეთს ეხება. საბოლოო ჯამში როგორ იმუშავებს „ობამას დოქტრინა“ ამას დრო აჩვენებს, თუმცა ფაქტია, რომ კონფლიქტი სახელმწიფოებს შორის უსასრულოდ არასდროს გრძელდება და მას მშვიდობა მოსდევს, ამიტომ კონფლიქტის დროსაც კი აუცილებელია თანაარსებობის წესებზე შეთანხმება.

ფოტო: ლევან ხარბედია

ნიკა რურუას განმანათლებლური იდეები და ბუნდოვანი პოლიტიკური ამბიცია

კულტურის ყოფილ მინისტრთან შეხვედრა ერთი კონკრეტული საკითხის გასარკვევად გადავწყვიტეთ – გვაინტერესებდა, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებული ყოფილი ჩინოვნიკების მიერ შექმნილი საზოგადოება „ივერია“ ყოფილი სახელისუფლებო პარტიისგან დისტანცირების სურვილის ნაყოფი უფრო იყო თუ დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშის დასაწყისი. ნიკა რურუამ შეხვედრა წიგნების მაღაზია „პროსპეროს“ კაფეში დაგვინიშნა. ჩვენი ერთსაათიანი შეხვედრის დიდი ნაწილიც წიგნიერებასა და განათლებაზე საუბარში დაიხარჯა. ის სასიამოვნო, მაგრამ ფრთხილი მოსაუბრეა. განსაკუთრებით მაშინ ფრთხილობს, როცა საქმე კონკრეტულ პოლიტიკურ გეგმებს ეხება, თუმცა ეს ასეთი გეგმის არარსებობას სულაც არ უნდა ნიშნავდეს.

ინტერვიუ ნიკა რურუასთან

ირაკლი აბსანძე

ჟურნალისტებს, ვინც „ივერიას“ პარტიად მოიხსენებენ, უსწორებთ, რომ ეს საზოგადოებაა. რა პრინციპული განსხვავებაა პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებას შორის, რომელსაც საარჩევნო ამბიციები აქვს?

პირველ რიგში, პატარა ისტორიას გადავხედოთ. თანამოაზრეებს დაგვებადა იდეა, გაგვეკეთებინა ვებგამოცემა. Biz ერთადერთი თავისუფალი დომეინი აღმოჩნდა. დანარჩენი „ივერიასთვის“ უკვე გაყიდული იყო. ნაწილი ესპანელებს ჰქონდათ ნაყიდი, ნაწილი ქართველებს და ძალიან ძვირი დააფასეს. ამიტომ ავიღეთ iveria.biz, რომელიც თავისუფალი იყო.

როგორც ჩანს, სიტყვა „ივერია“ თქვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო ...

დიახ, რადგან ჩვენ, პოლიტიკური ფილოსოფიის თვალსაზრისით, უკვე ბევრჯერ

ნახსენები და ცოტაჯერ გაგებული ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეებად ვთვლით თავს. მემკვიდრეები ხმამაღალი ნათქვამია – უფრო მიმდევრები. ჩვენ ვთვლით, რომ დამოუკიდებლობისა და ლიბერალიზმის ის იდეები, რომელიც მაშინ ძალიან მონინავე იყო, დღემდე არ მოძველებულა. მისი პოსტულატიც – „ენა, მამული, სარწმუნოება“ იმდენად ბევრჯერ გამოიყენა ხალხმა, რომ ცოტა გაიცვითა, გაუბრალოვდა, ბანალური გახდა, მაგრამ სინამდვილეში სწორი რამაა. ენაც, მამულიც და რაღაც დონეზე სარწმუნოებაც (ამ შემთხვევაში, ჩვენი გაგებით, სარწმუნოებისა და სინდისის თავისუფლება) ჩვენი ვინაობის ნაწილია.

„ნაციონალური მოძრაობის“ დიდი გუნდის ნაწილი ამ ვინაობაზე შეთანხმდით და გადაწყვიტეთ ცალკე წასულიყავით?

არა, პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ჩვენთან არ არიან. არც მე ვარ ამ პარტიის წევრი. არ ვთვლი, რომ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს. უბრალოდ, რახან დაბზუსტეთ, ამიტომ გეუბნებით. აქ იყო ხალხი, რომლის ნაწილი წინა მთავრობის კაბინეტში მუშაობდა, ანუ ორი მინისტრია იქ – ერთი გრიგოლ ვაშაძე, და მეორე – მე. რამდენიმე დიპლომატია, რომლებიც ჩვენი ელჩები იყვნენ, რამდენიმე მწერალი, რამდენიმე ჟურნალისტია და აწი უკვე მოდიან და მოდიან ადამიანები, ვინც ამ საზოგადოებაში და არა პარტიაში აპირებენ გაწევრიანებას.

ჩემი აზრით, პარტიას აქვს თავისი დისციპლინა, პარტიული იერარქია, და საერთოდ სტრუქტურა, რომელიც ხანდახან აბრკოლებს ჯანსაღ იდეას, აზრს – ამ აზრის გადაწყვეტილების მიმღებებამდე მისვლას. ბევრი ზღუდეა, რომელიც იდეამ უნდა გაიაროს იქამდე, ვიდრე ვიღაცა ამას ან გაითვალისწინებს, ან არა. ამიტომ ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს პარტიული ვერტიკალი თავისი დისციპლინითა და შიდა იერარქიით არ გვჭირდება. გვინდა, რომ ეს საზოგადოება უფრო ჰორიზონტალური იყოს. არც ის გვინდა, რომ ადამიანს ყური მოჭრას სიტყვა „პარტიამ“, რადგან პარტია თავისთავად გარკვეულწილად ბიუროკრატიულ ეგოიზმსაც გულისხმობს. პარტიული ისტორია საქართველოში მაინცდამაინც კარგი არ არის. ჯერ ერთი, დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკა ერთპარტიული იყო – კომუნისტებს ვგულისხმობ. მერე, ფაქტობრივად, ყველა სამთავრობო პარტია იყო ერთპიროვნული და ძლიერი. ახლა შეიცვალა მეტნაკლებად, როცა გამოჩნდნენ ოპოზიციური ძალები, რომლებიც არ გაქრნენ არჩევნების პირველი გადაბარების შემდეგ. სიტყვა „პარტია“, ჩემი აზრით, შემაკავებელი მომენტია და ამიტომ არ გვინდა ისევ ამის ქონა. პარტია ბოლო-ბოლო რა არის? არჩევნებში მონაწილეობის ინსტრუმენტია. ამ ეტაპზე სულ არ არის საჭირო, რომ იყოს პარტია. იყოს საზოგადოება ჰორიზონტალური სტრუქტურით, დებატისთვის და ახალი ადამიანებისთვის, უფრო ღია უცნობი ან ნაცნობი ხალხისთვის, ვინც რაღაც კონსტრუქციული იდეით მოვა. სხვათა შორის, ეს ახლა ტრენდია მსოფლიოში. ბევრმა პოლიტიკურმა ძალამ ეს ტრანსფორმაცია შეგნებულად გააკეთა. ისინი პარტიები იყვნენ და შემდეგ გაერთიანდნენ რაღაც მოძრაობებში. ეს მოძრაობები ახლა იგებენ. ეს შეიძლება იყოს გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, ან მემარჯვენე მოძრაობები, როგორიც მაგალითად ამერიკული „ჩაის პარტიაა“.

თუ პარტიულ იერარქიაზე ვსაუბრობთ, როცა არჩევნებამდე მივა საქმე, მაინც მოგიწევთ რაიმე იერარქიის შემუშავება, თუნდაც საარჩევნო სიის შედგენისას...

თუ საქმე აქამდე მივიდა, კი. მაგრამ ჩვენ მაინცდამაინც მომავალ არჩევნებზე არ ვფიქრობთ.

ანუ არ ფიქრობთ 2016 წლის არჩევნებში მონაწილეობაზე?

როგორ არა, მაგრამ ეს არაა მთავარი ამოცანა. ეს ცოტა არათავმდაბლად ჟღერს, მაგრამ, ჩემი აზრით, უმჯობესია მარტო მომავალ არჩევნებზე კი არა, მომავალ თაობებზეც ვიფიქროთ. ისეთი რაღაცები გავაკეთოთ, რის ნაყოფსაც ჩვენ ვერ დავკრეფთ. ეს ხე უნდა დაირგოს. ზოგადად რომ ვილაპარაკოთ, ეს არის ჩვენი წვლილი, ვთქვათ, საწყისი განათლების რეფორმირებაში, პოლიტიკაში – დებატის ხარისხის გაუმჯობესებაში. ბევრ როგორც შინაარსობრივ, ასევე სტილისტურ სიახლეში. ამით შეიძლება ჩვენ ვერ ვიხეიროთ, მაგრამ გვინდა ეს ყველაფერი დავამკვიდროთ.

ისევ ყოველდღიურ პოლიტიკურ კონიუნქტურას რომ დავუბრუნდეთ, თქვენი საზოგადოების წევრების უმრავლესობა „ნაციონალური“ ხელისუფლების სტრუქტურებში

ჩემი აზრით, უმჯობესია მარტო მომავალ არჩევნებზე კი არა, მომავალ თაობებზეც ვიფიქროთ. ისეთი რაღაცები გავაკეთოთ, რის ნაყოფსაც ჩვენ ვერ დავკრეფთ. ეს ხე უნდა დაირგოს. ძალიან ზოგადად რომ ვილაპარაკოთ, ეს არის ჩვენი წვლილი, ვთქვათ, საწყისი განათლების რეფორმირებაში.

დარღვევებიც იყო, მაგალითად არაფორმალური მმართველობის რაღაცნაირი ნაირსახეობა. მაგალითად, მახსოვს, როგორ ყოფდა ცხვირს ერთი მინისტრი მეორე მინისტრის შიდა საქმეებში, შეცდომა კი შემდეგ იმ მინისტრს ეწერებოდა, რომელსაც ის არ დაუშვია. დღესაც ასეა. უბრალოდ დღეს ამან სტრატეგიული მასშტაბი მიიღო.

მუშაობდა. გარედან, სულ მცირე, ამ პარტიასთან საერთო ღირებულებების მატარებლებად აღიქმებით. არ თვლით, რომ ამ გაყოფით და განცხადებით, რომ არ გამორიცხავთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობას, „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველი დაქსაქსეთ და დააბნიეთ?

არ გამოვრიცხავთ კი არა, აუცილებლად მივიღებთ. იქამდე, უბრალოდ, უნდა მივიდეთ. უბრალოდ ეს არ არის მიზანი. ეს უფრო ინსტრუმენტია რაღაცების გასაკეთებლად. ამიტომ არ ვიტყოდი რომ ვინმე დავაბნიეთ. თავისთავად, „ნაციონალური მოძრაობაც“ რაღაც იდეების განხორციელების მექანიზმია. თავად ეს სახელი ჩემში არანაირ მოწიწებასა და პიიტეტს არ იწვევს. ეს არის თანამოაზრეთა გუნდი, რომელიც, ძალიან ზოგად დონეზე, შეიძლება ბევრად არ განსხვავდება ჩემი პირადი გემოვნებისგან. მე ვთვლი, რომ ევროპული საქართველო, ტრანსატლანტიკური პერსპექტივა, საზღვრების ურღვევობა და ტერიტორიული მთლიანობა, ინდივიდუალური უფლებების მყარად დაცვა, კანონის უზენაესობა არის ის, რაც ახლა ჰაერივით სჭირდება ამ ქვეყანას. ამას არც ისინი ეწინააღმდეგებიან. მაგრამ ჩვენ ამ მიზნებისკენ სავალი ჩვენეული გზა, ჩვენეული ხედვა გვაქვს. ჩვენ ეს სხვანაირად გვინდა ვცადოთ. მე არ ვთვლი, რომ ამით ვიღაცას ვაზიანებთ. პირიქით, რაც უფრო გამაგრდება პროდასავლური ფრონტი, მით უფრო კარგია ეს ყველასთვის – ამ ფრონტისთვის და მისი მიზნებისთვის. ახლა ამ აბსოლუტურად ხელოვნური ევრაზიული იდეის შემოჩეჩება ძალიან აგრესიულად მიდის. ჩვენ ამ იდეას ხან ძალით, ხან დაშინებით, ხან მოსყიდვით, ხან გალესილი რუსული პროპაგანდით „გვტენიან“.

წარსულის თემას რომ მოვრჩეთ – ახლა უკვე დისტანცირებულად შეგიძლიათ შეაფასოთ – როგორ ფიქრობთ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეაფასა ის შეცდომები, რის გამოც არჩევნები წააგო? მოახერხა შიგნით ამ შეცდომების გადაფასება?

მე მგონი, ის შეცდომები, რისთვისაც არჩევნები წააგო, რეალურად შეცდომები არ იყო. არჩევნები სხვა მიზეზით წააგო და შეცდომებიც, ჩემი აზრით, სხვა იყო.

იმ მიზეზებამდეც ხომ საზოგადოება რაღაცის გამო მივიდა? მედია, ადამიანის უფლებები იყო ამ პარტიის შეცდომა და შეძლო მისი გადაფასება?

მივიდა. მაგრამ ესეც ნაწილობრივ მართალია და ნაწილობრივ არაა მართალი. მედიის თავისუფლება, აღვირახსნილი თავისუფლება, მაშინაც არსებობდა და დღესაც არსებობს. ჩვენთან ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები, სამწუხაროდ, ძალიან დაბალია. ამიტომ, ხანდახან, გადაჭარბებული „თავისუფლება“ უპასუხისმგებლობაში გადადის და მას რეაქციაც უპასუხისმგებლო მოსდევს.

... მაგრამ ხომ ფაქტია, რომ 3 მთავარი და ყველაზე გავლენიანი სატელევიზო მაუწყებელი ერთი ხელით იმართებოდა და ერთნაირი შინაარსის გადაცემებს აწვდიდა მაყურებელს?

ჰო, ალბათ, მაგრამ მე ვერ დავადასტურებ და ვაღიარებ ამას, რადგან მონაწილეობა ამ პროცესში კონკრეტულად არასოდეს მიმიღია. შესაბამისად, არც ფაქტები მაქვს. მაგრამ პროსამთავრობო ტელევიზიის ფენომენი, რა თქმა უნდა, არსებობდა და მძულდა. დღესაც არსებობს და მძულს.

კითხვა ის არის, გაიგო თუ არა ეს, თქვენი დაკვირვებით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და თუ აღიარა, რომ ასე არ შეიძლებოდა?

ჩემი აზრით, კი. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ყველასთვის ცუდია. იქ, შიგნით ჯანსაღი პროცესები მიდის. პლურალიზმისკენ მიდიან, მაგრამ ჩვენ ახლა „ნაციონალურ მოძრაობაზე“ სალაპარაკოდ ხომ არ ვართ აქ? მე გეტყვით, ზოგადად რას ვასახელებ არჩევნების წაგების მიზეზად: ერთი – დაღლილობა, მერე – მობეზრება (იგივეა თითქმის), მესამე – მტკივნეული და ძალიან კარგი რეფორმებით განაწყენებული ინტერესჯგუფები, პლუს ამ ჯგუფებით, როგორც გარკვეული შიდა ძალებით, მანიპულირების მცდელობა (პატარკაციშვილს გავიხსენებ, რომელმაც დარაზმა ეს ხალხი, საკუთარი ფინანსური რესურსით გააკეთა ოპოზიციური მოძრაობა, რომელსაც ხელისუფლების სიძულვილი აერთიანებდა). დარღვევებიც იყო, მაგალითად არაფორმალური მმართველობის რაღაცნაირი ნაირსახეობა. მაგალითად, მახსოვს, როგორ ყოფდა ცხვირს ერთი მინისტრი მეორე მინისტრის შიდა საქმეებში, შეცდომა კი შემდეგ იმ მინისტრს ეწერებოდა, რომელსაც ის არ დაუშვია. დღესაც ასეა. უბრალოდ დღეს ამან სტრატეგიული მასშტაბი მიიღო. მთლად ერთი კაცია ახლა არაფორმალური მმართველი და ყველაფერი მასთან თანხმდება, ბევრი ბარიერისა და ფილტრის შემდეგ. სანამ

ეს გადაწყვეტილებები შემდეგ უკან ჩამოვა, იმდენად მახინჯდება, იმდენად იგვიანებს, რომ ბევრი რამ ფუჭდება. თან არ შეიძლება ერთმა ადამიანმა ყველაფერი იცოდეს. დღევანდელ მმართველს, ივანიშვილს ძალიან ლიმიტირებული განათლება აქვს და ბევრ რამეში ვერ ერკვევა. მას ჰგონია, რომ რახან ძალიან მდიდარია, ბევრი რამ იცის, მაგრამ ეს საშინელი ილუზიაა. ცუდი პირადად მისთვისაც და ქვეყნისთვისაც. ამიტომ, მაშინ რაც ჩანასახში იყო, დღეს იქცა რეალობად და ეს ძალიან მავნებელი რამაა. თუ გადაწყვეტილების მიღების უნარი თანამდებობას არაა მიბმული, პასუხისმგებლობა არ იარსებებს და შეცდომები გაგრძელდება. სამწუხაროდ, რაღაც დონეზე ასე იყო წინა ჯერზე. ამას უკვე ყველა ხვდება „ნაციონალურ მოძრაობაშიც". სანამ ყველაფერი დებატებით წყდებოდა, სანამ გარემო პლურალისტური იყო, ყველაფერი კარგად მიდიოდა.

იყო რაიმე გარდამტეხი მომენტი, როცა ეს მიდგომა შეიცვალა?

იყო. ასლანის გაქცევის შემდეგ, ბევრად დავიწროვდა გადაწყვეტილების მიმღებთა წრე და ამის მერე იმატა შეცდომებმა. სანამ ერთმანეთში მოურიდებელი კამათი იყო, იქ უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღებოდა. დღეს ამას „ნაციონალების" ყველა ლიდერი ხვდება და აღიარებს. ამბობენ, რომ წინ მიმავალი გზა დებატებსა და კამათზე გადის. ამას მხოლოდ მივესალმები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს მარტო მათ უნდა აკეთონ. ამასვე ვცდილობთ „ივერიაში" კიდევ უფრო ღიად და კიდევ უფრო მკაფიოდ – საერთოდ ვთქვით პარტიაზე უარი და გვინდა ეს აბსოლუტურად ღია იყოს ყველა ადამიანისთვის, ვისაც კონსტრუქციული შეხედულება აქვს რაიმე თემის, პრობლემის მოგვარებაზე.

პროდასავლურ ფრონტზე საუბრობდით. ამ ფრონტზე ირაკლი ალასანიასა და მის პარტიას დამოუკიდებელ მოკავშირედ განიხილავთ?

ჯერ არავისთან კონსულტაციები არ მქონია და ნაადრევი იქნება, რომ რამე ვთქვა. ზოგადად, იდეურად, ფილოსოფიურად ყველა პროდასავლელი აქტიორი ჩვენი მოკავშირეა.

კარგით, ასე გკითხავთ, თქვენ და ალასანია „ცივილიზაციათა შეჯახების" (The Clash of Civilization) ერთ მხარეზე ხართ?

კი, ალბათ, ვართ. იმიტომ რომ დეკლარაციულ დონეზე ისინი ამბობენ, რომ არიან ნატო-სა და ევროკავშირის მომხრე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მომხრე არიან და აქ სრული თანხვედრაა იგივე დეკლარაციის მქონე ნებისმიერ ძალასთან, რომელიც მთლად უტიფრად არ იტყუება. არის პოლიტიკური ძალების რაღაც ნაწილი, მაგალითად, „ქართული ოცნება", რომელიც ამბობს, რომ ასეა, მაგრამ თავად შიგნით ჰყავთ ევრაზისტები და შავრაზმელები.

გარდა ალასანიას ჯგუფისა და „ნაციონალური მოძრაობისა", ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტში არსებობს კიდევ ვინმე, ვისაც ამ მხარეს განიხილავთ?

ყველა, ვინც ევროინტეგრაციის მომხრეა, ჩვენი იდეური მოკავშირეა. კიდევ ვინ – სხვა ორგანიზებულ ძალას ასე ვერ ვიხსენებ.

თქვენ პოზიციონირებთ, როგორც მემარჯვენე ძალა?

არა, დღეს „ივერიის" დამფუძნებელთა რიგში არიან როგორც მემარჯვენეები, ასევე მემარცხენეები. ჩვენ არ გვინდა, რომ ამ ძალიან პირობითი დაყოფით პოტენციური მოკავშირეები გავიუცხოვოთ. ჩემი პირადი რწმენაა, რომ საქართველო რაღაც ეტაპზე უნდა იყოს მემარჯვენე, რომ მერე მემარცხენეობის ფუფუნება გვქონდეს. თავისუფალი ბაზრის მომხრე ვარ, მაგრამ, მეორე მხრივ, თავისუფალი ბაზარი რაღაც შემთხვევებში ძალიან ეგოისტია. აი, საყდრისის მაგალითი. ბაზართან შედარებით ძალიან დაუცველია, მაგალითად, კულტურის ინტერესი. მას, სახელმწიფოს გარდა, არავინ წარმოადგენს. ამ ძლიერმა, სხვათა შორის, რუსული ფულით ზურგგამაგრებულმა კორპორაციამ აიღო და ააფეთქა მითი, რომ შესაძლოა, 3000 წლის წინ აქ ვინმე ოქროს აწარმოებდა. არადა, ეს მითი ძალიან ძვირფასია ნებისმიერი ქვეყნისთვის. ახლა ამათმა მაღალკულტურული ერის ერთ-ერთი ნიშანი ააფეთქეს, რადგან თავისუფალი ბაზარი ხანდახან ასეთი დაუნდობელია.

ანუ, თქვენ არც მემარცხენე ხართ და არც მემარჯვენე. მაგალითად, უცხოელ პარტნიორებთან როცა გიწევთ ხოლმე შეხვედრა, რას ამბობთ, რა პოლიტიკური გემოვნების ძალას წარმოადგენთ?

■ ასლანის გაქცევის შემდეგ, ბევრად დავიწროვდა გადაწყვეტილების მიმღებთა წრე და ამის მერე იმატა შეცდომებმა. სანამ ერთმანეთში მოურიდებელი კამათი იყო, იქ უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღებოდა. დღეს ამას „ნაციონალების" ყველა ლიდერი ხვდება და აღიარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს „ივერიის“ დამფუძნებელთა რიგში არიან როგორც მემარჯვენეები, ასევე მემარცხენეები. ჩვენ არ გვინდა, რომ ამ ძალიან პირობითი დაყოფით პოტენციური მოკავშირეები გავიუცხოვოთ. ჩემი პირადი რწმენაა, რომ საქართველო რაღაც ეტაპზე უნდა იყოს მემარჯვენე, რომ მერე მემარცხენეობის ფუფუნება გვქონდეს.

ჩვენი აქცენტი ამ წუთას მაინცდამაინც არც მემარჯვენეობაზეა და არც მემარცხენეობაზე. ჩემი აზრით, „ივერიის“ აქცენტი განათლებაზეა. ყველანი ვთანხმდებით, რომ საქართველოში განათლების დიდი დეფიციტია და ყველაფერი საშუალო სკოლების რეფორმირებით უნდა დაიწყოს. არც მემარცხენე და არც მემარჯვენე იდეები წიგნიერების გარეშე არ განხორციელდება. თუ კრიტიკული აზროვნების მქონე საზოგადოება არ გვეყოლება, მემარჯვენე-მემარცხენე დისკურსზე საუბარიც კი შეუძლებელი იქნება. ამის გარეშე სახელმწიფოს არსებობასაც კი საფრთხე ექმნება.

როგორ წარმოგიდგენიათ, დღევანდელ პირობებში ამ საგანმანათლებლო იდეებისთვის ვინმე პარლამენტში აგირჩევთ?

იმედი მაქვს, რომ კი. ეს კარგად ასახსნელია. ეს არ არის ჩვენი ერთადერთი გზავნილი, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი გზავნილია. განათლების გარეშე არ იქნება არანაირი კეთილდღეობა. ის, რაც დღეს საშუალო სკოლებში ხდება და საშუალო სკოლებში კარგი რეფორმა, პრინციპში, ჩვენც ვერ გავაკეთეთ, ეს ძალიან სერიოზული ჩავარდნაა. კარგი იყო საერთო ეროვნული გამოცდების შემოღება, მაგრამ სკოლის რეფორმირება ვერ მოხდა და ცუდ სკოლაში ნასწავლი ბავშვი ძალიან უუნაროა იმისთვის, რომ მერე პროფესიას დაეუფლოს. ჩვენი ინფანტილიზმი სათავეს ცუდ სკოლაში იღებს. პიროვნების ჩამოყალიბება, პუნქტუალობის, შრომის ეთიკის, კრიტიკული აზროვნების და სხვა უნარზე ორიენტირებული თვისებების შეძენა სკოლაში არ მომხდარა და ამას შემდეგ მხოლოდ ერთეულები ახერხებენ.

თუ სწორად მივხვდი, თქვენ ბევრი რამის, მათ შორის სასკოლო განათლების მოდერნიზაციის შესახებ საუბრობთ. მოდერნისტულ იდეებს საქართველოში ერთი კონკრეტული და ძლიერი მოწინააღმდეგე, მართლმადიდებელი ეკლესია ჰყავს. თქვენ მას ამ კონტექსტში მოწინააღმდეგედ განიხილავთ?

ეს ისტორიის ნაწილია. ჩემი აზრით, ეკლესია იმ 70-წლიანი აკრძალვის გამოა ძალიან პოპულარული, მეორე მხრივ, რელიგიას აქვს ის ხიბლი, რომ ადამიანებს, კომპიუტერული ენით თუ ვიტყვით, „Shortcut“-ზე მიუთითოს. მაინცდამაინც ბევრი არაფერი გჭირდება – თუ სინანული გექნება და ეკლესიაში ივლი, პრინციპში კარგი ვიღაცა ხარ. ეს არ არის დღეს პროგრესული იდეა. რა თქმა უნდა, ადამიანს სჭირდება პროფესია, უნარები, კრიტიკული აზროვნება, ასევე სულიერი ცხოვრებაც. მე ვთვლი, რომ ეკლესიაც საჭიროა. ეკლესიური არა ვარ, მაგრამ თავს მორწმუნედ და ქრისტიანად ვთვლი. თუმცა ასევე ძალიან მჯერა, რომ სახელმწიფო და რელიგია გაყოფილი უნდა იყოს ერთმანეთისგან. ჩვენთან, სამწუხაროდ, ასე არ არის.

გაქვთ თუ არა ამის მოსაგვარებლად რაიმე იდეა, რეცეპტი?

გამზადებული რეცეპტი არაფერზე არა გვაქვს. ჩვენ გვაქვს შეხედულებები. „ივერიის“ მთელი იდეა ის არის, რომ ადამიანები მოვიდნენ, რომ რაღაცაზე შევთანხმდეთ, რაღაცაზე ერთად ვიფიქროთ და კომპრომისამდე მივიდეთ. კომპრომისი არ არის ცუდი რამ. ჩვენ პოლიტიკაში სიტყვა „უკომპრომისო“ მაგარ რამედ ითვლება. ამ დროს დასავლურ პოლიტიკაში, ლიბერალურ დემოკრატიაში კომპრომისი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. როცა მარტო შენი გაგაქვს და ამას აკეთებ და აკეთებ, მეორე მხარე იმდენად იბოღმება, რომ მერე ის სხვა თამაშის წესებით იწყებს თამაშს და აბსოლუტურ დესტრუქციაზე მიდის. ეს მოხდა წინა ხელისუფლების დროს, მანამდეც და ზვიადის დროსაც.

გაქვთ რაიმე პროგრამა მაქსიმუმის მაგვარი. რამდენი ადამიანი გინდათ გაიყვანოთ პარლამენტში?

ამაზე ჯერჯერობით არც გვილაპარაკია და არც ვფიქრობთ. დღეს ჩვენ ვწერთ პროგრამას იმ ხალხთან ერთად, ვინც თეორეტიკოსები კი არა, ამა თუ იმ სფეროს პრაქტიკოსები არიან. მაგალითად, „ივერიაში“ განათლებას აქვს ცალკე ჯგუფი, საგარეო ურთიერთობას – ცალკე, თავდაცვას – ცალკე და ა.შ. მე პირადად განათლების, კულტურისა და საკონსტიტუციო რეფორმის ჯგუფებს ვხელმძღვანელობ. როგორც კი ამ სფეროებში სტრატეგიული ხედვა გვექნება ჩამოყალიბებული, ამას ყველაფერს ერთ სამოქმედო გეგმად ჩამოვაყალიბებთ და ეს ჩვენი საარჩევნო პლატფორმა იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ხელმოწერა - ინოვაცია საბანკო სექტორში

ქართულ საბანკო სექტორს პროკრედიტ ბანკმა ინოვაციური პროექტი – ელექტრონული ხელმოწერის სისტემა შესთავაზა.

ახალი, თანამედროვე და დახვეწილი მომსახურება ეროვნულ ბანკთან აქტიური თანამშრომლობით გასულ წელს დაინერგა და საპილოტე პროექტის სახით მასში პირველი აღმაშენებლის ფილიალი ჩაერთო.

მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული ხელმოწერა მომსახურების რამდენიმე სფეროში უკვე გამოიყენება, საბანკო სისტემისთვის იგი სიახლეს წარმოადგენს. მომხმარებელი მიჩვეულია საბანკო მომსახურების მიღებისას არაერთ საბუთზე ხელის მოწერას, ამიტომ პროკრედიტ ბანკში დიდი ენთუზიაზმით ელოდებოდნენ მომხმარებლის შეფასებას.

პროექტმა საკმაოდ მალე და მარტივად მოიპოვა კლიენტების კეთილგანწყობა და ნდობა.

პროკრედიტ ბანკის მომხმარებლები ელექტრონული ხელმოწერის დანერგვას ძალიან პოზიტიურად შეხვდნენ. მათთვის საამაყო იყო ის ფაქტიც, რომ მსგავსი ინოვაციური პროექტი პირველად საბანკო სივრცეში თავიანთ მომსახურე ბანკში დაინერგა. საპილოტე პროექტს დაწყებიდან დღემდე არაერთი პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა.

კლიენტებისთვის მომსახურების მიღება უფრო კომფორტული და მოსახერხებელი გახდა. კლიენტი საბანკო ოპერაციის დამადასტურებელ საბუთს ხელმოწერის ელექტრონულ დაფაზე ეცნობა და მასზევე ხელმოწერით ადასტურებს საბანკო ოპერაციის შესრულებას. ხშირ შემთხვევაში კლიენტები ორიგინალ დოკუმენტებს ქაღალდის სახით ინახავდნენ. აღნიშნული პროექტის დანერგვის შემდეგ კლიენტს აღარ სჭირდება ქვითრისა თუ დოკუმენტის ქაღალდის სახით შენახვა, ვინაიდან შეუძლია ისარგებლოს სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი ვებპორტალით, საიდანაც შესაძლებელია ორიგინალი დოკუმენტის ელექტრონული სახით გადმოტვირთვა.

მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის მსგავსად, ელექტრონული ხელმოწერა მხოლოდ ბანკის ტერიტორიაზე უშუალოდ მომხმარებლის მიერ, სპეციალურ მონყობილობა – ხელმოწერის დაფაზე (ე.წ. sign pad) სრულდება. უნიკალური კოდის საშუალებით ხელმოწერიდან 30 დღის განმავლობაში კლიენტს სრულიად უფასოდ შეუძლია ორიგინალი დოკუმენტის ჩამოტვირთვა პროკრედიტ ბანკის ვებგვერდზე განთავსებული პორტალიდან http://edocs.procreditbank.ge და ელექტრონული დოკუმენტის მისთვის სასურველ ადგილას შენახვა.

კანონის შესაბამისად ელექტრონულ ხელმოწერასა და სტანდარტულ ხელმოწერას თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ელექტრონული ხელმოწერა ბანკსა და კლიენტს შორის წარმოშობს სტანდარტულ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერის იდენტურ უფლება-მოვალეობას. შესაძლებელია ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობის დადგენა და ხელმომწერის იდენტიფიცირება. აგრეთვე, ელექტრონული ხელმოწერით დადასტურებული დოკუმენტი წარმოადგენს დოკუმენტის დედანს (ორიგინალს), ხოლო დაბეჭდილი საბუთი ელექტრონული დოკუმენტის ასლია.

სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფისთვის ეროვნული ბანკი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენ-

ტოსა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან თანამშრომლობს. ამასთანავე, გარანტირებულია ოპერაციის უსაფრთხოება, ვინაიდან დაცულია დოკუმენტის მთლიანობა და უცვლელობა. დოკუმენტის ან/და მისი შინაარსის ნებისმიერი ცვლილება ხელმოწერის შემდეგ, არღვევს ხელმოწერას, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი ძალადაკარგულია. ასევე უზრუნველყოფილია ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება მხოლოდ იმ დოკუმენტზე, რომელიც უშუალოდ ხელმომწერის მიერაა დადასტურებული. ბანკის მიერ გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის არსებული სისტემა უზრუნველყოფს ხელმოწერის პერსონალური მონაცემების დაცულობას და გამორიცხავს მათ გამოყენებას სხვა ნებისმიერ დოკუმენტზე. მნიშვნელოვანია გაყალბებისგან თავის დაცვის მაღალი ხარისხი. ასევე უზრუნველყოფილია ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა.

ამ ეტაპზე ელექტრონული ხელმოწერის განხორციელება შესაძლებელია თანხის შეტანა/გატანისა და კონვერტაციისას 10 000 ლარამდე, 7000 დოლარი/ევრომდე. თუმცა წლის განმავლობაში დასახული გეგმის თანახმად, ეტაპობრივად სხვა არასაკრედიტო პროცესებიც დაემატება (მაგ. ხელშეკრულება დეპოზიტის გახსნისას, ინტერნეტბანკინგის ხელშეკრულება და სხვა).

ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, საბანკო ოპერაციების განხორციელებისას მეტი კომფორტისა და სიმარტივის უზრუნველსაყოფად, მეორე მხრივ კი, მსგავს პროექტში მონაწილეობა პროკრედიტ ბანკის სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილია. საბანკო დოკუმენტებზე ელექტრონულად შესრულებული ხელმოწერა ყოველდღიურად მოხმარებული ქაღალდის რაოდენობას მნიშვნელოვნად ამცირებს, რაც დადებითად აისახება გარემოზე.

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

რეკლამა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

30725

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთმა შინაარსის წინაალმდეგ

ირაკლი აბსანძე

„იმ დროს, როდესაც საქართველო არის ევროპულ პროცესში, განსაკუთრებით რიგის სამიტის წინ, და აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებს, მნიშვნელოვანია, ამ პროცესმა უმტკივნეულოდ ჩაიაროს, განსაკუთრებით – თავდაცვის სამინისტროსთან მიმართებაში, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტრატეგიულ პარტნიორობაში. ვერ ვხედავთ ვერანაირ მიზეზს, თუ რატომ შეიძლება ამ პროცესმა უმტკივნეულოდ ვერ ჩაიაროს. ველით, რომ ასეც იქნება და პროცესი უმტკივნეულოდ ჩაივლის" – აშშ-ის ელჩის საქართველოში რიჩარდ ნორლანდის ეს გამოხმაურება ქრონოლოგიურად დაემთხვა პრეზიდენტ მარგველაშვილის გადაწყვეტილებას, ერთი კვირით გაეწელა მთავრობის პარლამენტისთვის წარდგენის პროცესი. თავდაცვის მინისტრის პოსტი მაშინ პრეზიდენტმაც ახსენა. თქვა, რომ მისთვის გაუგებარია, რა იწვევს თავდაცვის მინისტრების ასეთ სწრაფ ცვლას.

სამთავრობო ცვლილებებამდე სამი დღით ადრე მედია ბიძინა ივანიშვილისა და რიჩარდ ნორლანდის შეხვედრის შესახებ იტყობინებოდა. ნორლანდმა ივანიშვილის სოლოლაკის რეზიდენცია უკომენტაროდ დატოვა. მოგვიანებით ჟურნალისტებთან განმარტა, რომ შეხვედრაზე თინა ხიდაშელის კანდიდატურაზე არ უსაუბრიათ. თუმცა პოლიტიკურმა კომენტატორებმა ეს გარემოება თავდაცვის მინისტრის საკმაოდ მოულოდნელი კანდიდატურის წარდგენასთან ღარიბაშვილის მიერ ინიციატივის გაცხადებისთანავე დააკავშირეს.

ბოლო საკადრო ცვლილებების ფორმა, ერთი შეხედვით, სრულიად დემოკრატიულია: პრემიერმა დაასახელა; პრეზიდენტმა საკუთარი კონსტიტუციური უფლება გამოიყენა და კანდიდატები მაშინვე არ წარადგინა; პარლამენტი ბჭობს; ხელისუფლების შტოებს შორის კონკურენცია სახეზეა – ე.ი. თითქოს ყველაფერი რიგზეა.

ასეც იქნებოდა, თინა ხიდაშელისა და გიგლა აგულაშვილის მინისტრობის კანდიდატებად გამოკვეთის პროცესიც საზოგადოებისთვის გამჭვირვალე რომ ყოფილიყო. განსაკუთრებით ბევრ შეკითხვას პრემიერის მიერ თინა ხიდაშელის კანდიდატად დასახელება აჩენს – ბევრს ახსოვს სკანდალური აუდიოჩანაწერი, რომლის ავთენტურობა დამაჯერებლად არავის უარუყვია და საიდანაც ღარიბაშვილ-ხიდაშელის პიროვნულ ურთიერთობაზე არც თუ ისე სახარბიელო დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი. ძნელი დასაჯერებელია, ისედაც საკმაოდ რთულ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდა პრემიერი პოლიტიკურად და საგარეო მხარდაჭერით არათანაბარზომად კანდიდატურამდე თავად მისულიყო.

პიროვნული ელფერი დაჰკრავს პრეზიდენტ მარგველაშვილის გადაწყვეტილებასაც. მან კანდიდატების პარლამენტისთვის წარდგენის გადავადების ერთ-ერთ მიზეზად თავდაცვის მინისტრის პოსტი – შესაბამისად, თინა ხიდაშელის კანდიდატურა დაასახელა. მით უმეტეს, რომ მან ბრიფინგზე ერთგვარ ვერბალურ მანიპულაციასაც მიმართა. მან პროცესი კი არ „გადაავადა", როგორც თავად მოიხსენია, არამედ სრულად გამოიყენა კონსტიტუციის ფარგლებში მისთვის გადაწყვეტილების მისაღებად მინიჭებული ერთკვირიანი ვადა. ამ ვადის გასვლის შემდეგ გიორგი მარგველაშვილი უბრალოდ იძულებულია პარლამენტს მისთვის შეთავაზებული კანდიდატურები წარუდგინოს.

ყველაფერი ეს ერთად ამძაფრებს იმ ეჭვებს, რომლებსაც ქვეყანაში არაფორმალური მმართველობის შესახებ „ქართული ოცნების" გულშემატკივრებიც კი იზიარებენ. ამ კონტექსტში არ უნდა დაგვავიწყდეს სამთავრობო ცვლილებების ინიცირებამდე რამდენიმე დღით ადრე გამართული შეხვედრა ბიძინა ივანიშვილსა და რიჩარდ ნორლანდს შორის.

ყველაზე საინტერესო ბოლო სამთავრობო ცვლილებებში „რესპუბლიკელების" ფაქტო-

რია. როგორც ჩანს, ახალ კაბინეტში მათი გაზრდილი წარმომადგენლობა პარტიას მეტ სახელისუფლებო პასუხისმგებლობას დააკისრებს. ეს კი „რესპუბლიკური პარტიისთვის“ შანსიცაა და გამოწვევაც.

აქამდე მთლიანად პარტია და მისი წევრები პიროვნულად „ოცნების“ ხელისუფლების ზოგიერთი არაპოპულარული გადაწყვეტილებისგან ერთგვარ დისტანცირებას ახერხებდნენ. მათ შეინარჩუნეს ინტელექტუალთა ჯგუფის იმიჯი, რომელთაც ყველაფერზე, მათ შორის, მთავრობის გადაწყვეტილებებზეც, კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმა შეუძლიათ. მთავრობაში სამმინისტრიანი წარმომადგენლობა კი (ხიდაშელისა და აგულაშვილის გარდა, კაბინეტში პაატა ზაქარეიშვილი რჩება) მათ ამ ფუფუნებას ნაკლებად შეუნარჩუნებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა კაბინეტის წევრი პოლიტიკურად მძიმეწონიანი თინა ხიდაშელი ხდება. ცხადია, მას ამ პოსტის გამოყენება პარტიის რეიტინგის გასაზრდელადაც შეუძლია, მაგრამ ამისთვის საჭირო გახდება რთული პოლიტიკური ლავირება. 2016 წლის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გადახალისებული მთავრობა რისკის ქვეშ თავიდანვე დგას. ქართული წინასაარჩევნო პროცესის დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ხელისუფლებებს „მმართველობის წლების ტვირთისგან“ გასათავისუფლებლად არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მთავრობის შემადგენლობის რადიკალურად შეცვლა უხდებათ ხოლმე. საკითხავი ის არის, გაძლებს თუ არა თინა ხიდაშელი ღარიბაშვილის კაბინეტში ისე, რომ არც თავისი და არც პარტიის პოლიტიკური წონა არ შეამციროს.

მრავალმხრივ მომგებიანი პოლიტიკური თამაშის ეს რაუნდი ბიძინა ივანიშვილისთვის ჩანს. მან გაცხადებულად პროდასავლელი ხიდაშელის თავდაცვის მინისტრობით დასავლელების, განსაკუთრებით ამერიკელების, გული მოიგო; თავისი ჯგუფიანად დაასუსტა „უძღები შვილი“ ირაკლი ალასანია, რომლის მთავარი კოზირი უალტერნატივო პროდასავლურობაა და კოალიცია „ქართული ოცნების“ მღვრიე რიგებში "რესპუბლიკური პარტია“ შემოიმტკიცა. კოალიციაში შემავალ სუბიექტებს შორის მათ ერთადერთს აქვთ დამოუკიდებელი თამაშის რესურსი.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, ბოლო ცვლილებებით ქართულმა დემოკრატიამ ფორმალურად ნამდვილად მოიგო. აშკარაა, რომ პრემიერის ინიციატივას პრეზიდენტი უთქმელად და მორჩილად არ იზიარებს. არც პარლამენტი, მათ შორის კოალიცია „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წევრი აპირებს, უტყვი ნოტარიუსის როლი იკისროს. სხვა საკითხია, რამდენად არის შინაარსით დატვირთული ეს ფორმალური პროგრესი. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების ჯაჭვი ჯერ კიდევ გაუმჭვირვალე რჩება. შესაბამისად, რთულია დავასკვნათ, რამდენად დემოკრატიული იყო „ქართული ოცნების“ წიაღიდან სამინისტრო კანდიდატების გამოკვეთის პროცესი.

ფოტო: ლალი გლაბერიძისა / საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ხელიჩოს ძიებაში: შესაძლებელია თუ არა "ბეიმანული ხედვის" დაძლევა?

კორნელი კაკაჩია

■ მჭიდრო კულტურული, სამეცნიერო, კავშირების მიუხედავად, დღესდღეობით ქართულ -გერმანულ ურთიერთობებს საუკეთესო დროება ნამდვილად არ უდგას. ამას მრავალი მიზეზი აქვს. გერმანია იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, თუმცა ორმხრივი ურთიერთობები ისე ვერ აეწყო, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. არადა, არსებული მდიდარი და მჭიდრო ისტორიული ურთიერთობების ფონზე ეს უფრო პარადოქსია, ვიდრე მოვლენების განვითარების ლოგიკური შედეგი.

უკრაინაში მიმდინარე კრიზისის ფონზე, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გერმანიის, როგორც ევროპის ლიდერი სახელმწიფოს პოზიციას. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია დასავლურ სანქციებს ოფიციალურად მხარს უჭერს, ცდილობს კრემლთან მისასვლელი ხიდები ბოლომდე არ დაწვას. გერმანული დიპლომატია ჯიუტად ცდილობს უკრაინის კონფლიქტის მოგვარების ისეთი სქემების გამონახვას, რომ მოსკოვმა სახე შეინარჩუნოს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით ჯერჯერობით ხელშესახები შედეგები არ ჩანს, ბერლინი აგრძელებს ახალი ევროპული უსაფრთხოების მოდელის ძიებას, სადაც განსაკუთრებული ადგილი რუსეთსაც უნდა მიენიჭოს. ამ კონტექსტში ალბათ საინტერესოა გერმანულ-ქართული ურთიერთობების დინამიკის განხილვა, რადგან „გერმანული ბარიერის" გადალახვის გარეშე, სავარაუდოდ, ძალიან გაჭირდება საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება და მის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა. ამ საკითხის განხილვისას ალბათ ასევე უპრიანია გავიაზროთ, რამდენად შესწევს ქართულ დიპლომატიას მის ხელში არსებული მწირი რესურსებით სწორად გამოიყენოს გერმანიის მზარდი „დამარწმუნებელი" როლი როგორც რუსეთთან, ასევე ევროპელ პარტნიორებთან მიმართებაში, რათა წარმატებით გააგრძელოს დასავლეთისკენ სვლა.

ორმხრივი ურთიერთობის დინამიკა

მჭიდრო კულტურული, სამეცნიერო, კავშირების მიუხედავად, დღესდღეობით ქართულ – გერმანულ ურთიერთობებს საუკეთესო დროება ნამდვილად არ უდგას. ამას მრავალი მიზეზი აქვს. გერმანია იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, თუმცა ორმხრივი ურთიერთობები ისე ვერ აეწყო, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. არადა, არსებული მდიდარი და მჭიდრო ისტორიული ურთიერთობების ფონზე ეს უფრო პარადოქსია, ვიდრე მოვლენების განვითარების ლოგიკური შედეგი.

მიუხედავად ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში აღებული იმედისმომცემი სტარტისა, ქართულმა დიპლომატიამ ვერ მოახერხა ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავება, რათა მას სტრატეგიული ხასიათი შეეძინა. ორმხრივად არაერთი მაღალი დონის ვიზიტი ხორციელდებოდა. თუმცა იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები უფრო პერსონალურ ფაქტორებზე იყო დამოკიდებული, ვიდრე ინსტიტუციურ თანამშრომლობაზე. ამ თვალსაზრისის გამყარებას ხელს უწყობდა ედუარდ შევარდნაძის ახლო და პირადი ურთიერთობები იმდროინდელ გერმანელ პოლიტიკურ ლიდერებთან, ჰანს დიტრიხ გენშერთან და ჰელმუტ კოლთან, რომლებიც ორი ქვეყნის ასიმეტრიული ურთიერთობების მიუხედავად, უჩვეულო მხარდაჭერას უცხადებდნენ მის პოლიტიკას. მაღალი დონის კონტაქტები და ის მრავალწლიანი დახმარება, რომელიც გერმანიამ საქართველოს ხელისუფლებას გაუწია, ვერ გახდა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუციურ ჩარჩოში გადაყვანის საწინდარი. ეს კი ხელს უშლიდა ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცებას.

გერმანიასთან სტრატეგიული ურთიერთობების გაღრმავება ვერც შემდგომმა ხელისუფლებამ მოახერხა. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოსულმა ახალმა მთავრობამ, რომელშიც ქართული პოლიტიკური ელიტის „ანგლოსაქსური ფრთა" დომინირებდა, უპირატესობა აშშ-სთან სტრატეგიული ურთიერთობების გაღრმავებას მიანიჭა.

ანგელა მერკერი
და ირაკლი ღარიბაშვილი

ფოტო: ბორის კაკაბაძე

შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ, რომელმაც ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ახალ სიმაღლეებზე ასაყვანად გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მთელი ფსონი აშშ-ზე დადო და ამით მეორე პლანზე გადასწია ევროპელ მოკავშირეებთან, მათ შორის გერმანიასთან ურთიერთობები. როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, თბილისის მხრიდან ეს სტრატეგიული შეცდომა იყო. თავის მხრივ, გერმანიის ხელისუფლებაც, რომლის საგარეო პოლიტიკაშიც ტრადიციულად ყოველთვის დომინირებდა პოსტსაბჭოთა სივრცისადმი „რუსოცენტრისტული ხედვა“, აქტიურად იყო ჩაბმული „რუსეთის მოდერნიზაციის“ გეგმებში, რომლის ერთ-ერთი წარმმართველ ძალას გერმანულ ბიზნესი წარმოდგენდა.

საქართველოში გატარებული რეფორმებისადმი გარკვეული სიმპათიის მიუხედავად, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გამწვავების ფონზე, ორმხრივი ურთიერთობები თითქოს შესუსტდა და თანდათანობით გაცივდა. 2006 წლიდან კი ქართულ-გერმანული ურთიერთობები ფაქტობრივად დეგრადაციის გზას დაადგა, რამაც ხელი შეუწყო ორმხრივი გულაცრუების პროცესის დაწყებას. მაშინ, როცა ბერლინი საქართველოს ხელისუფლებას ირიბად სდებდა ბრალს რუსეთთან კონფრონტაციული ფონის შექმნაში და მოუწოდებდა მეტი ზომიერებისკენ, თბილისში უფრო და უფრო ხშირად იყო საუბარი გერმანულ პოლიტიკურ სპექტრზე „გაზპრომის“ გავლენების შესახებ და ვარაუდი, რომ სწორედ გერმანიის მეშვეობით ცდილობდა რუსეთი საქართველოს ევროატლანტიკური ამბიციების მოთოკვას. ამ ყველაფერმა საკუთარი ლოგიკური დასასრული ბუქარესტის სამიტის დროს ჰპოვა, როდესაც საფრანგეთთან ერთად, სწორედ გერმანიის ძალისხმევის შედეგად, საქართველომ ბუქარესტის სამიტზე ვერ მიიღო ნატრი MAP-ი (გაწევრიანების სამოქმედო გეგმა). ჩვენდა სამწუხაროდ, გერმანიის პოზიცია დიდად არც ბუქარესტის სამიტის შემდეგ შეცვლილა. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, დროდადრო იქმნება შთაბეჭდილება, რომ ორმხრივი ურთიერთობები ჩიხშია შესული, რომელიც, თავის მხრივ, ხელს არ უწყობს ურთიერთობებში ნდობაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბებას.

უხერხული პარტნიორი

გერმანია ფორმალურად მხარს უჭერს ნატოს ღია კარის პოლიტიკას, საქართველოს ევროპულ არჩევანს და საქართველოსთან სხვადასხვა საკითხში აქტიურად თანამშრომლობს. თუმცა ქართული პოლიტელიტის მოსაზრებით, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოუნელებია გერმანიის ხისტი პოზიცია ბუქარესტის სამიტზე, სწორედ გერმანიის მიერ აღმართული ახალი „ბერლინის კედელი“ უშლის ხელს საქართველოს შემდგომ ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სივრცეში. ასევე ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ გერმანია რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობების ფონზე საქართველოსთვის MAP-ის მინიჭებას ძირითადად იმ პრობლემების გამო ეწინააღმდეგება, რომლებიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებს უკავშირდება. უკრაინის მოვლენებმა და რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ დაადასტურა, რომ ეს მართლაც ასეა. გერმანიაში, ისევე როგორც ნატოს წევრ სხვა სახელმწიფოებში, არავის იზიდავს საქართველოს ან უკრაინის გამო ბირთვულ რუსეთთან დაპირისპირების პერსპექტივა. ჩვენდა სამწუხაროდ, ასევე საკმაოდ ფეხმოკიდებულია მოსაზრება, რომ ალიანსმა უნდა განიხილოს რუსეთის „კანონიერი წუხილები მისი უსაფრთხოების თაობაზე“ აღმოსავლეთით ნატოს შესაძლო გაფართოებასთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოაღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან და გარკვეულ დისკომფორტს უქმნის თბილისს ბერლინთან ურთიერთობების დალაგებაში.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საქართველოში ხელისუფლების ცვლი-

ლებისა და ბოლო პერიოდში ორმხრივი ურთიერთობების გარკვეული გამოცოცხლებისა, ჯერჯერობით გერმანია კვლავ რჩება ყველაზე უხერხულ დასავლელ პარტნიორად. რუსეთთან, ე.წ. პრაგმატული საგარეო პოლიტიკის წარმოების მიუხედავად, ოფიციალური თბილისი ჯერჯერობით ვერ ახერხებს დაარწმუნოს ბერლინი და სხვა სკეპტიკოსი ქვეყნები საქართველოს ნატოში გაწევრიანების აუცილებლობაში. უკრაინაში შექმნილი სიტუაციის ფონზე ეს ამოცანა ორმაგად გართულდა. ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორი უნდა იყოს თბილისის სტრატეგია ამგვარ ვითარებაში, რათა გერმანული „Ney" საქართველოსადმი უფრო პოზიტიური შეფასებით შეიცვალოს?

რა თქმა უნდა, გრძელვადიანი სტრატეგია და ორმხრივ ურთიერთობებში გარდატეხის შემომტანი ჯადოსნური ფორმულა ჯერაც არ არსებობს, თუმცა, მიუხედავად არსებული პრობლემებისა, თბილისმა სხვა მოკავშირეებთან ერთად უნდა გააგრძელოს ახალი გზების ძიება საკუთარი პოლიტიკის გერმანიის პოლიტიკასთან დასაახლოებლად. ცნობილი ყბადაღებული გამოთქმის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების გასაღები შესაძლოა მხოლოდ ბრიუსელში და ვაშინგტონში არ იყოს და ის ბერლინშიც მოიძიოს.

რა უნდა გაკეთდეს?

მიუხედავად არსებული წინააღმდეგობებისა, ქართულ დიპლომატიას უახლოეს წლებში მიზანმიმართული ძალისხმევა სჭირდება ბერლინისა და სხვა სკეპტიკოსი სახელმწიფოების დასარწმუნებლად, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება გარდაუვალი პროცესია და საქართველოს ევროატლანტიკური პერსპექტივის დაბლოკვა ხელს კი არ უწყობს რეგიონალური მშვიდობის შენარჩუნებას, არამედ პირიქით, არყევს მის სტაბილურობას.

ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობების განსამტკიცებლად ასევე საჭიროა მეტი კომუნიკაცია გერმანიის პოლიტიკურ ელიტასთან, ანალიტიკურ ცენტრებთან, არასამთავრობო სექტორთან, პოლიტიკურ პარტიებთან, რომ საქართველოს საკითხი, მოლდოვასთან და უკრაინის საკითხთან ერთად მეტ-ნაკლებად აქტუალური გახდეს გერმანული საზოგადოებრივი აზრისთვის. ამ ორგანიზაციებთან მუშაობა იმიტომაცაა აუცილებელი, რომ მათი შეფასებები ხშირად საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას უწყობს ხელს. მთავრობა იძულებულია ამას ანგარიში გაუწიოს.

გარდა ამისა, აუცილებელია ნდობაზე დაფუძნებული პოლიტიკური დიალოგის გზით, ორივე მხარეს არსებული სტერეოტიპების დაძლევა, რაშიც საკუთარი როლი ქართული პოლიტიკური კლასის გერმანულენოვანმა ნაწილმაც უნდა შეასრულოს მან საკუთარი აქტიურობით უნდა შეძლოს არსებული ნეგატიური ნარატივის შეცვლა და საკუთარი სათქმელის მიტანა გერმანულ საზოგადოებამდე. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების ეს მნიშვნელოვანი ნაწილი ხშირად პოლიტიკური და კონიუნქტურული მოსაზრებების გამო, ბოლო წლებში მოკლებული იყო ასეთ შესაძლებლობას. ბოლო 25 წლის განმავლობაში ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ საკუთარი რიგებიდან ვერ წამოსწია პოლიტიკოსი, რომელიც შეძლებდა გერმანულენოვან სამყაროსთან მათთვის გასაგებ ენაზე კომუნიკაციას და მათი ნდობის მოპოვებით ორმხრივი ურთიერთობების ახალ სიმაღლეზე აყვანას.

თითქმის იგივე ითქმის პოლიტიკურ პარტიებზეც, რომლებმაც საქართველოში მოქმედი არაერთი გერმანული ფონდის მცდელობის მიუხედავად, ასევე ვერ შეძლეს გერმანულ პოლიტიკურ სპექტრთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება. ამ აზრის გასამყარებლად შეიძლება მოვიშველიოთ ადენაუერის ფონდის მაგალითი, რომელმაც, გერმანიის ქრისტიანულ დემოკრატიული პარტიის სახელწოდებასთან ფორმალური მსგავსების გამო, დიდი რესურსი ჩადო გიორგი თარგამაძის ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში. როგორც დრომ დაგვანახა, ქვეყანაში, სადაც პარტიული სისტემის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ არაა დასრულებული და იდეოლოგიურ პოსტულატებზე დაფუძნებული დებატების კულტურა ჯერ კიდევ უცხო ხილია, ეს სრულიად დაკარგული ინვესტიცია იყო. მეორე მხრივ, კიევის მოქმედი მერის ვიტალი კლიჩკოს პოლიტიკური ბიოგრაფია თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია გერმანულენოვან პოლიტიკურ ლიდერს ქვეყნებს შორის ურთიერთობების განმტკიცებაში. მიუხედავად იმისა, რომ კლიჩკო დღემდე ვერ გახდა უკრაინის საერთო ეროვნული ლიდერი, ის პოზიტიურ როლს თამაშობს გერმანულ-უკრაინულ პოლიტიკურ დიალოგში და, რაც მთავარია, გერმანული საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ აქტიურად უჭერს მხარს მის ნებისმიერ წამოწყებას. კლიჩკოს ფენომენის არსებობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ-გერმანული ურთიერთობების გაუმჯობესების პერსპექტივა მხოლოდ სახელმწიფოს პროგრამატივა არაა და აუცილებელია ამ პროცესში როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ასევე პოლიტიკური სუბიექტების აქტიური თანამონაწილეობა.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ნატოში გაწევრიანებისგან განსხვავებით, გერმანია ყოველთვის მხარს უჭერდა ჩვენს მოლაპარაკებებს ევროპის კავშირთან ასოცირების ხელშეკრულების, თავისუფალი ვაჭრობისა და ვიზაზე დიალოგის დაწყების შესახებ. ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გერმანიის მტკიცე პოზიციას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. როგორც ამას წინათ თბილისში ვიზიტად მყოფმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა განცხადა, მისი ქვეყანა არასოდეს აღიარებს რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის გაფორმებულ, ე.წ. ხელშეკრულებას, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია საქართველოს ანტიანექსიური პოლიტიკის წარმატებისთვის.

დაზღვევის 25 წლის იუბილე

ზუსტად 25 წლის წინ, 1990 წელს, საქართველოს სადაზღვევო სამედიცინო კომპანია ალდაგი შეიქმნა. ჭავჭავაძის გამზირისა და ბერძენიშვილის ქუჩის კუთხის პატარა ოფისის ორ ოთახში სამი თანამშრომელი მუშაობდა. მათ მიერ დაზღვეული პირველი ორგანიზაცია კი საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები იყო, რომელიც 5000 ადამიანს აერთიანებდა. ასე დაიწყო საქართველოში ფუნქციონირება პირველმა სადაზღვევო კომპანია – „ალდაგმა". „ალდაგის" დაარსებით კი საქართველოში დაზღვევის ისტორია იწყება.

უკვე ერთ წელიწადში, 1991 წელს, „ალდაგის" მთლიანმა მოზიდულმა პრემიამ ერთ მილიონ მანეთს გადააჭარბა. დაარსებიდან 4 წელიწადში, 1994 წელს, ალდაგმა საქართველოში უდიდესი გადამზღვევი კომპანია Swiss Re მოიწვია.

ქვეყნის ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური ფონის მიუხედავად, „ალდაგი" განვითარებას არ წყვეტდა და ამ განვითარებით ბაზრის წინსვლასაც უწყობდა ხელს. კომპანიამ ბაზარს სიცოცხლის დაზღვევა შესთავაზა. რასაც ქონების ავტომობილების, სამოგზაურო, შემდეგ კი მოქალაქეების ინდივიდუალური ჯანმრთელობის დაზღვევა მოჰყვა.

განვითარებასთან ერთად კომპანია არ წყვეტს საქველმოქმედო და სოციალური პროექტების განხორციელებას. ალდაგი საქართველოში მცხოვრები 245 000 ბავშვის ჯანმრთელობას აზღვევდა. 2000 წელს კომპანია ალდაგი საქველმოქმედო ორგანიზაციათა ათეულში დასახელდა.

საქართველოში წარმატებულმა კომპანიამ მალე საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა. ჟენევაში გამართულ BUSINESS INITIATIVE DIRECTIONS-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე „ალდაგი" საუკუნის ოქროს კატეგორიით დაჯილდოვდა.

ინოვაციური პროდუქტები კომპანიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ინდუსტრიისა და ზოგადად ქვეყნის განვითარების მიზნით განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტი აგროდაზღვევა იყო. 2008 წელს „ალდაგმა" ის ბაზარზე პირველმა გამოიტანა. 2012-2014 წლებში კომპანიამ ამ მიმართულებით, 3 მილიონ ლარზე მეტი ზარალი აანაზღაურა. „ალდაგი" ამჟამადაც აქტიურადაა ჩართული აგროდაზღვევის სახელმწიფო პროექტში. ბოლო 5 წლის განმავლობაში ქონებრივი რისკების დაზღვევის მიმართულებით „ალდაგმა" სულ 58 მილიონი ლარის ზარალი აანაზღაურა. აქედან 15 მილიონი ლარი – მხოლოდ 2014 წელს.

„ჩვენ 25 წლის განმავლობაში აქტიურად და სტაბილურად ვართ წარმოდგენილები სადაზღვევო ბაზარზე და მუდმივად ვცდილობთ ქვეყანაში ამ სფეროს განვითარების ხელშეწყობას: თანამედროვე პროდუქტების დანერგვას როგორც კორპორაციული, ისე ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის, რათა ადამიანებმა, რომლებიც მთელი ეს წლები „ალდაგს" ენდობოდნენ, თავი მაქსიმალურად დაცულად იგრძნონ", – აღნიშნავს კომპანიის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი.

„ალდაგისთვის" სტაბილურობა მხოლოდ პოლისების გაცემით არ გამოიხატება. სანდოობის მოპოვებისთვის დიდი მნიშვნელობა მომხმარებლებზე ზრუნვას, მათთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნასა და ზარალის ანაზღაურების სიმარტივეს აქვს. ქართულ სადაზღვევო ისტორიაში მნიშვნელოვანია „ალდაგის" მიერ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ზარალის ანაზღაურება – 2003 წელს კახეთში ჭაბურღილზე ინციდენტის შედეგად დაიღვარა ნავთობი, ზარალმა 4 მილიონ ლარს გადააჭარბა. კომპანიამ ის მოკლე ვადაში აანაზღაურა.

სადაზღვევო კომპანიის არჩევისას ადამიანებმა ყურადღება სწორედ სტაბილურობას, გამოცდილებას, განვითარების დინამიკას, მის გადამზღვეველებს, რისკის მართვის ეფექტურობასა და კორპორაციულ კულტურას უნდა მიაქციონ. „ალდაგი" ყველა ამ პარამეტრით ლიდერია.

„სტაბილურობა, რომელიც 25 წლის განმავლობაში ჩვენგან მოსახლეობამ იგრძნო, კომპანიის შედეგებზეც აისახება. დღესდღეობის მოსახლეობის 99%-სთვის დაზღვევა სწორედ „ალდაგთანაა" ასოცირებული. სულ უფრო მეტი ადამიანი ენდობა ჩვენს კომპანიას, რითიც, ბუნებრივია, ვამაყობთ და ვცდილობთ, მუდმივად შევთავაზოთ მათ სიახლეები, წავახალისოთ და დავიცვათ ისინი", – ამბობს გიორგი ბარათაშვილი.

ბაზრის წილი მოზიდული პრემიის მიხედვით
(2014 წელი)



ალდაგის პროდუქტების წილი
(2014 წელი)



ბაზრის წილი ანაზღაურებული ზარალის მიხედვით
(2014 წელი)



ალდაგი

რეკლამა



ფოტო: ალეკო ბერიაშვილი

სოფელი დუისი. პანკისის ხეობა. შუადღის 13:30 საათი. პარასკევის ლოცვა.

ხეობა ჩიდილში

პანკისის ხეობაში არსებული ვითარების აღწერა ერთი სტატიით შეუძლებელია. მიუხედავად მედიის პერმანენტული ყურადღებისა, პრობლემების მთავარი არსი მაინც ჩრდილშია.

ერეკლეულ ბიბლიოთეკა

ზურაბ ვარდიაშვილი

გიორგი ჭეიშვილი

„ალლაჰუ აქბარ – ალლაჰი დიდია
ვმონმობ, რომ არ არის ღვთაება, გარდა
ალლაჰისა,
ვმონმობ, რომ მუჰამედი შუამავალია
ალლაჰისა,
მოდით სალოცავად,
მოდით გადასარჩენად,
ალლაჰი დიდია,
არ არის ღვთაება, გარდა ალლაჰისა“.

სოფელი დუისი. პანკისის ხეობა. შუადღის 13:30 საათი. პარასკევის ლოცვა. მართკუთხა ფორმის მეჩეთს ნითელი აგურითა და შავი ქვებით ნაგები მინარეთით შორიდანვე გამოარჩევთ. კოსტიუმში გამოწყობილი, მეტნილად შუახნის და ასაკოვანი მამაკაცები მეჩეთისკენ მიიჩქარიან.

ფეხშიშველი მორწმუნეები ნოხზე იჩოქებენ, პირით მექისკენ, ლოცვის რიტუალი არაბულ ენაზე, მკაცრი წესრიგით მიმდინარეობს, მამაკაცები მუხლებზე სინქრონულად ეცემიან. მიუხედავად იმისა, რომ მათ უმეტესობას ლოცვის ენა არ ესმის, სიტყვებს შთაგონებით წარმოთქვამენ. ჩვენს დაკვირვებულ მზერას და ფოტოაპარატს ჩხაკუნს არცერთი არ იმჩნევს – იმამმა საგანგებოდ ჩვენთვის გამონაკლისი დაუშვა და ფოტოგრაფ ქალს ლოცვაზე დასწრების ნება დართო.

მლოცველები საკუთარ თავს ტრადიციული ისლამის მიმდევრებს უწოდებენ. ბოლო წლებში მომძლავრებული ფუნდამენტური ისლამის მიმდევრებისგან ნაკლები დოგმატურობა, განსხვავებული რწმენისა და ტრადიციების მეტი მიმღებლობა გამოარჩევთ. განსხვავებულად უყურებენ პრობლემასაც, რომელმაც ქართული მედიის უდიდესი ნაწილის ყურადღება ახლახან მიიქცია, თუმცა პანკისელები უკვე კარგა ხანია მიეჩვევნენ – ბიჭები და გოგონები ISIS-თან შეერთებაზე ფიქრობენ, ახალგაზრდების ნაწილი კი თურქეთის გავლით სირიისკენ მიემართება: ბიჭები – საღვთო ომში ჩასართავად, გოგონები – მოჯაჰედებზე საქორწინოდ.

ხეობის სოფლებში რამდენიმე დღის გატარება საკმარისია, რათა იგრძნოთ ჩუმი დაძაბულობა, შიში და უნდობლობა უცხოს ან ერომანეთის მიმართ. მამაკაცები ჟურნალისტების კითხვებს ან გაურბიან, ან პასუხის გაცემისას ხმას იდაბლებენ, მეტ სითამამეს ქალები იჩენენ...

ხეობა

პანკისის ხეობა ალაზნის ველზეა გაშლილი. დასავლეთით თინანეთის ზეგანი და ხევსურეთით დასახლებული ზემო არაგვის ველი, აღმოსავლეთით კი თუშეთის მაღალმთიანი ქვაბული ემეჯნება.

ხეობაში თბილისიდან რამდენიმე გზით მოხვდებით. ერთ-ერთი გომბორის უღელტეხილის გავლით, კახეთის ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრამდე – თელავამდე მიდის. შემდეგ კი ვენახებსა და ხეხილის ბა-

ფოტო: ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუწყობელი საგზაო ინფრასტრუქტურის მოუხედავად პანკისელთა დიდი ნაწილი ველოსიპედებით გადადგილდება

ღიღებში ჩაფლული სოფლების უწყვეტი ჯაჭვი ახმეტამდე მიგიყვანთ.

ახმეტიდან გზა ჩრდილოეთით, უკვე პირდაპირ პანკისის ხეობამდე მიდის. ხეობის უდიდეს სოფელს, დუისს, ალაზნის გასწვრივ მორიგი ქისტური სოფლებში მოაყვება, – ჯოყოლო, ბირკიანი, ჯიბახევი...

ე.წ. ჯუბირით და ხიდით მდინარის მეორე ნაპირზე გადასულს უმეტესად ქისტებით დასახლებული სოფლები შემოგხვდებათ – ქვეღიმო, შუა და ზემო ხალანანი, დუმასტური, ომალო...

ერთი შეხედვით, ხეობაში ცხოვრება ჩვეულებრივი, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსი რიგმით მიედინება. მოსახლეობის ნაწილი ისევე დაუსაქმებელი, შეძირვებული და სოციალურად დაუცველია, როგორც სხვაგან. ადგილობრივები, რომლებიც საჯარო სამსახურში, სკოლებსა და ბაღებში არ საქმიანობენ, ძირითადად მესაქონლეობას მისდევენ, აქვთ პატარა მაღაზიებიც.

უხუცესები

თვითმმართველობის გარდა, ხეობაში უხუცესთა საბჭოც მოქმედებს. საქმე ისაა, რომ ადგილობრივები სასამართლოს ან პოლიციას იშვიათად მიმართავენ. საბჭო სახელისუფლებო სტრუქტურების ერთგვარი ალტერნატივაა.

სათემო ორგანიზაცია – „უხუცესთა კავშირი“ მოქალაქეთა ნებაყოფლობითი, არასამთავრობო, არაპოლიტიკური, არამომგებიანი საზოგადოებრივი გაერთიანებაა.

წესდების მიხედვით, უხუცესთა კავშირი მიზნად ისახავს პანკისის ხეობის სოფლებში არსებული პრობლემების გამოვლენას, შესწავლას და გადაწყვეტას; ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან აქტიურ თანამშრომლობას და ხეობისთვის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტის საქმეში ნინადადებების შემუშავებას, ხეობაში შემავალი სოფლების შიგნით არსებული მეზობლური, საოჯახო დავების გადაწყვეტის ხელშეწყობას, სასამართლოში სოფლის მოსახლეობის ინტერესების დაცვას და ა.შ.

უხუცესთა კავშირის წევრი შეიძლება გახდეს 50 წელს მიღწეული პანკისის ხეობის ქისტურ სოფლებში რეგისტრირებული ან მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, რომელიც იზიარებს ორგანიზაციის ამოცანებსა და მიზნებს.

უხუცესთა კავშირი განუსაზღვრელი ვადითაა შექმნილი, მისი მართვის ორგანოები კი საერთო კრება, გამგეობა და თავმჯდომარეა.

ამ დროისთვის უხუცესთა კავშირს ფუისის მკვიდრი – სოლცა ქავთარაშვილი ხელმძღვანელობს.

აპრილის დასაწყისში კახეთის საინფორმაციო ცენტრმა პანკისის ხეობიდან ორი ახალგაზრდის სირიაში წასვლის შესახებ გამოაქვეყნა ინფორმაცია. 16 წლის მუსლიმ კუმტანაშვილი და 18 წლის რამზან ბაღაკაშვილი ომალოს საჯარო სკოლაში სწავლობდნენ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭომ განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნულია: „პანკისის ხეობის ქისტი მოსახლეობის უხუცესთა სათემო კავშირი გმობს სირიაში არასრულწლოვანი ახალგაზრდების საომრად გაგზავნას.. ჩვენი ძალებით არ შეგვიძლია აღვკვეთოთ ეს არანორმალური მოვლენა. გამომდინარე აქედან მიგვაჩნია, რომ უნდა მივმართოთ ძალოვან სტრუქტურებს, ხელისუფლებას, პარლამენტს, გაგგინიოს დახმარება არასრულწლოვანი სკოლის მოსწავლეებისა და ახალგაზრდების სახლში დასაბრუნებლად და იმ პირების გამოსაცალკევად, რომლებმაც დაადგინანსეს, პროპაგანდა გაუწიეს და დაეხმარნენ, უკანონოდ სახეკმნიფო საზღვრის გადაკვეთაში ხელი შეუწყვეს მათ“.

„უხუცესთა კავშირის“ თავმჯდომარე სოლცა ქავთარაშვილი აღნიშნავს, რომ პანკისის ხეობის პრობლემებთან მიმართებაში მთავრობა მოდუნებულია და აქ არსებულ ვითარებას სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

ხეობაში თბილისიდან რამდენიმე გზით მოხვდებით. ერთ-ერთი გომბორის უღელტეხილის გავლით, კახეთის ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრამდე – თელავამდე მიდის. შემდეგ კი ვენახებსა და ხეხილის ბაღებში ჩაფლული სოფლების უწყვეტი ჯაჭვი ახმეტამდე მიგიყვანთ. ახმეტიდან გზა ჩრდილოეთით, უკვე პირდაპირ პანკისის ხეობამდე მიდის. ხეობის უდიდეს სოფელს, დუისს, ალაზნის გასწვრივ მორიგი ქისტური სოფლები მოაყვება, – ჯოყოლო, ბირკიანი, ჯიბახევი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

■ ჩვენ მას ვუყვებით სპეციალური რელიგიური სასწავლებლების, ე.წ. ჰუჟურების შესახებ, სადაც, ადგილობრივთა თქმით, არაბულ ენასა და ყურანს ბავშვებს ინტენსიურად ასწავლიან, ჰუჟურები კარგად დაფინანსებული დაწესებულებებია, სადაც არაბული ენის შესწავლისთვის ბავშვები ფინანსურ წახალისებასაც იღებენ. თავდაპირველად თამაზ ქავთარაშვილი პარალელს სხვადასხვა ენების შესწავლასთან ავლებს. „ინგლისურს რომ სწავლობენ ბავშვები, განა ეს ცუდია?" – კითხვას სვამს ის. თუმცა მას შემდეგ, რაც დაფინანსების წყაროებზე ვკონკრეტდებით, გვეუბნება, რომ არც ჰუჟურების და არ მათი დაფინანსების შესახებ არაფერი იცის, და რომ ამ საკითხს შესაბამისი ორგანოები უნდა იძიებდნენ.

„ხელშეწყობა რომ არა, როგორ მოახერხებდნენ სკოლის მოსწავლეები საზღვარზე გადასვლას?! არ ვიცი რა უნყობს ხელს იმას, რომ ბავშვებს სირიაში წასვლის სურვილი უჩნდებათ, ტყუილს ვერ ვიტყვი. აქ არიან ვიღაც-ვიღაცები და მთავრობამ ყველაფერი კარგად იცის. ამ საქმეს უშიშროება გამოიძიებს და მტყუან-მართალს დაადგენს, „უხუცესთა კავშირი" ამ პრობლემის წინაშე უძლურია, არ ვიცი რა გავაკეთოთ", – ამბობს სოლეა ქავთარაშვილი.

სოლეა ქავთარაშვილი ტრადიციული ისლამის მიმდევარია. ფუნდამენტური ისლამის მიმდევრებთან დაკავშირებით კონკრეტული საუბრისგან თავს იკავებს, ზოგადად კი ამბობს, რომ ხეობაში ფუნდამენტალისტები მოსახლეობის 60-70% შეადგენენ და ძირითადად ახალგაზრდები არიან – „ჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს; პანკისის ხეობისთვის ბევრი სასარგებლო რამ გააკეთეს, ქურდობა, ავაზაკობა, ნარკომანობა მოსპეს ხეობაში; საერთოდ, მაჰმადიანური სარწმუნოების მიხედვით, ყურანი ამ ყველაფერს კრძალავს, სწორედ ამას ქადაგებენ", – აღნიშნავს უხუცესთა კავშირის თავმჯდომარე.

მამაკაცთა საბჭოსთან ერთად პანკისში ქალთა საბჭოც მოქმედებს, ის 2011 წლის ივნისში დაარსდა. უხუცეს კაცთაგან იმით განსხვავდება, რომ სასამართლოს ჩატარების, ასევე გვარების მონვევის უფლება არ აქვს. თუმცა, როდესაც კაცების საბჭო რომელიმე ქალის საქმეს განიხილავს, ქალები აქტიურად ერთვებიან. ქალები მეტ განგაშს ტეხენ მოჯაჰედების ინტენსიურ გადინებაზეც:

„ყველა პანკისელ დედას!

ბოლო პერიოდში ქართული მედია ფართოდ მოიცავა პანკისის ხეობიდან ქისტი ახალგაზრდების სირიასა და ერაყის შეიარაღებულ კონფლიქტში წასვლის თემამ. უხუცეს ქალთა საბჭო დიდი ხნით ადრე ცდილობდა სახელმწიფოსა და მედიის ყურადღების ამ პრობლემაზე მიპყრობას. დღეს ეს საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია არა მარტო ჩვენი კუთხისათვის, არამედ ყოველი მოქალაქისათვის.

მივმართავთ პანკისის ხეობაში მცხოვრებ ყველა დედას, უფრო იცნობდნენ მათ საურთიერთო გარემოს, ხელი შეუწყონ შვილებს მათი ინტერესების რეალიზაციაში, შეძლებისდაგვარად, მეტი დრო დაუთმონ შვილების პრობლემებს, უფრო მეტად დაუახლოვდნენ მათ, რათა ახალგაზრდებს არ მოუნდეთ საკუთარი ქვეყნისა და სამშობლოს მიტოვება. კავკასიელებისთვის სამშობლო და ოჯახი ყველაზე მტკიცე და ძლიერი ინსტიტუტია და სწორედ ამ სიმტკიცეზე დგას ჩვენი ქვეყანა. ...არ გვინდა, ეს პრობლემა უფრო მასშტაბური გახდეს და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხოებას და სტაბილურობას საფრთხე შეექმნას", – ეს უხუცეს ქალთა მონოდებაა.

ფოტო: ალეკო ალექსიძე

უხუცეს ქალთა საბჭოს ერთ-ერთ აქტიური წევრი ეთერ ციხესაშვილია, რომელსაც დუსში პატარა საოჯახო სასტუმრო აქვს. ხუთი შვილის დედა, ათი შვილიშვილის ბებია და ერთი შვილთაშვილის დიდი ბებია საოჯახოსთან ერთად საზოგადოებრივი საქმიანობითაცაა დაკავებული. უხუცეს ქალთა საბჭოს წევრი ხეობელთაგან ერთ-ერთი გამონაკლისია, რომელიც სათქმელს რიდის გარეშე ამბობს.

ფერად-ფერადი ყვავილებით და ხასხასა გაზონებით მორთული ეზო, ხანგრძლივი, მომაბეზრებელი, ტალახიანი ნვიმის მოუხედავად, სუფთად და მოვლილად გამოიყურება. შესასვლელიდან მარჯვნივ ჩადგმულ მოგრძო ფორმის სამზარეულოში ქრილ თავსაფარში, გრძელ შავ კაბასა და თბილ ჩუსტებში გამწყობილი ეთერი ჩვენთვის სადილს ამზადებს. საკვების შემოთავაზების პარალელურად ხეობის გასაჭირზე, ადგილობრივთა პრობლემებზე და მთავარ სატკივარზე – მებრძოლთა გადინებაზე – ემოციურად საუბრობს.

მარილუთხა ფორმის მეშეოს ნიოელი აგურითა და შავი ქვებით ნაგები მინარეთით შორიდანვე გამოარჩევთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანკისის ხეობიდან სირიაში ახალგაზრდების გადინების სტატისტიკის მოთხოვნით „ლიბერალმა“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა.

ოფიციალური თუ/და არაოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს რამდენი მოქალაქე იღებდა/იღებს სირიის სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობას 2011 წლიდან დღემდე?

რამდენი მოქალაქე გაემგზავრა სირიაში (პირდაპირ ან თურქეთის გავლით) 2011 წლიდან დღემდე?

ოფიციალური თუ/და არაოფიციალური ინფორმაციით, პანკისის ხეობაში მცხოვრები საქართველოს რამდენი მოქალაქე გაემგზავრა სირიაში და დაბრუნდა უკან 2011 წლიდან დღემდე?

ძალოვანი უწყებიდან პასუხად მიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ „შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში საქართველოს მოქალაქეების სირიაში საზღვრის კვეთის შესახებ მონაცემები არ ფიქსირდება. შესაბამისად შს სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, მოგაწოდოთ თქვენ მიერ მოთხოვნილი სტატისტიკური მონაცემები“.

სამოცი-სამოცდაათი – მოკლედ პასუხობს ჩვენს კითხვას სირიაში წასულთა მიახლოებითი რაოდენობის შესახებ ეთერ ციხესაშვილი.

ეთერი, ისევე როგორც ტრადიციული ისლამის სხვა მიმდევრები, ფუნდამენტალისტებთან შესაძლო დაპირისპირების საფრთხეს აშკარად გრძნობს, განსხვავებით ახმეტის რაიონის გამგებლის მოადგილისგან, – ახმეტის მუნიციპალიტეტის ხელისუფლებაში ხეობას თამაზ ქავთარაშვილი წარმოადგენს.

გამგებლის მოადგილე ფიქრობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს და შიდა დაპირისპირების საფრთხესაც სერიოზულად არ მიიჩნევს.

ჩვენ მას ვუყვებით სპეციალური რელიგიური სასწავლებლების, ე.წ. ჰუჟურების შესახებ, სადაც, ადგილობრივთა თქმით, არაბულ ენასა და ყურანს ბავშვებს ინტენსიურად ასწავლიან, ჰუჟურები კარგად დაფინანსებული დაწესებულებებია, სადაც არაბული ენის შესწავლისთვის ბავშვები ფინანსურ წახალისებასაც იღებენ. თავდაპირველად თამაზ ქავთარაშვილი პარალელს სხვადასხვა ენების შესწავლასთან ავლებს. „ინგლისურს რომ სწავლობენ ბავშვები, განა ეს ცუდია? – კითხვას სვამს ის. თუმცა მას შემდეგ, რაც დაფინანსების წყაროებზე ვკონკრეტდებით, გვეუბნება, რომ არც ჰუჟურების და არ მათი დაფინანსების შესახებ არაფერი იცის, და რომ ამ საკითხს შესაბამისი ორგანოები უნდა იძიებდნენ.

გამგებლის მოადგილისგან განსხვავებით ჰუჟურების შესახებ ყველა პანკისელი ლაპარაკობს, ბავშვები სკოლებსაც კი აცდენენ, რათა ყურანი და არაბული ენა ფუნდამენტური ისლამის ქადაგებების ფონზე შეისწავლონ.

ხეობაში მოსალოდნელი დაპირისპირების საფრთხის შესახებ საუბარს ყველა გაურბის – დუისელი იმამი სახლში არ არის, დასთანაა. დასთან სტუმრობის შემდეგ ირკვევა, რომ გული აწუხებს. ჯოყოლოს გამგებელი, წვიმიან, ბნელ ღამეში სანადიროდაა წასული. იმ სკოლის დირექტორი, რომლიდანაც სირიაში არასრულწლოვნები გაიპარნენ, მეზობელ სოფელში რძლის ოჯახშია გადასული – მისი რძალიც მოულოდნელად გახდა ავად...

რადიკალური ისლამის მიმდევრებს „ვაჰაბიტების“ სახელითაც იცნობენ, თუმცა თავად ეს არ მოსწონთ და საკუთარ თავს ფუნდამენტალისტებს უწოდებენ. ისინი უკვე ხეობის მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ და ძირითადად ახალგაზრდები არიან. ზოგი ამბობს, რომ ისინი უხუცესთა საბჭოს არ აღიარებენ. ჯოყოლოს მეჩეთის იმამი კი აღნიშნავს, რომ უხუცესებს დიდ პატივს სცემენ. ფუდნამენტალისტებს თავიანთი შარიათის სასამართლო აქვთ. ისეც ხდება, რომ როდესაც მომჩივანს უხუცესთა განაჩენი არ მოსწონს, ფუნდამენტალისტთა სასამართლოს მიმართავს.

ფუნდამენტური ისლამის მიმდევრებს ცხოვრების მკაცრი წესით გამოარჩევთ – ტრადიციული დღესასწაულები, ზეიმები, ღონისძიებები, გართობა მათთვის მიუღებელია.

ეს ყველაზე მეტად თვალსაჩინოა სკოლებში. ბავშვები, რომლებიც რამდენიმე წლის წინ ყველა სასკოლო ღონისძიებაში, ოლიმპიადასა თუ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, ახლა ერთადერთი სურვილით ცხოვრობენ –

გაიარონ გზა სამოთხეში მოსახვედრად, რასაც მათი წარმოდგენით, ყველანაირი ამქვეყნიური მისწრაფება უშლის ხელს.

ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების თქმით, განათლების სამინისტროს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, დეპუტატს მრავალი წერილით მიმართავენ, თუმცა ტრადიციული ბიუროკრატია საკუთარ პრინციპებს არც ასეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ღალატობს.

ჯოყოლოს მეჩეთის იმამი

წვიმიანი ამინდის გამო, ატალახებულ ეზოში ბალახი ჩვეულებრივზე მწვანე ჩანს. დაბალი ღობით შემოსაზღვრული ნაკვეთი ერთი შეხედვით სკვერს უფრო ჰგავს, თუმცა იქვე მდებარე მარკეტის შუახნის გამყიდველისგან დანამდვილებით ვიგებთ, რომ სოფელ ჯოყოლოს მეჩეთი სწორედ აქ არის.

ერთსართულიანი შენობის შესასვლელთან პატარა ზომის ფეხსაცმელები უწესრიგოდ აწყვია. კარიდან იმამი გამოდის. ფანჯრებს უკან კი ფარდები ირხევა და ბავშვების სუნთქვით დაორთქლილი მინებიდან პატარა ჯოყოლოელები ყურანის სწავლების შეწყვეტის მიზეზის გარკვევას ცდილობენ.

გიორგი გუმაშვილი 38 წლისაა, მოზრდილ შავ წვერში შიგადაშიგ ჭაღარა ურევია და სპორტული სამოსის შესაბამისი ტრანსპორტითაც გადაადგილდება – მეჩეთთან მისი შავი ველოსიპედი დგას. პანკისში საცხოვრებლად გროზნოდან, ჩეჩნეთის მეორე ომის შემდეგ გადმოვიდა. სამსახურს ხშირად იცვლიდა, ხან აქ მუშაობდა, ხან იქ. დღეს ჯოყოლოში, როგორც თავად ამბობს, სოფლურად ცხოვრობს.

იმამი გასულ წელს გახდა, განათლება არაბეთში არ მიუღია, არც არაბული იცის. ამბობს, რომ ფუნდამენტალისტებს მიაკუთვნებენ – „იმიტომ, რომ ჩვენ მივდევთ ყურანს და ღმერთის მოციქულს. ეს ყველასთვის სწორი გზაა, ვისაც სამოთხე უნდა“. ახლა ბავშვებს ლოცვას ასწავლის. გვიხსნის, რომ ყურანის სწავლება ღმერთისთვის დიდი მადლია და ვინც ღმერთის წიგნს სწავლობს, იმქვეყნიურ ცხოვრებაში ბევრს მოიგებს – „აქაც და ყველგანაც პატივისცემას, ურთიერთგაგებას, სიყვარულსა და სიკეთეს ვასწავლით. არ ვქურდობთ, არ ვლოთობთ, არ ვეწევით. სულის სიჯანსაღისთვის ვცხოვრობთ“.

პარასკევობით ჯუმა ნამაზზე მეჩეთში ორმოცდაათ კაცამდე გროვდება. სარწმუნოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე აზრს არაბეთში განათლებამიღებულ ადგილობრივებს ეკითხებიან. იმამი ხეობაში გავრცელებულ ცნობას გვიდასტურებს, რომ არაბული ენის კარგად შესწავლის შემთხვევაში ბავშვებსა და მოზარდებს ახალისებენ, ზოგს ფული აქვს და ღმერთისთვის შემოწირულობას იღებენო.

იმამი მიიჩნევს, რომ ადამიანმა უნდა ისწავლოს, განვითარდეს და კარგი იქნება, თუკი ხეობას ამ მიმართულებით, თუნდაც რამდენიმე პროფესიული სასწავლებლის გახსნით, სახელმწიფო დაეხმარება, რადგან ადგილობრივებს უჭირთ და მოსახლეობის ნაწილი სამუშაოდ თურქეთში, გროზნოში ან უკრაინაში მიდის. მას არც სირიაში წასვლა მიაჩნია პრობლემად, თუმცა ამტკიცებს, რომ პანკისის ხეობიდან სირიაში ადამიანები ფულის გამო კი არა, რწმენის დასაცავად საბრძოლველად მიდიან – „ჩვენ ფულზე არ ვიყიდებით, რწმენას ფულის გამო არ ვყიდით და არ გამიგია, აქედან ვინმე ღმერთის გზაზე ფულის გამო წასულიყო. ჭორებს აგორებენ, თითქოს სირიაში აქედან აგზავნიან ხალხს. სოფელში მსგავსი არაფერი ხდება, ვისაც წასვლა უნდა თავისით იკვლევს გზას – ინტერნეტი, ტელეფონი ხომ არსებობს? ამას გარდა, ზოგი თურქეთში მიდის სამუშაოდ და იქ მეგობარი შეხვდება, მოკლედ ბევრი გზაა. ვერ გავიგე, რა ყელზე დაადგა ამ ხალხს ჯოყოლო?“

საუბრისას გიორგი გუმაშვილი მოულოდნელად იძაბება და აგრძელებს – „ის, რაც სირიაში ხდება საღვთო ომია და არა ტერორიზმი, ISIS რჯულისთვის იბრძვის. რაც ტელევიზიის მიერ გავრცელებულ მძიმე კადრებზეა ასახული, საღვთო ომის ნაწილია. ამერიკელებისთვისაც და ევროპელებისთვისაც ჩვენ ყოველთვის ტერორისტებად ვრჩებით. რასაც თვითონ აკეთებენ, ეგ არ არის ტერორი? საშინელებები მინახავს საკუთარი თვალით. როგორ იქცევიან ან ეგენი, ან რუსები რეებს აკეთებენ?! რა მაგათი საქმეა, ჩემს ოჯახში მოვიდნენ და მასწავლონ, როგორ უნდა ვიცხოვრო. ჩვენ მივდივართ ვინმესთან? დღეს თუ დემოკრატიაა, მე სხვების ცხოვრებას უნდა დავანებო თავი, სხვებმა კი – ჩემსას. თარხან ბათირაშვილს რაც შეეხება, მას ვიცნობ, მაგრამ ახლო ურთიერთობა არ მქონია, თუმცა კი ვიტყვი – ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს“.

სოფელ ჯოყოლოს მეჩეთის იმამი წუხს, რომ მათ ტერორისტებად და წარსულში ჩარჩენილებად მოიხსენებენ. ასევე, კატეგო-

ერთსართულიანი შენობის შესასვლელთან პატარა ზომის ფეხსაცმელები უწესრიგოდ აწყვია. კარიდან იმამი გამოდის. ფანჯრებს უკან კი ფარდები ირხევა და ბავშვების სუნთქვით დაორთქლილი მინებიდან პატარა ჯოყოლოელები ყურანის სწავლების პროცესის შეწყვეტის მიზეზის გარკვევას ცდილობენ.

„საქართველოს მინა-ნყალზე ვცხოვრობთ და აქაურ კანონებს ვიცავთ. მხარში ვუდგავართ საქართველოს გაჭირვებაშიც და ლხინშიც. ნუ გგონიათ, ჩვენგან რაიმე საფრთხე მოდიოდეს. ისლამი საფრთხეს არ ქადაგებს, თუმცა არის ნესები, რომ ჩვენი სინდისი და ნამუსი უნდა დავიცავთ“, – ამბობს იმამი.

რიულად უარყოფს, თითქოს მეჩეთში კაცის კვლას ქადაგებდნენ – „საქართველოს მინა-ნყალზე ვცხოვრობთ და აქაურ კანონებს ვიცავთ. მხარში ვუდგავართ საქართველოს გაჭირვებაშიც და ლხინშიც. ნუ გგონიათ, ჩვენგან რაიმე საფრთხე მოდიოდეს. ისლამი საფრთხეს არ ქადაგებს, თუმცა არის ნესები, რომ ჩვენი სინდისი და ნამუსი უნდა დავიცავთ“, – ამბობს გიორგი გუმაშვილი.

საფრთხე სახელმწიფოსთვის

ე.ნ. „ისლამური სახელმწიფო“, რომელიც ერცელი ხალიფატის შექმნის (აღდგენის) ლოზუნგით სირიისა და ერაყის ტერიტორიებზე იბრძვის, ხოლო გლობალური მასშტაბით ტერორისტულ აქტებს ახორციელებს, უკვე შერაცხულია 21-ე საუკუნის უმთავრეს ცივილიზაციურ გამოწვევად. ამ ორგანიზაციის მეომრები გაუგონარი სისასტიკით გამოირჩევიან ისლამის სხვა მიმდინარეობების, ქრისტიანების, იუზიდების, ქურთების, იუდეველების, ანუ – ყველას მიმართ, ვინც კი მათ გზაზე შეხვდებათ.

„მკვლელებად და სადისტებად აქცევენ არა მხოლოდ ახალგაზრდებსა და მოზარდებს, არამედ ბავშვებსაც – თვითონ ავრცელებენ ვიდეოკადრებს, სადაც ათი ნლის ბავშვი ცეცხლსასროლი იარაღით ადამიანს კლავს. იდეოლოგია, რომელსაც ისლამური სახელმნიფო ეფუძნება, ელემენტარული, პრიმიტიული კაცთმოძულეობაა“, – გვეუბნება ილიანე ხაინდრავა, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე.

ხაინდრავა ნუხს, რომ „იდეოლოგიის“ გამავრცელებლებმა საქართველოშიც მოიკიდეს ფეხი. ისინი სირიასა და ერაყში საბრძოლველად საქართველოს ახალგაზრდა მოქალაქეების რეკრუტირებას ენევიან. „პანკისის ხეობა ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ კერას წარმოადგენს, რადგან გადაღმა – ჩრდილო კავკასიაა, სადაც ისლამურმა ფუნდამენტალიზმმა ღრმა ფესვები გაიდგა. ახლა იქ იკვეთება ტენდენცია შედარებით ლოკალური ფუნდამენტალისტური პროექტების – ე.ნ. კავკასიის ემირატის – ისლამური სახელმნიფოს ტრანსნრეგიონალურ პროექტში ინტეგრაციისა. ეს კი თანხვედრაში მოდის იმ პროცესთან, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა არეალში მოქმედ ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებს, როგორებიცაა „ალ-ქაიდა“, „ბოკო ხარამი“ და სხვა მრავალი, ისლამური სახელმნიფოს შავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს მინა-ნყალზე ვცხოვრობთ და აქაურ კანონებს ვიცავთ. მხარში ვუდგავართ საქართველოს გაჭირვებაშიც და ლხინშიც. ნუ გგონიათ, ჩვენგან რაიმე საფრთხე მოდიოდეს. ისლამი საფრთხეს არ ქადაგებს, თუმცა არის ნესები, რომ ჩვენი სინდისი და ნამუსი უნდა დავიცავთ“, – ამბობს იმამი.

დროშის ქვეშ აერთიანებს. ისინი ერთიანდებიან, რათა ებრძოლონ დანარჩენ მსოფლიოს და საქართველო აქ გამონაკლისს არ წარმოადგენს“.

საფრთხეები, რომლებიც აქტუალურად არის მიჩნეული, მაგალითად, კანადაში (რომელიც მონანილეობს ისლამური სახელმნიფოს ნინააღმდეგ მიმდინარე ოპერაციაში), მით უფრო აქტუალურია საქართველოსთვის, რომელიც ახლო აღმოსავლეთთან ახლოს მდებარეობს და ჩრდილო კავკასიას ემეზობლება.

უშიშროების საბჭოს მდივნისთვის განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ ისლამური სახელმნიფოს რიგებში საქართველოს მოქალაქეების რეკრუტირება და ბრძოლა გრძელდება.

„ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ორი კითხვა, რომელიც თავის პასუხებს ელის: შეეძლებთ თუ არა ახალგაზრდების ისლამურ სახელმნიფოში გადინების შეჩერებას და შეეძლებთ თუ არა, ზოგადად, აგრესიული რელიგიური მიმდინარეობების გავრცელების აღკვეთას საქართველოში? და რა უნდა დავუპირისპიროთ „იქიდან“ ახალი რეკრუტების მოსაპოვებლად, „დასასვენებლად“ თუ სხვა მიზეზით დაბრუნებულ ჯიჰადისტებს?“ – ხაინდრავას აზრით, ამ კითხვებზე პასუხები მნიშვნელოვანნილად განსაზღვრავს საფრთხის მასშტაბს.

„ISIS-ის შემადგენელობაში მყოფი ადამიანების საქართველოში დაბრუნების შე-

ბაგშვების სუნთქვით დაორთქლილი მინებიდან პატარა ჯიოლოლეები ყურანის სნავლების პროცესის შეწყვეტის მიზეზის გარკვევას ცდილობენ.

ფოტო: ლონა ციბაძისა

ერთი შეხედვით, ზეობაში ცხოვრება ჩვეულებრივი, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსი რიტმით მიედინება.

მთხვევაში საქმე კარგად განვრთნილ ფანატიკოსთა ჯგუფთან გვექნება. ეს შეიძლება სერიოზულ პრობლემად იქცეს ჩვენი სამოქალაქო თავისუფლებისთვისაც. მდგომარეობას, ერთი მხრივ, სახელმწიფო ინსტიტუტების დღევანდელი სისუსტე, მეორე მხრივ კი, მუსლიმთა შევიწროების, მათი უფლებების შელახვის გახშირებული შემთხვევები ართულებს. ასევე, არსებობს ამ ჯგუფების სხვა ადგილობრივ რელიგიურ თემებთან კონფლიქტის, ძალადობის ესკალაციის საფრთხე", – ამბობს გიგა ბოკერია, „ნაციონალური მოძრაობის" საგარეო საქმეთა ურთიერთობების მდივანი. ბოკერია, ხელისუფლებაში ყოფნის დროს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობდა.

ბოკერიას თქმით, ISIS სამხედრო საფრთხეა არა მარტო ასადის სასტიკი და სისხლიანი რეჟიმისთვის, არამედ საქართველოს მოკავშირე ერაყისთვისაც. „ისლამური სახელმწიფოს დეკლარირებული სამიზნეა ჩვენი მეზობელი და მოკავშირე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს დასავლეთისგან საქართველოს პოლიტიკურ მხარდაჭერას".

მებრძოლების დაბრუნების საფრთხეზე თავდაცვის ყოფილი მინისტრი, დავით თევზაძეც საუბრობს. მისი აზრით, პანკისიდან ჯგუფების გასვლა ნაკლებად რთული პრობლემაა, რომლის მოხსნაც გააზრებული სახელმწიფო პოლიტიკის არსებობასა და პრობლემის მოხსნის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული". სამნუხაროდ, არცერთის ნიშანი არ ჩანს. გაცილებით რთული იქნება ვითარება, როდესაც ეს ადამიანები დაბრუნებას დაიწყებენ. ის სოციალ-ეკონომიკური სივრცე, რომელიც აქ ხედებათ, პრობლემის მოხსნის პოლიტიკური ნების უქონლობის ფონზე, ბევრად. უფრო რთულ სიტუაციას შექმნის, ვიდრე ეს ორიათასიანებში იყო. მით უმეტეს, რომ ყველა იმ ინსტიტუტმა, რომელიც, ამ ვითარებაში, სიტუაციის დარეგულირების რეალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს, ბოლო ათი-თოთმეტი წლის მანძილზე ერთგვარი დეგრადაცია განიცადა. ეს ეხება ყველას, უშიშროების საბჭოს ჩათვლით", – ამბობს თევზაძე.

P.S. „2-3 ადამიანის გამო სკანდალს ნუ შექმნით, ჩვენი სპეცსამსახურები ყველაფერს აკონტროლებენ..." – ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

„ვალიარებ, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა, რომელიც ამ ბავშვს ამოწმებდა, ასე ვიქცეთ, შეცდომა დაუშვა. გენინსპექცია მოიკვლევს. რამდენადაც მე ვიცი მოკვლევა უკვე დასრულებულია და პოლიციელი მიიღებს ადმინისტრაციულ სასჯელს ჩვენი, შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა დებულებით. ეს რა თქმა უნდა, არ ამართლებს მის საქციელს..." – ვახტანგ გომელაური საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

P.P.S.1 მაისს „კახეთის საინფორმაციო ცენტრმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პანკისის ხეობიდან სირიაში კიდევ ერთი არასრულწლოვანი, ამჯერად სკოლის მოსწავლე გოგონა გაგზავნეს – „გადამოწმებული ინფორმაციით, არასრულწლოვანი გოგონა პანკისელ ახალგაზრდას მიათხოვეს, რომელიც წელინადზე მეტია სირიაში, ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს" მხარეს იბრძვის. შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ გოგონამ საქართველოს საზღვარი 2015 წლის 28 აპრილს კანონიერად, მშობლების თანხმობით გადაკვეთა".

1 მაისს „კახეთის საინფორმაციო ცენტრმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პანკისის ხეობიდან სირიაში კიდევ ერთი არასრულწლოვანი, ამჯერად სკოლის მოსწავლე გოგონა გაგზავნეს – „გადამოწმებული ინფორმაციით, არასრულწლოვანი გოგონა პანკისელ ახალგაზრდას მიათხოვეს, რომელიც წელინადზე მეტია სირიაში, ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს" მხარეს იბრძვის. შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ გოგონამ საქართველოს საზღვარი 2015 წლის 28 აპრილს კანონიერად, მშობლების თანხმობით გადაკვეთა".

კაიების სოფელი მაე ჰონგ სონის რეგიონში, ჩრდილოეთ ტაილანდში.

ლტოლვილთა სოფლის უხეხული სიბლი

ლიზა ადეიშვილი

ეთნოსთა ჩაგვრა მიანმარში: სამხედრო რეჟიმისა და ბერების დომინაცია

ტაილანდში, მიანმარის საზღვართან, უკვე სამი ათწლეულია, ლტოლვილთათვის, ცხრა „დროებითი" ბანაკია გახსნილი. ბანაკები ჯამში 140 000 ლტოლვილს, მიანმარიდან გამოქცეულთა ჭრელ ეთნიკურ მოზაიკას იფარებს: კარენები, როჰინგიები, ჩინები, მონები, შანები...

მიანმარში ეთნიკურ ჯგუფებს ძირითადად სამხედრო რეჟიმი დევნიდა. სამხედროები დღესაც ძალადობენ ეთნიკურ უმცირესობებზე. როჰინგიას ეთნოსს კი ულტრანაციონალისტი ბერები განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებიან. მუსლიმების მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა ტაილანდისთვის „ლტოლვილის" სტატუსით შეეფარებინა თავი, რადგან საკმაოდ სახიფათო და რთული პროცესია მიანმარიდან ტაილანდის საზღვარზე გადასვლა. 2015 წლის 2 მაისს ტაილანდის პოლიციამ 26 ლტოლვილის მკვდარი სხეული იპოვა. ოფიციალური მიზეზი დაუდგენელია, მაგრამ პოლიციის წინასწარი ვარაუდით როჰინგიები შიმშილით, დაღლილობითა და დაავადებებით დაიხოცნენ.

უსაბუთო, მიუსაფარი, აღმსარებლობით მუსლიმი 800 000-მდე როჰინგია მიანმარის ტერიტორიაზე, რახინას შტატში (Rakhina State) მიწიერ ჯოჯოხეთში ცხოვრობს. არსებობს მოსაზრება, რომ ისინი ყველაზე დაჩაგრული უმცირესობაა დღევანდელ მსოფლიოში. შემზარავი სურათები გუგლის საძიებელში ერთმანეთის მიყოლებით „ვარ-

დება“: ქუჩაში ჩამომხრჩვალი დედა-შვილი, გადამწვარი სახლები, UNHCR-ის კარვებთან დაყრილი მკვდარი სხეულები და ქუჩის პროტესტის მონაწილეების სასოწარკვეთილი სახეები. მუსლიმთა მცირე ჯგუფი ამ საშინელ ჩაგვრას შეიარაღებული, ბორდოსფერში გამოწყობილი ბუდისტი ბერებისგან განიცდის. როჰიკის სამოსში გამოწყობილი თავგადაპარსული ბერები, რომლებიც მსოფლიოში მედიტაციის, ბალანსისა და მშვიდობის სიმბოლოდ ქცეულან, მიწასთან ასწორებენ მუსლიმთა ამ უმცირესობას. ეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ ტერორიზმს რელიგია არ აქვს, თუმცა ხშირად რელიგიის სახელით სრულდება.

2015 წლის 4 თებერვალს BBC-ის საიტზე მიანმარში გაეროს წარგზავნილის განცხადება გავრცელდა. იუნგი ლი ფარდას ხდიდა ბუდისტ ბერთა სისასტიკეს მუსლიმთა მიმართ და მიანმარის სახელმწიფოს მიერ ამგვარი ჩაგვრის უგულებელყოფას. მის განცხადებას ტერორისტული მოძრაობის ლიდერი, ბუდისტი ბერი, აშინ უირათუ (Ashin Wirathu) მოკლედ და ეფექტურად გამოეხმაურა. გაეროს წარგზავნილ ქალს „ბოზი“ და „ძუკნა“ უწოდა და ყველას ურჩია, ქვეყნის საშინაო საქმეებში არ ჩარეულიყო.

ბანგკოკში ყოფნისას მრავალ მოგზაურს ვესაუბრე მიანმარსა და ეთნოსებს შორის კონფლიქტების შესახებ. აღმოჩნდა, რომ მიანმარის ვიზა ადვილი მოსაპოვებელია, ფრთხილად მას შემდეგ უნდა იყო, რაც საზღვარს გადაკვეთ. 24 წლის ფრანგმა მოგზაურმა, რომელიც უკვე ორი წელია აზიაში იმყოფება, მითხრა, რომ იქ ტურისტები მხოლოდ დამთვალიერებლებად რჩებიან. მიანმარში ტაძრებისგან და ტურისტული ქუჩებისგან მოშორებით თუ შეგნიშნეს, სამხედროები აუცილებლად გკითხავენ, სად მიდიხარ, რას აკეთებ, მოგთხოვენ ტურისტულ არეალში დაბრუნებას და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კარგადაც გცემენ. ასეთი რამ მას შეემთხვა კიდეც. სამხედროებთან „გადაყრა“ კი ამ ქვეყნის ტერიტორიაზე არც ისე რთულია, რადგან 1962-2011 წლების განმავლობაში მიანმარს სამხედროები მართავდნენ. ისინი ხშირად აიძულებდნენ ხალხს ადგილსამყოფელის შეცვლას, იძულებით ამუშავებდნენ როგორც ზრდასრულებს, ასევე ბავშვებს. დღეს კი ნომინალური დემოკრატიის ქვეშ მათი გავლენა ისევ ძლიერია.

ლტოლვილთა ბანაკები და „გრძელკისრიანების“ სოფელი

ტაილანდის ტერიტორიაზე მდებარე ბანაკებში 112,000 ქრისტიანი კარენია, ანუ ლტოლვილთა 80%. მათი ბანაკი ჩრდილოეთ ტაილანდში, მიანმარის საზღვართან, ეროვნული პარკის ახლოს, მაე ჰონგ სონის რეგიონში მდებარეობს. 30 წლის წინ კარენებს ბირმის სამხედრო რეჟიმის ატანა – მათ სოფლებზე მუდმივი თავდასხმა, გაუპატიურება, იძულებითი მუშაობა და სხვა ძალადობა – უწევდათ. დღეს ისინი ტაილანდის ტერიტორიაზე ბანაკებში ცხოვრობენ. მათ ოფიციალურად აქვთ აკრძალული ბანაკის ტერიტორიის დატოვება და ძირითადად გარედან შესულ დახმარებაზე არიან დამოკიდებულნი. გარე დახმარება გაეროსა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების გავლით შედის. ოცდაათი წლის განმავლობაში ბანაკის ტერიტორიაზე დაიბადა და გაიზარდა თაობა, რომელთაც ერთადერთი რეალობაში – შემოღობილ სივრცესა და სიღარიბეში უწევთ ცხოვრება.

კარენის ეთნოსი 5 ჯგუფად იყოფა, ერთ-ერთი მათგანი, კაიები (kayah) 200-კაციანი ქვეჯგუფია. ისინი ბანაკში არ ცხოვრობენ. კაიებს გამორჩეული ტრადიცია აქვთ, ქალები ყელზე ხუთკილოგრამიან რგოლებს ატარებენ. ამ ტრადიციის გამო ტაილანდმა კაიებს რამდენიმე პატარა სოფელი გამოუყო და ისინი ტურისტულ სანახაობებად აქცია. სოფლებს „Longneck village"-ებს ეძახიან. ამ სახელში არ დევს არც გეოგრაფიული, არც კულტურული მნიშვნელობა. ის უბრალოდ მიუთითებს ტურისტებს, რომ აქ ცხოვრობს ხალხი, რომელთაც გრძელი კისრები აქვთ. ეს სოფლები ადამიანების ზოოპარკადაა ქცეული და კოლონიალურ გამოფენებს მოგვაგონებენ. ტურისტების ნაწილი უარს ამბობს ამ ადგილების მონახულებაზე, ტურისტული სააგენტოების ნაწილი კი – ამ სოფლებში ტურის მოწყობაზე. Tripadviser-ზე მოგზაურების მიმოხილვაში ამოიკითხავთ, რომ სოფელში შესვლა და ფოტოს გადაღება ფასიანია, რომ იმ ბამბუკის ტრადიციულ სახლებში საერთოდ არავინ ცხოვრობს, კაიები მხოლოდ ტურისტების გამო ატარებენ აქ მთელ დღეს. კაიებზე ფოტო და ვიდეომასალის დიდი ნაწილი ტურისტების მიერ გადაღებული „სელფებია“. ტურისტული „სელფების“ მაგიური ძალა კი იმაში მდგომარეობს, რომ ის ყველაფერს ხიბლს უკარგავს.

მაე ჰონგ სონიდან ნაი სოის ბანაკისკენ სკუტერით 45 წუთის სავალზე ასფალტის გზა წყდება და იწყება ჩვეულებრივი „მესამე სამყაროს“ გზა – ოღრო-ჩოღრო გორაკები და ბილიკი, რომელიც ტრანსპორტის მოძრაობას გაუკვალავს. ზედმეტად დანგრეული გზის გამო სკუტერი გავაჩერე და გზაზევე დავტოვე (ერთხელ უკვე გადმოვვარდი და ნაქირავები სკუტერის ავარიის ხარჯების გადახდის შემეშინდა). გზა ფეხით გავაგრძელე. ბანაკის შესასვლელთან, შლაგბაუმის გვერდით ჯიხური იდგა, სადაც ორ მცველს ეძინა. დარაჯის გაღვიძების შემდეგ გავარკვიე, ბანაკში შესვლის უფლება მაე ჰონგ სონში, გაეროს ოფისში უნდა ამეღო. ამიტომ ბანაკის გვერდზე მდებარე კაიების სოფელი მოვინახულე.

სოფლის შესასვლელი თავდაპირველად ცარიელ გადასაღებ პავილიონს მოგაგონებთ. პირველი შენობა ბამბუკით ნაგები მაღაზიაა, სადაც ხელნაკეთი სუვენირები იყიდება. უბრალო ლითონის სამკაულების, ფერადი შარფებისა და ხისგან გამოჩორკნილი პატარა ქანდაკებების თვალიერებისას გამყიდველი გამოჩნდა – კარენი გოგო, გრძელი კისრით. უხერხულობა ვიგრძენი, რადგან პირველივე შენობა მაღაზია იყო, გამყიდველი კი – გრძელკისერა. ნადვილად არ მინდოდა იმ ტურისტების რიცხვში ჩავწერილიყავი, რომლებიც „ავთენტურობასა“ და „ეგზოტიზმის“ ძიებაში არიან, სინამდვილეში კი ხელს უწყობენ ყოვლად არაბუნებრივი და პარალელური კულტურის შექმნას, სპეციალურად მათი თვალისთვის. აღმოჩნდა, რომ ამ სოფელში შესვლა უფასო იყო, არ იყო პოპულარული ტურისტთა შორის, არც მოგზაურთა დანიშნულების ადგილს წარმოადგენდა, როგორც დანარჩენ „გრძელკისერათა“ სოფლები. აქ მცხოვრებნი სოფლის გვერდზე განლაგებულ, გაეროს მფარველობის ქვეშ მყოფ ბანაკში სხვა კარენ ლტოლვილებს ეხმარებიან. ზოგიერთ მათგანს გაეროს სკოლაში, რომელიც სოფელშივე მდებარეობს, ინგლისური შეუსწავლია და თარჯიმნებად მუშაობენ ან ტურისტებზე ხელნაკეთ ნივთებს ყიდიან.

არამარტო „გრძელკისერა“ კაიები

კაიების სოფელში სახლები ერთმანეთზე მჭიდროდაა მიჯრილი. ბამბუკის სახლების ბანზე იქ მცხოვრებნი სხედან და საქმიანობენ – ან ძაფს ართავენ, ან ხალიჩას ქსოვენ, ან სამკაულებს აკეთებენ. სოფლის ბოლოს ფრენბურთის მოედანია. სკოლის დამთავრების შემდეგ 15-დან 25 წლამდე ბიჭები ყოველდღე ბამბუკის ქერქით შეკრული ბურთით მწველი მზის ქვეშ სამი-ოთხი საათის განმავლობაში კეინბოლს თამაშობენ. ეს მათი მთავარი გასართობია. მზის ჩასვლამდე, დაახლოებით ერთი საათით ადრე, თამაშს წყვეტენ და აბაზანის მისაღებად მიდიან. უნდათ, რომ მოასწრონ, რადგან თუ მზე აღარ ათბობს, ცივი წყლით აბაზანის მიღება ძალიან უსიამოვნოა. თამაშის წესები ფრენბურთისაა, თუმცა ბურთს მხოლოდ ფეხით ეხებიან. ბიჭები ჩვეულებრივ ფეხბურთის ფორმებს ატარებენ, თმის ვარცხნილობა ფეხბურთის ვარსკვლავებივით ექსტრავაგანტული აქვთ. ისეთ ფორმაში არიან, თითქოს ყოველდღე 8 საათს ვარჯიშობდნენ სპორტულ დარბაზში. ბურთს ხან თავით იღებდნენ, ხან წვივით, ხანაც მუხლით, მოწინააღმდეგის მხარეს კი „სალტოებით“ და „მაკრატელათი“ ურტყამდნენ. ქულის მოპოვების გარდა, აკრობატული შესაძლებლობების დემონსტრირებაც თამაშის ნაწილია.

კეინბოლის ყურებისას ანსუე, ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, გავიცანი. ის ინგლისურად გამომელაპარაკა. სანამ ახალი ნაცნობი მოედანზე შევიდოდა, ცოტა ხანი ვესაუბრე. მითხრა, რომ ყველანი ამ სოფლის მცხოვრებლები არიან და მათ ძალიან უყვართ ფეხბურთი. კაიების სოფლის ბიჭები ბარსელონას და რეალის ფანებად იყოფიან.

ანსუე წარმოშობით მიანმარიდანაა, მაგრამ მიაჩნია, რომ ის და მისი და ტაილანდელები არიან. გაეროს ლტოლვილთა ბანაკში მუშაობს, ხუთი ენა იცის: ბირმული, ტაილანდური, ინგლისური და კიდევ ორი სხვა დიალექტი, რომლებზეც ბანაკში ბევრი ლტოლვილი ლაპარაკობს. ანსუეს შეყვარებული ბანაკში მცხოვრები ლტოლვილი გოგონაა. ანსუეც გოგონას ბანაკში მუშაობისას ნახულობს. ხანდახან სოფელშიც გადმოჰყავს ხოლმე. როცა მისი გამართული ინგლისურის მიზეზი ვიკითხე, მიპასუხა, რომ აქ, სკოლაში ისწავლა. ხელით მოედნის მარცხნივ მიმითითებს, სადაც ბამბუკის გრძელი შენობა დგას.

ბამბუკის ხისგან დაწნულ სკოლას ერთმანეთისგან ტიხრებით გამოყოფილი 4 საკლასო ოთახი აქვს. ასე რომ, ადამიანს შეუძლია, ოთხივე საგანს ერთდროულად მოუსმინოს (4 in 1 პრინციპით ააშენეს-მეთქი, ვერ იტყვით, ალბათ უფრო მცირე ხარჯების გამო). მხოლოდ მასწავლებლების ოთახია იზოლირებული.

ბირმულის მასწავლებელი, კაია გოგონა,

ფოტო: ლუკა ლაბაძე/ეპა

ბამბუკის სახლების ბანზე სხედან კარენი ქალები და საქმიანობენ – ან ძაფს ართავენ, ან ხალიჩას ქსოვენ, ან სამკაულებს აკეთებენ.

რომელიც ამ სოფელში ცხოვრობს, მათემატიკის ლტოლვილი მასწავლებლის შეყვარებულია. მათემატიკის მასწავლებელი ბანაკიდან გაკვეთილების ჩასატარებლად გადმოდის, შემდეგ ისევ უკან ბრუნდება. ბირმულის მასწავლებელი კი ბანაკში დასახმარებლად გადადის და ერთმანეთს ამგვარად ნახულობენ.

სუაიმ, ბირმულის მასწავლებელმა, მითხრა, რომ 22 წლის წინ ლტოლვილების სოფელში სწორედ მაშინ დაიბადა, როცა ეს სოფელი დაარსდა. მისი მშობლები ამჟამად ჩიანგ მაიში ცხოვრობენ. იქ სამკაულებს, ნაჭრებს, ტანსაცმელს, შარფებს და ხალიჩებს ყიდიან. 13 წლამდე ისიც ატარებდა „გრძელ კისერს“, თუმცა შემდეგ მოიხსნა, რადგან სურდა არა მქსოველი ან ხელნაკეთობების გამყიდველი, არამედ მასწავლებელი და ბანაკის დამხმარე ყოფილიყო. თვითონ ბირმაში „გრძელი კისრისგან“ გათავისუფლებისთვის სურვილი საკმარისი არაა, ტრადიცია თემის ცხოვრებაში ბევრად ღრმადაა გამჯდარი. ლტოლვილთა სოფელში კი ეს არჩევანია: ან მოხელე ხდები და მუშაობ სოფლისა და ბანაკის სერვისში, ან ტურისტების მასპინძელი ხარ. ამ სოფელში ცოტა ატარებს გრძელ კისერს, სოფლის მცხოვრებლები ძირითადად გაეროში ლტოლვილების თარჯიმნად მუშაობენ, საქმეში ეხმარებიან ან სკოლაში ასწავლიან. სუაიისგან გავიგე, რომ სოფელი ბანაკზე უკეთეს მდგომარეობაშია, რადგან ბანაკში ბევრად მეტი ხალხია. თუმცა დაამატა, ჩვენც იმისთვის ვმუშაობთ, რომ აქაურობა გავაუმჯობესოთო. ანსუემაც დაადასტურა, რომ ამ სოფელს გაერომ ბევრი ისეთი რამ მისცა, რაც მიანმარში არასოდეს ექნებოდათ. მაგრამ თვითონ ბანაკი, სადაც შესვლის უფლება მხოლოდ გაეროს მუშაკებს აქვთ, ცუდ დღეშია. იქ არ არის ყველასთვის საკმარისი ადგილი, არაა საკმარისი საძინებლები, ბანაკის სკოლაც პატარაა, ამიტომ საკლასო ოთახები ყოველთვის გადაჭედილია, ბოლოს კი სევდიანად და სირცხვილით დაამატა, რომ ხშირად საჭმელიც არ არის ყველასთვის საკმარისი.

სკოლისა და მოედნის გარდა, სოფელს კიდევ ერთი თავშეყრის ადგილი აქვს. ბამბუკის ხის გადახურული ბანი ამ სოფლის ქრისტიანული ეკლესიაა. კაიები ქრისტიანები არიან. ანსუეს ვკითხე, დადიოდა თუ არა აქ. მითხრა, რომ მას რელიგია არ აინტერესებს, მაგრამ ბევრი კაია მოდის აქ ლოცვების მოსასმენად, რომლებსაც მისი და კითხულობს. რამდენჯერმე შევუბრუნე კითხვა, იქნებ ვერ იგებს, ზუსტად რას ვეკითხებით-მეთქი. ის კი მზისგან მოჭუტული თვალებით მიყურებდა, მიღიმოდა და მშვიდად მპასუხობდა: „yes, my sister, she's like a priest". ბოლოსდაბოლოს შევეგუე, რომ მისი და, საფოსტო ბარათების მოდელი, ხელნაკეთობების პირველი მაღაზიის მფლობელი, „გრძელკისერა“ მღვდელი იყო.

კაიები ან ტყეში ნადირობენ, ან მოსავალს აგროვებენ, ქათმებს სოფელში თვითონაც ზრდიან. იშვიათად ყიდულობენ პროდუქტს მაე ჰონგ სონში ან სხვა კომერციულ წერტილებში. რამდენჯერმე ვივახშმე ბრინჯით, წიწაკის სოუსით და კვერცხით ანსუესთან ერთად იმ მაღაზიის ბანზე, რომელიც პირველი გვხვდება სოფლის შესასვლელში. ანსუე დასთან და დისშვილთან ერთად ცხოვრობს. მან მითხრა, რომ მის ოჯახში დედაც და ბებიაც ყელის რკალებს ატარებენ. გამყიდველი გოგონა სოფლის „ეგზოტიკურობის“ ნაწილი კი არა, არამედ ტრადიციის მიმდევარი კაიაა. და-ძმა გიტარაზე უკრავს. და – კარენულ სიმღერებს, ძმა – „Hotel California“-ს.

ტაილანდის ჩრდილოეთში პაის ჰიპური თავისუფლება და მაე ჰონგ სონგის ავთენტური სილამაზე კარენების დაფარულ უბედურებასთან ერთად არსებობს. სხვა „გრძელკისრების სოფლებში“ კაიებს ცოცხალი საგნის ფუნქცია აქვთ შეთავსებული. გაერო ყალბი სულისკვეთებით გაჯერებულ სიტყვებს შთამაგონებელ პოსტერებზე აწერს და ამით ყიდის თავის იმიჯს – კარენთა ბანაკი კი რჩება შეუღწეველი, მჭიდროდ დასახლებული და დაუპურებელი. ის კეთილი ნების ელჩის, ანჯელინა ჯოლის ვიზიტით თუ მიიქცევს ვინმეს ყურადღებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვები ბავშვობის მიღმა

არაადაპტირებული გარემოს გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს სხვა ბავშვების მსგავსად თამაშის, დასკვნებისა და გართობის შესაძლებლობა არ აქვთ. შშმ ბავშვებს საქართველოში სხვისი დახმარების გარეშე თეატრებში, სკვერებსა და გასართობ-შემეცნებით დაწესებულებებში დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლიათ.

სოფო აფციაური

8 წლის ნიკო ზოოპარკში მეორდება. ეტლით სარგებლობს. შესასვლელში არსტანდარტულად დახრილ პანდუსზე ნიკოს ჩასაყვანად დედას ახალგაზრდა მამაკაცი ეხმარება. ნიკოს ძმა დათო კი მამას ჩამოჰყავს. 16 წლის დათოც ეტლით გადაადგილდება.

ნიკოს გარეთ გასირნება განსაკუთრებულად უყვარია – მშობლებს ყველა ცხოველის სახელს ეკითხება და კარუსელებზე დაჯდომას სთხოვს.

მზიანი ამინდია, თბილა. ზოოპარკის შესასვლელში ბავშვები ირევიან. ხელმარცხნივ ფონდ „სიცოცხლის ხის“ მიერ გაკეთებულ საქანელაზე ეტლით მოსარგებლე ბავშვებისთვის ქანაობა უფასოა.

ცხოველებთან სხვა ბავშვებივით ახლოს მისვლა ნიკოს არ შეუძლია – ეტლისთვის სპეციალური, ე.წ. „დახრილი“ არ არსებობს. ჯერ ზლაზვნით მოსიარულე სპილოებს ვათვალიერებთ, შემდეგ „ეშმაკის ბორბლისკენ“ მივეშურებით:

„დე, დამსვი რა“, – ეუბნება ნიკო დედას. უფროსი ძმა ჩუმადაა.

სალარაში ახალგაზრდა ქალი გვპასუხობს, რომ ეშმაკის ბორბალზე ეტლით დაჯდომა შეუძლებელია – „გავაჭერებ, ხელით აიყვანეთ და კალთაში ჩაისვით“.

ფოტო: ალექსანდრ ალიევი

ფულს არ გვართმევს, ამბობს, რომ „ასეთ“ ბავშვებს უფასოდ „აკატავებს“ ხოლმე.

ვასიკო ჭუჭუნაძეს უმცროსი შვილი, ნიკო ხელში აპყავს და რამდენიმე წუთში დაბლა დარჩენილ დათოს და დედამისს მაღლიდან გადმოყურებთ.

16 წლის დათო ხელში აყვანის წინააღმდეგია. მზიან ამინდში ცრის. ნიკოს ეს განსაკუთრებულად მოსწონს. ხელმარჯვნივ მთანმინდა ჩანს, იქ უფრო მაღალი „ეშმაკის ბორბალია“. ნიკოს მამა პპირდება, რომ მეორე კვირას მთანმინდაზე აიყვანს და ბორბალზე დასვამს.

ამის შემდეგ კიდევ ერთი დიდი ატრაქციონია, მაგრამ გზაზე ხრეში ყრია, ამიტომ ეტლით გადაადგილება შეუძლებელია და უკან ვბრუნდებით.

სეირნობის დროს ნიკო იხსენებს, რომ რამდენიმე წლის წინ მოზარდმაყურებელთა თეატრში იყვნენ, მცირე დარბაზში, სპექტაკლზე დასასწრებად, მამამ ხელით აიყვანა.

დათოს და ნიკოს დღეები ერთმანეთს ჰგავს. დილით მშობლებს კორპუსის მეცხრე სართულიდან ხელით ჩამოჰყავთ, ლიფტში ეტლი არ შედის. სკოლა იქვე ახლოსაა. სკოლის მერე ყოველდღე მასაჟებზე მიდიან. შემდეგ კი სახლში ბრუნდებიან:

„ფაქტობრივად, კარჩაკეტილ ცხოვრებას ვეწევით. გასართობად თითქმის არ დაგდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

■ სკვერში მსხდომმა მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ საქანელა შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ბავშვებისთვის სახიფათო იყო და შესაბამისი აბრის დამონტაჟებამდე დიდუბის პოლიციას მისი ჩამოხსნა მოსთხოვეს.

სახალხო დამცველის შშმ პირთა უფლებების ცენტრმა ამ შემთხვევის შესწავლა 2014 წლის ივლისში დაიწყო. ცენტრმა დიდუბის გამგეობის სახელზე წერილი მოამზადა, გამგეობამ ომბუდსმენის აპარატს უპასუხა, რომ საქანელა უახლოეს მომავალში დამონტაჟდებოდა, თუმცა თვეების წინ ჩამოხსნილი საქანელა სკვერის კუთხეში ისევ უფუნქციოდ დევს.

ვართ, გარემოს არაადაპტირებულობის გამო არც დრო გვაქვს და არც საშუალება. ჩვენთან ახლოს სკვერიც არაა, რომ სუფთა ჰაერზე მაინც გავიდეთ ხოლმე", – ამბობს დედა, მარინე აბრამიშვილი და სეირნობის შემდეგ დათო და ნიკა ისევ სახლში ბრუნდებიან.

რამდენიმე თვის წინ დიდუბის რაიონის ერთ-ერთ სკვერში უბნის მოსახლეობის თანხმობით, გამგეობამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი საქანელა დაამონტაჟა.

სკვერში მსხდომმა მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ საქანელა შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ბავშვებისთვის სახიფათო იყო და შესაბამისი აბრის დამონტაჟებამდე დიდუბის პოლიციას მისი ჩამოხსნა მოსთხოვეს.

სახალხო დამცველის შშმ პირთა უფლებების ცენტრმა ამ შემთხვევის შესწავლა 2014 წლის ივლისში დაიწყო. ცენტრმა დიდუბის გამგეობის სახელზე წერილი მოამზადა, გამგეობამ ომბუდსმენის აპარატს უპასუხა, რომ საქანელა უახლოეს მომავალში დამონტაჟდებოდა, თუმცა თვეების წინ ჩამოხსნილი საქანელა სკვერის კუთხეში ისევ უფუნქციოდ დევს.

ინკლუზიური სკვერებისა და ადაპტირებული შენობა-ნაგებობების პრობლემა საქართველოს ყველა რეგიონშია. სხვადასხვა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სრულად ადაპტირებული გასართობ-კულტურულ-შემეცნებითი სივრცეები არ არსებობს.

მოზარდმაყურებელთა თეატრის დაცვის ერთ-ერთი თანამშრომლის თქმით, ეტლით მოსარგებლე ბავშვები დღესასწაულებზე თეატრში ხშირად დადიან. შენობა ადაპტირებული არაა. ამიტომ, ასეთ დღეებში კიბეზე იქვე შესასვლელ კართან მიყუდებულ ფიცარს დებენ და ბავშვები ასე შეჰყავთ. მცირე დარბაზში კი მშობლებს ხელში აყვანილები აჰყავთ.

„ჩვენ მუდმივად აქ ვართ და დახმარებაზე უარს არასდროს ვეუბნებით", – ამბობს დაცვის წევრი.

თუ ბავშვს კოკა-კოლის დასალევად და ჩიზბურგერის საჭმელად მაკდონალდსში შესვლა მოუნდა, მშობელი ამ სურვილის შესრულებას მოახერხებს – პირველი სართული ადაპტირებულია. მაგრამ თუ ბავშვებისთვის განკუთვნილ გასართობ ოთახში მოისურვებს ასვლას ან საპირფარეშოთი სარგებლობას, შვილისთვის უარის თქმა მოუწევს. ასეთი მდგომარეობაა მაკდონალდსის ყველა ფილიალში. მარჯანიშვილის ფილიალის მენეჯერი ნინო კანდელაკი „ლიბერალთან" საუბრისას ამბობს, რომ მათთან ბავშვები საერთოდ არ დაჰყავთ. „მხოლოდ ერთი ეტლით მოსარგებლე, ზრდასრული გოგონა დადის ხოლმე საჭმელად".

ეტლით მოსარგებლე ბავშვებს ლიფტით სარგებლობა შეუძლიათ „ამირანის" კინოთეატრში, რაც შეუძლებელია „რუსთაველში". დაცვის თანამშრომლის თქმით, ადმინისტრაცია ახლო მომავალში გეგმავს, რომ კინოთეატრი სრულიად ადაპტირებული გახადოს: „აქ ხშირად დაჰყავთ ეტლით მოსარგებლე ბავშვები, ოღონდ კიბეზე მშობლების დახმარებით, ხელში აყვანილები ადიან".

„იუნისეფის" საქართველოს ოფისის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი მაია ქურციკიძე იმ თანაბარ შესაძლებლობებზე საუბრობს, რომელიც თანაბრად უნდა ჰქონდეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არმქონე ბავშვებს:

„დასვენება, თამაში, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა ბავშვის ერთ-ერთი უფლებაა. ბავშვებს უნდა შეეძლოთ თავისუფლად გადაადგილება სხვადასხვა ტიპის გასართობ, საგანმანათლებლო თუ კულტურასთან დაკავშირებულ დაწესებულებებში. მათ ასევე უნდა შეეძლოთ სარგებლობა იქ არსებული ყველა მომსახურებით. სამწუხაროდ, ბევრი ასეთი დაწესებულება დღეს შშმ ბავშვებისათვის ადაპტირებული არ არის", – ამბობს მაია ქურციკიძე.

კონსულტანტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საკითხებში, მაგული შაღაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილების შესახებ ყვება და ამბობს, რომ იქ არ არსებობს კონკრეტულად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი გასართობ-დასასვენებელი ადგილები. მაგალითად, სკვერები ისეთი უნივერსალური დიზაინითაა დაპროექტებული, რომ სარგებლობა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია.

„ინკლუზიური გარემო გულისხმობს უნივერსალურ დიზაინს, რომლით სარგებლობაც ყველას თანაბრად შეუძლია, არ აქვს მნიშვნელობა ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობის არის თუ არა".

გარდა იმისა, რომ საქართველოში ასეთი ინკლუზიური გარემო თითქმის არ არსებობს, ხშირად ადაპტირებული გარემო მხოლოდ ეტლით მოსარგებლე ადამიანებისთვის ხელმისაწვდომ გარემოდ აღიქმება. ამას სხვადასხვა დაწესებულებაში მხოლოდ პანდუსით ადაპტირებული შენობებიც მოწმობს.

ფოტო: სერგო ავდალიანი

„ამიტომ, გარემო ყველა სახის შშმ ბავშვისთვის უნდა იყოს მეგობრული. სახელმწიფომ სწორად უნდა დაგეგმოს ეს პროცესი და მიჰყვეს გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, სადაც კარგადაა განმარტებული უნივერსალური მოდელი", – ამბობს მაგული შაღაშვილი.

2014 წელს მთავრობამ 41-ე დადგენილება მიიღო, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკას ეხება.

რატი იონათამიშვილი, რომელიც თბილისის საკრებულოს მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მდივანია, თბილისის მერიის მომავალ გეგმებზე საუბრობს. მისი ინფორმაციით, მერია აქტიურად მუშაობს ადაპტირების საკითხებზე, ეტაპობრივად აღრიცხავენ იმ შენობა-ნაგებობებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა გახდეს; შემდეგ შეისწავლიან, რა თანხები დაჯდება და მის შესრულებამდე კონსულტაციებს შშმ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაივლიან. შშმ ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი გარემოს შექმნაც ამ პროექტის ფარგლებში მოხდება:

„ვფიქრობ, ერთ-ერთი პრიორიტეტულია სკვერების, დასასვენებელი და რეკრეაციული ზონების ადაპტირება. ბავშვებისთვის კი – ამით თანაბრად სარგებლობა".

რაც შეეხება კერძო კომპანიებს, იონათამიშვილის თქმით, მერია უკვე თანამშრომლობს სხვადასხვა კომპანიასთან და ეტაპობრივად მათი ადაპტირებაც მოხდება. 41-ე დადგენილება სახელმწიფო და კერძო სექტორებს თანაბრად ავალდებულებს ამის გაკეთებას.

როდის შეძლებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები სკვერებში, თეატრებში, დაბადების დღის ცენტრებსა და სხვა გასართობ-შემეცნებით ადგილებში სიარულს – ამაზე პასუხის გაცემა ჯერ რთულია. რატი იონათამიშვილის ინფორმაციით, ყველაფრის ერთ დღეში შეცვლა შეუძლებელია, „მერია ამისთვის 2016 წლის ბიუჯეტში თანხებს გაითვალისწინებს და გარემო ეტაპობრივად ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება".

კონსულტანტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საკითხებში, მაგული შაღაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილების შესახებ ყვება და ამბობს, რომ იქ არ არსებობს კონკრეტულად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი გასართობ-დასასვენებელი ადგილები. მაგალითად, სკვერები ისეთი უნივერსალური დიზაინითაა დაპროექტებული, რომ სარგებლობა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხოვრება ჯიბოსგან განკურნების შემდეგ

გვანცა კვინიკაძე

NY Times-ის წინამდებარე სტატია დედაჩემისთვის ვთარგმნე. ერთი თვე გავიდა და ჯერ ვერ მომიფიქრებია, როგორ მივაწოდო ის მას ისე, რომ ზედმეტი ემოციის გარეშე გამოიტანოს მისთვის საჭირო დასკვნები. კარგი იქნებოდა სტატია ვინმე სხვას ეთარგმნა და დედას ის სადმე თვითონ ამოეკითხა, მაგრამ ეს თემა საქართველოში ალბათ დიდ ინტერესს არ იმსახურებს:

„გასული წლის შემოდგომაზე მკურნალმა ექიმმა მითხრა, რომ ჩემი „დეპორტაციის" დრო დადგა. ეს საკმაოდ შემაშფოთებელი ცნობაა ორი ემიგრანტის შვილისთვის, თუმცა ექიმი ამ შემთხვევაში ხუმრობდა და ჩემი „პორტის" მოცილებას გულისხმობდა (პორტი სამედიცინო მოწყობილობაა, რომელიც ლავიწის ქვეშ მქონდა იმპლანტირებული). მან გამიადვილა ქიმიოთერაპიის, ანტიბიოტიკებისა და სისხლის გადასხმის ათეულობით პროცედურა მას შემდეგ, რაც ლეიკემიის დიაგნოზი დამიდგინდა. მაშინ 22 წლის ვიყავი.

ხუმრობის ხასიათზე არ ვიყავი. სამნახევარი წლის მკურნალობის შემდეგ, პორტი აღარ მჭირდებოდა და რემისია დადასტურებული იყო. ადრე მეგონა, ცხოვრების ამ ეტაპს მეტი ხალისით შევხვდებოდი.

დიდი დრო დამჭირდა იმის გასააზრებლად, რომ მკურნალობის კურსი დასრულდა. სამედიცინო დასკვნაში წერია, რომ კიბო აღარ მაქვს და ჯანმრთელი ვარ. ყოველდღიურად ძალის მატებასაც ვგრძნობ. საგრძნობლად შემცირდა ახლობლების მზრუნველი ზარები, ვიზიტები ექიმებთან და სისხლის ანალიზებზე. თუმცა მე, 26 წლის ქალი, თავს როგორც ჯანმრთელი არ ვგრძნობ.

ავადმყოფობას უკვალოდ არ ჩაუვლია. უშვილობა, ადრეული მენოპაუზა, დაზიანებული ფარისებრი ჯირკვალი, ქრონიკული დაღლილობა, დასუსტებული იმუნური სისტემა – ეს მის მიერ დატოვებული დაავადებების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. აქვეა დეპრესია, რეციდივის შიში და ფიქრები: რა მოხდება, კიბო თუ დაბრუნდა? ვიგრძნობ თუ არა თავს ოდესმე ძველებურად? როგორ უნდა ვიცხოვრო?

ამ თემებზე წერა არ არის ადვილი, განსაკუთრებით კლიშეების გვერდის ავლით. უფრო რთული კი ამ კლიშეების გარეშე ცხოვრებაა. ხანდახან დანაშაულის გრძნობა მაწუხებს. მე ხომ ერთ-ერთი იღბლიანი ვარ, რადგან განვიკურნე. ჩემს განცდებზე წერა შესაძლოა უმადურ და უგულო ადამიანად წარმომაჩენს იმ ადამიანების ფონზე, რომლებიც ვერასოდეს მიაღწევენ რემისიას. რომელთა შორის არიან ჩემი მეგობრებიც.

ქიმიის ბოლო კურსი 2014 წლის აპრილში ჩავიტარე. ახლობლებმა მკურნალობის დასრულება მომილოცეს. ბუნებრივია მათ არ იცოდნენ, რომ ერთ-ერთი რთული ეტაპი ჩემთვის სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც კიბოსგან გავთავისუფლდი. პირველი ოთხი კვირა საშინელებათა ფილმს ჰგავდა. ოთხჯერ აღმოვჩნდი საავადმყოფოში ნაწლავური ინფექციით (C.diff – სიცოცხლისათვის საშიში ინფექციაა. მისი განვითარების ხელშემწყობი შესუსტებული იმუნიტეტია); დასრულდა თითქმის ოთხწლიანი ურთიერთობა მეგობარ ბიჭთან; კიბოსგან გარდაიცვალა ჩემი საუკეთესო მეგობარი.

მკურნალობის პროცესში გარს მეხვივნენ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანები – ოჯახის წევრები, მეგობრები. საუკეთესო ექიმების ჯგუფი ყველაფერს აკეთებდა ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად. ჩვენ მიზანს მივაღწიეთ, კიბო დავამარცხეთ; ჯარი, რომელიც გარს მერტყა, აღარ მიცავს. ასე დავრჩი მარტო.

საავადმყოფოდან 2014 წლის მაისში გამომწერეს. ჩემი „ყოფილი“ ამ დღეს გადაბარგდა ბინიდან, რომელშიც ერთად ვცხოვრობდით. ვიბოდიალე ოთახებში, ვათვალიერე ცარიელი კარადები და უჯრები. ვიპოვე ძველი სიგარეტის კოლოფი. ერთი ღერი ნელა მოვწიე. საავადმყოფოდან გამოყოლილი სამაჯური ჯერ კიდევ ხელზე მეკეთა.

უკვე ერთი წელია ვცდილობ საკუთარი თავის პოვნას. დავდივარ ნიუ-იორკის ქუჩებში და ნაცნობ ბარებში. რაც უფრო მეტს ვეძებ, ვრწმუნდები, რომ „ძველი მე“ აღარ არსებობს. მთავარი სირთულე კი ისაა, რომ არ ვიცი, როგორ გავაგრძელო ცხოვრება.

მე არ ვარ ერთადერთი, ვისაც ეს შეგრძნებები აწუხებს. მკურნალობის დასრულების მიუხედავად, განკურნებული ადამიანებისთვის ისევ აგრძელებენ არსებობას სამედიცინო, ფინანსური, პროფესიული და ფსიქოლოგიური პრობლემები. კიბოს გამანადგურებელი შედეგი ართულებს განახლების გზას.

2014 წლის სტატისტიკის მიხედვით, აშშ-ში 14.5 მლნ კიბოსგან განკურნებული ადამიანია. 2024 წლისთვის მათი რიცხვის გაზრდა 19 მლნ-მდე ივარაუდება. ადრეული დიაგნოსტიკა, მკურნალობის თანამედროვე მეთოდები და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები ხელს უწყობენ განკურნებას. თუმცა განკურნებულების შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამაა უცნობი. მათი ჯანმრთელობის და ემოციური მდგრადობის შენარჩუნება დღემდე პრობლემად რჩება.

„კარგი იქნებოდა მკურნალობის დასრულებასთან ერთად მთავრდებოდეს პაციენტის ემოციური ბრძოლაც. თუმცა ეს ასე არაა. დეპრესია და შფოთვა ამ ეტაპზე ნორმალურია. გასაკვირი ის უფრო იქნებოდა, ამას რომ არ შეეწუხებინე“, – მითხრა ექიმმა.

დიაგნოზის დასმის დღიდან, თვალს ვადევნებდი ჟურნალისტ ქსენია ჯარდინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვიტერს. ის ხშირად წერს საკუთარი გამოცდილების შესახებ, რომელიც მკერდის კიბოს ეხება. სასტიკი გულახდილობა და იუმორი მისი ხელწერაა.

„კიბო გავლენას ახდენს და კვალს ტოვებს ჩვენს სხეულსა და პიროვნებაზე. უმძიმესი ფსიქოლოგიური პრობლემები მქონდა. ეს არაა მარტივი დეპრესია. ამ მდგომარეობას ბევრი ასპექტი აქვს: სულიერი, ფსიქოლოგიური, სოციალური და სამედიცინო".

მას პანიკური შეტევები ჰქონდა. მანქანის მართვა უჭირდა. დღეების განმავლობაში საწოლში იწვა და სახლიდან არ გამოდიოდა.

„ბოლოს დახმარებისათვის პროფესიონალს მივმართე. დავრეკე საავადმყოფოში და ვუთხარი რომ თავის მოკვლა მინდოდა. სიკვდილის სურვილი პერიოდულად მიჩნდებოდა და ვერ ვხვდებოდი რატომ დავიტანჯე თავი მკურნალობით. დახმარება მჭირდებოდა!

განკურნებაში ექიმები დამეხმარნენ, თუმცა სამედიცინო პერსონალი უძლურია, როცა საქმე თვითმკვლელობის სურვილის დაძლევას ეხება. მგონია, რომ მხოლოდ ონკოლოგებს ესმით ჩვენი ბოლომდე და იციან, რომ ჩვენი ბრძოლა არასოდეს სრულდება".

ბოლო დროს, კიბოს სამკურნალო ცენტრები პაციენტებს მომსახურებას მკურნალობის დასრულების შემდგომაც სთავაზობენ. ექიმების აზრით, არსებული მიდგომები ყოველთვის ეფექტური არაა, ამიტომ საჭიროებს გაუმჯობესებას.

„არსებობს ორი სამეფო – ჯანმრთელების და ავადმყოფების. გაჩენისთანავე ჩვენ ორმაგი მოქალაქეობა გვენიჭება" – ეს ერთ წიგნში ამოვიკითხე. ავტორი არ საუბრობს ადგილზე, რომელიც ამ სამეფოებს შორის არსებობს. სადაც ჩემნაირი ადამიანები სახლობენ – არც ჯანმრთელები და არც ავადმყოფები. ეს მართლაც ჰგავს უდაბურ ადგილას დეპორტაციას, სადაც „გადარჩენილები" ცხოვრობენ. აქ არ არსებობს პროტოკოლი, გაწერის ინსტრუქცია, გეგმა ან გაიდლაინი, რომელიც ჯანმრთელების სამეფოში დამაბრუნებს. ეს არის გზა, რომელიც თვითონ უნდა ვიპოვო".

The New York times
16 მარტი, 2015
ზულეიკა ჯუადი

ადამიანების სიკვდილის მიზეზებს შორის კიბო პროცენტულად მეორე ადგილს იკავებს. საბედნიეროდ, განკურნებული პაციენტების რაოდენობა მზარდია, თუმცა საქართველოში მათ შესახებ სტატისტიკის მოპოვება ვერ შევძელი.

ყველა, ვინც კიბოს ებრძვის გმირია. დედაჩემიც მათ შორის.

პირველი ეჭვი, დიაგნოზი, ოპერაცია, დამატებითი გამოკვლევები, ქიმიოთერაპიის რვა კურსი, ერთწლიანი ჰერცეპტინის კურსი, რეგულარული CA-125 ანალიზი – მან ეს ყველაფერი გადაიტანა. ახლა ჯანმრთელია. ანალიზს ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ყველა განკურნებული ადამიანი, დადგენილი პერიოდულობით იკეთებს CA-125-ის ანალიზს, რომ შეამოწმონ, ხომ არ დაბრუნდა კიბო. პასუხის მოლოდინი უცნაური მომენტია იმ ადამიანებისთვის, ვინც უკვე გამოსცადა ქიმიოთერაპია.

კიბოს მკურნალობა ბევრ სხვადასხვა პრობლემასთანაა დაკავშირებული. სიკვდილია და მას საქართველოს რეალობა კიდევ უფრო ამძაფრებს. ალბათ ესაა იმის მიზეზი, რომ განკურნებულები ჩუმად ეგუებიან საკუთარ მდგომარეობას – განადგურებული ჯანმრთელობით, შერყეული ფსიქიკითა და ტკივილით გათანგულები. ჩვენ მათ მივუსაჯეთ, იყვნენ „უპირობოდ მადლიერები", რადგან ისინი განიკურნნენ.

ერთხელ, ქიმიოთერაპიის შემდეგ დედამ მითხრა – შენ არ იცი, მე ახლა რას ვგრძნობო. თმა, წარბები და წამწამები გასცვენოდა; ფრჩხილები დეფორმირებული, სახე შეშუპებული და კანი ისეთი გათხელებული თუ გაცრეცილი ჰქონდა, მეგონა სისხლის მიმოქცევას ვხედავდი. ექვსი თვის განმავლობაში, მისთვის წყალი და ჰაერიც კი ყარდა. მართლა ძალიან ძნელი იყო იმის წარმოდგენა, თუ რას გრძნობდა, მაგრამ ვხვდებოდი, რომ მკურნალობის ასეთ გზას ადამიანი მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის გამო ვერ გაუძლებდა. მადლობა მინდა ვუთხრა მას ყველა იმ ადამიანის სახელით, ვისთვისაც მისი სიცოცხლე ძვირფასია.

მადლობა, რომ იბრძოლე და დარჩი ძლიერი!

გვანცა კვინიკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ავერსი"

საერთაშორისო სტანდარტი ჩვენს ქვეყანაში

მშვიდი და ღიმილიანი გარემო, თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში მოღვაწეობის 20-წლიანი წარმატების ისტორია, მუდმივად განახლებადი მომსახურების ევროპული ხარისხი და პროფესიონალიზმი – ეს „ავერსის" აფთიაქია. ყველასთვის კარგად ნაცნობი და სანდო სააფთიაქო ქსელი. როდესაც ავერსის აფთიაქში შევდივარ, ვიცი, რომ ამ ადამიანებისთვის ჩემი ჯანმრთელობა ძალიან მნიშვნელოვანია და საჭიროების შემთხვევაში, თითოეული ფარმაცევტი დეტალურად განმიმარტავს ჩემთვის სასურველი პრეპარატის შემადგენლობას, დოზირებას და მიღების წესს. ეს, ალბათ, ბუნებრივიცაა, რადგან კომპანია დაარსების დღიდან განსაკუთრებულად ზრუნავს თანამშრომლების პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე. „ავერსის" ფარმაცევტები ყოველკვირეული სემინარებითა და ტესტირებებით იმაღლებენ კვალიფიკაციას როგორც სამედიცინო, ასევე მომსახურების სფეროში – ასე რომ, თუ წამლის ყიდვის დროს შეკითხვა გაგიჩნდებათ, თამამად იკითხეთ – თქვენ საიმედო ხელში ხართ!

„ავერსის" აფთიაქში ვიზიტისთვის აუცილებელი სულაც არ არის, ჯანმრთელობის პრობლემა გაწუხებდეთ – თავის მოვლის საშუალებები, კოსმეტიკა, ჰიგიენა, ბავშვთა კვება... საჭირო პროდუქციის ასეთ კომბინაციას სხვაგან ვერსად შეხვდებით.

„ავერსის" არსებობა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც ფარმაცევტული ბაზრის, ასევე ქვეყნის ეკონომიკისთვის – „ავერსი" ლიდერია ფარმაცევტულ ბაზარზე გადასახადების გადახდასა და ბიუჯეტის სოლიდური ნაწილით შევსებაში. 20 წლის განმავლობაში ავერსის სააფთიაქო ქსელი ქვეყნის მასშტაბით 230 აფთიაქამდე გაიზარდა. კომპანიაში 9000-მდე ადამიანია დასაქმებული. ალბათ, სწორედ მუდმივ განვითარებაზე ორიენტირება არის ის მთავარი ფაქტორი, რაც უზრუნველყოფს კომპანიის ოცწლიან წარმატებას.

ლალი ბრეგვაძე 14 წელია ავერსის თანამშრომელია. ამდენივე წელია პირადად მონაწილეობს ავერსის განვითარებისა და წარმატების საქმეში. ამჟამად რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის პოზიციაზე მუშაობს, მისი თქმით, კომპანიის 20-წლიანი წარმატება პროდუქციის მაღალმა ხარისხმა, მომსახურების ევროპულმა დონემ და დაუღალავმა მუშაობამ განაპირობა. „ავერსში" დასაქმებული თითოეული ადამიანი საერთაშორისო დონის პროფესიონალია. კომპანია ყველა მათგანს მოსვლის დღიდან ხელს უწყობს და ეხმარება პროფესიულ განვითარებაში. გარდა ამისა, „ავერსში" მოქმედებს პრემიალური სისტემა. საუკეთესო თანამშრომლები ყოველთვის ჯილდოვდებიან, არა მხოლოდ ფულადი პრემიით, არამედ სამოგზაურო პაკეტებით. „ავერსის" გამორჩეულ თანამშრომლებს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა აქვთ მოვლილი. შარშან საზღვარგარეთ 200-მდე თანამშომელი იმყოფებოდა. საუკეთესო თანამშრომლები წელსაც გაემგზავრებიან ევროპის ქვეყნებში. „ავერსის" ამგვარი დამოკიდებულება თანამშრომლების მიმართ, მაგალითი გახდა სხვა კომპანიებისთვისაც, დღეს უკვე სხვა კომპანიებმაც დაგეგმეს პრემიალური სისტემა რაც მისასალმებელია. „ავერსი" ყოველთვის ზრუნავდა და მომავალშიც არაერთი პროექტის განხორციელებას გეგმავს იმისათვის, რომ მისი თანამშრომლები ყველაზე კვალიფიციურები, მოტივირებულები და საუკეთესოები იყვნენ ბაზარზე.

„ავერსი" მხოლოდ სააფთიაქო ქსელი არ არის. ამ ბრენდის უკან, უახლესი აპარატურითა და პროფესიონალებით აღჭურვილი უდიდესი წარმოება დგას. ამის და კიდევ იმის შესახებ, თუ რა სოციალური პასუხისმგებლობა აიღო კომპანიამ თავის თავზე, ან როგორ იქმნება საქართველოში მსოფლიო სტანდარტების მედიკამენტები, შემდეგ სტატიებში გიამბობთ.

მანამდე კი

„ავერსი" გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

ავერსი AVERSI

რეკლამა

ღუმელს ვეხ ჩავაქროს, ბავშვი მყავს

ერეკლე მუმლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ობოლაძე საკუთარი ოჯახით თბილისში, შეშელიძის 62 ნომერში ცხოვრობს. საცხოვრებელი ფართი, რომელიც მისი მეუღლის ახლობელს ეკუთვნის, ყოფილი საავაჭრო რკინის ჯიხურია – ზამთარში ცივი, ზაფხულში ცხელი. ოჯახი სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის ფიქსირებული შემოსავალი თვეში 156 ლარია. დღეში ერთნახევარი პური, სულზე 2 სოსისი და სხვადასხვა დღეს სხვადასხვა სახის საკვების არც თუ სახარბიელო ულუფა – ეს მათი ოჯახის რაციონია, რომელიც ყოველდღე მის მეუღლეს მოაქვს ოჯახში – „გაცდენა არ შეიძლება, აღარ მოგვცემენ“.

ოჯახში არავინ მუშაობს – „რომ გაგიონ, მაშინვე სოციალურს მომიხსნიან, არ მიღირს. ღმერთმა დაიფაროს და მეუღლე ან ბავშვი ცუდად გამიხდეს, ჯანმრთელობის პოლისის იმედად ვარ. ვირუსი შეხედა ბავშვს ამას წინათ, საავადმყოფოში ინვა. ფული ვერ მოვაგროვე, რომ მიესულიყავი სანახავად და პამპერსი ან საჭმელი მიმეტანა. მეუღლეს საავადმყოფოს თანაშრომელი ეხმარებოდა ხან პამპერსით, ხან საკვებით, გაახაროს ღმერთმა“.

44 წლის მამაკაცის დილა შეშის მოგროვებით იწყება. ადგილი, სადაც შეშას აგროვებს, სახლიდან არც ისე შორსაა, თუმცა როგორც თვითონ ამბობს, ის ადგილი გაიყიდა და ცოტა ხანში იქ შესვლაც აეკრძალება. შემდეგ უკვე ჯარის მოგროვებას იწყებს და თუ რამე იპოვა, ოჯახს დამატებით 5-7 ლარით ეხმარება. „ამას წინათ კაცმა დახმარება მთხოვა, რაღაცის ამენებას აპირებდა და აგურის გამორჩევა უნდოდა, ფულსაც გადაგიხდიო. პატივი ვეცი, ფული არ გამოვართვი. დამინახა იმ დღეს ჯართს ვაგროვებდი, ხელებით ვთხრიდი მიწას, მოვიდა და ნერაქვი მაჩუქა“.

შეშის მოსაგროვებლად დაბნელებამდე გამოდის, რომ ღუმელი მთელი ღამე ენთოს და მის წლინახევრის პატარას არ შესცივდეს.

თამაზი ხაშურიდან, სოფელ ტიტვინისწყაროდანაა. მას შემდეგ რაც მისი ძმა დაოჯახდა, თამაზმა თბილისს მიაშურა – „ძმას ხომ არ შევეცილები, თავისი ოჯახი ჰყავს“. როგორც აღნიშნავს, სოფელში ძალიან მოუსავლიანი მინაა და მოსახლეობისგანაც დაცლილია, დღეს იქ მხოლოდ 4 კომლიღა ცხოვრობს. თუმცა შეძლებისდაგვარად ძმა სოფლიდან პროდუქტით ეხმარება.

თბილისში პატარა მაღაზია ჰქონდა მეტრო სარაჯიშვილთან, ფილმის დისკებს ყიდდა, „დღეში 15 ლარამდე რჩებოდა“, თუმცა ფარი გაუძვირეს და მაღაზიაც დაიკეტა.

მეუღლე, 39 წლის ლელა ვეშაგური, თბილისში მცხოვრები მთიულია. საფლეღამისო ჯიხურში მუშაობდა, თუმცა, რაც გარეკეაჭრობა აიკრძალა, ჯიხური აიღეს და სამუშაოს გარეშე დარჩა. ახლა ძირითადად სახლშია და ბავშვს უვლის. იმედოვნებს, რომ როცა ბავშვი ორი წლის გახდება და ბაღში მიიყვანს, ამ დროში თვითონაც შეძლებს ოჯახის მატერიალური თუ საკვები პროდუქტით მომარაგებას.

გაუსაძლისი პირობების გამო, ოჯახმა შესაბამის სამინისტროებს (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის) 1000 ლარიანი დახმარების იმედით მიმართა. პასუხად მათ მიიღეს, რომ მსგავსი დახმარების პროგრამა ეტაპობრივად მიმდინარეობს და მათი ოჯახი ამ დახმარების რიგში იმყოფება.

ოჯახის მთავარ პრობლემად ელემენტარული საცხოვრებელი პირობების არქონა რჩება.

ახლობლის ვინრო ჯიხური, რომელიც თითქმის ყველა ოთახის ფუნქციას ითავსებს, დროებითია და ოჯახი სახელმწიფოსა და კეთილი ხალხის დახმარების იმედით აგრძელებს ცხოვრებას...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

"ამ ნიშნის ქვეშ ბავიმაჰჯვებთ"

GIPA

მაკა იოსელიანი

„GIPA-ში სასწავლო პროცესის ამოსავალი წერტილი სტუდენტია. ეს გახლავთ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, რისი საშუალებითაც ხარისხი იზომება", – ეს სიტყვები საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორს, მაკა იოსელიანს ეკუთვნის. კითხვაზე, თუ – როგორ ზრუნავს ინსტიტუტი სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნაზე, ქალბატონი მაკა გვპასუხობს რომ ყველაზე დიდი მნიშვნელობა სტუდენტების აზრს და მათ მიერ სწავლების პროცესის შეფასებას ენიჭება.

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში სწავლების ხარისხის შეფასება საერთაშორისო აღიარების მქონე კრიტერიუმების გამოყენებით ხდება. სტუდენტების კმაყოფილების შეფასებისა და მათი მოსაზრებების გაზიარების მიზნით, ინსტიტუტი სისტემატურად იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული მხარეების უკუკავშირის მექანიზმს, რაც სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვას გულისხმობს, როგორც ფოკუს ჯგუფებში მუშაობის საშუალებით, აგრეთვე შეფასების ფურცლების ანონიმური შევსების წესით.

„ერთ-ერთმა ჩვენმა კურსდამთავრებულმა GIPA შეაფასა როგორც ოაზისი, რომელსაც შეგიძლია ნებისმიერ დროს შეაფარო თავი და გადარჩე. „ვფიქრობ რომ ეს სიტყვები თითოეული ჩვენგანისათვის მრავლისმთქმელია" – ამბობს მაკა იოსელიანი.

შეფასების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ყოველწლიურად განახლებადი კურსდამთავრებულთა დასაქმების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაცემთა ბაზა. აღნიშნული მაჩვენებლები ადასტურებს რომ ინსტიტუტის საგანმანათლებლო პროგრამები საბაზრო მოთხოვნებს პასუხობს. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დღემდე სირთულეს წარმოადგენს ბაზარზე ორიენტირებული კადრების მომზადება, ინსტიტუტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჯიპას შემთხვევაში რეალობა განსხვავებულია – დაარსების დღიდან დღემდე ინსტიტუტს 1800 კურსდამთავრებული ჰყავს, რომელთა 92% საჯარო და კერძო სექტორშია დასაქმებული. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა წამყვან პოზიციებს იკავებს.

„დასაქმების ასეთი მაღალი მაჩვენებელი წლების მანძილზე GIPA-ში ჩამოყალიბებული სწორი პოლიტიკის შედეგია. ინსტიტუტში არსებული პროგრამები მაქსიმალურად მორგებულია ბაზარზე არსებულ საჭიროებებს. აქ სტუდენტები ერთის მხრივ, იძენენ თანამედროვე პროფესიონალისთვის აუცილებელ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, ხოლო მეორეს მხრივ, შესაძლებლობა აქვთ, სწავლის პროცესშივე გაიცნონ და საქმიანი ურთიერთობა დაამყარონ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულ ადამიანებთან. სწორედ ამიტომ ჯიპა ყოველთვის იზიდავდა საუკეთესო სტუდენტებს და უკვე 20 წელია, რაც ეს ინსტიტუტი წარმატებით მოღვაწეობს საგანმანათლებლო სივრცეში“ – ამბობს მაკა იოსელიანი.

ინსტიტუტის რექტორი თვლის, რომ 20 წლის წინ, ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესში GIPA-ს შექმნის იდეა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ, რადგან მიზნად ისახავდა დასავლური სტანდარტის გათვალისწინებით ახალი ტიპის საჯარო მოხელის მომზადებას. წლების განმავლობაში ინსტიტუტის განვითარებასთან ერთად მისი შესაძლებლობები გაიზარდა. ქართველი ლექტორები ამერიკელ პროფესორებთან ერთად დღემდე თანაბრად იზიარებენ პასუხისმგებლობას არსებულ კოლეგიალურ სასწავლო პროცესზე, სწავლების ხარისხზე და ლიბერალურ აკადემიურ გარემოზე.

დღეს GIPA მხოლოდ საჯარო მოხელეებს არ ამზადებს, დღეს მისი განაცხადი ბევრად უფრო მასშტაბურია – საჯარო მმართველობა და პოლიტიკა, ადგილობრივი თვითმმართველობა, ჟურნალისტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, ფსიქოლოგია და სოციოლოგია, ასევე სამართალი და ბიზნესის მიმართულება ის სფეროები გახლავთ, რომლის განვითარებაზე ინსტიტუტი ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან ერთად მუდმივად ზრუნავს.

დაარსების დღიდან ჯიპაში ძირითადი აქცენტი სამაგისტრო პროგრამებზე კეთდებოდა. 2011 წელს, პარტნიორ ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან ერთად აქტიურად დაიწყო საბაკალავრო პროგრამების განვითარება. ამ ეტაპზე GIPA-ში წარმატებით ფუნქციონირებს 4 საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესი, სამართალი, სოციალური მეცნიერებები, აუდიო-ვიზუალური და მედიახელოვნება.

„საბაკალავრო პროგრამების შექმნის პროცესი ძალიან საინტერესო იყო. 5 წლის წინ, ინსტიტუტის რექტორმა, ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა სწორედ რომ დროულად დააყენა ეს საკითხი. ჩვენ სამაგისტრო პროგრამებზე მიღების დროს მუდმივად ვმსჯელობდით იმ პრობლემებზე, რასაც აბიტურიენტებთან მიმართებაში ვაწყდებოდით. ხშირ შემთხვევაში არ გვაკმაყოფილებდა მათი ცოდნის დონე. შესაბამისად, მუდმივად ვაანალიზებდით და ვიკვლევდით როგორი უნდა ყოფილიყო პოტენციური სტუდენტის ცოდნა და უნარები იდეალურ შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ბაკალავრიატთან დაკავშირებული საკითხები სრულყოფილად შევისწავლეთ. „ჩვენ ვიცით რა გვჭირდება, ვისწავლეთ ბევრი, გვყავს პარტნიორები, ამდენად გვაქვს შესაძლებლობა ადგილობრივი რესურსის და უცხოელი კოლეგების გამოყენებით შევქმნათ ერთობლივი პროდუქტი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს სამაგისტრო პროგრამებს. – სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც გაჩნდა წარმოშვა იდეა რომ სამაგისტრო პროგრამებისათვის მყარი საფუძველი შეგვექმნა“, – ამბობს ქალბატონი მაკა.

საბაკალავრო პროგრამებზე მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება, რასაც წლების მიხედვით სტუდენტების რაოდენობის ინტენსიური ზრდა მოწმობს. კერძოდ, 2011 წელს თუ GIPA-ში 70 ბაკალავრი ირიცხებოდა, დღეს ეს რიცხვი 500-მდეა გაზრდილი.

2015 – 490
2014 – 242
2013 – 177
2012 – 44
2011 – 71
2010 – 10

აღსანიშნავია, რომ ჯიპა თანაბრად ზრუნავს უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის განვითარებაზე, – ინსტიტუტში ფუნქციონირებს როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

მაკა იოსელიანის თქმით, საგანმანათლებლო პროცესის მიმართ დამოკიდებულება/ხედვა ყველა საფეხურზე ანალოგიურია. ჯიპას საგანმანათლებლო პროგრამებს ინტენსიური ურთიერთობა აქვთ პარტნიორ უნივერსიტეტებთან, როგორც გაცვლითი პროგრამების, ასევე უცხოეთში სწავლების მიმართულებით.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ GIPA-ს ჩამოყალიბებისა და განვითარების მთელი ისტორია მჭიდროდ უკავშირდება უცხოელ პარტნიორებთან, ძირითადად ამერიკულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას. დღესდღეობით ამ ჩამონათვალში 5 ამერიკული და რამდენიმე ევროპული უნივერსიტეტია. თანამშრომლობის პროცესი გულისხმობს როგორც GIPA-ს ლექტორების კვალიფიკაციის ამაღლებას პარტნიორ უნივერსიტეტებში, აგრეთვე უცხოელი პროფესორების ჩამოსვლას და სასწავლო პროცესში ჩართვას.

საუბრის ბოლოს უნივერსიტეტის რექტორს, მაკა იოსელიანს ბოლო შეკითხვა დავუსვით: რატომ უნდა ჩააბარონ აბიტურიენტებმა GIPA-ში?

„ჩემი პირადი გზავნილი ძალიან მარტივია, რადგან იგი ჯიპას დევიზის გამეორება გახლავთ: – „ამ ნიშნის ქვეშ გავიმარჯვებთ“.

GIPA
In hoc signo vinces
საქართველოს
საზოგადოებრივ
საქმეთა ინსტიტუტი

რეკლამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროტიული ლიტერატურის შემოსვლა და გასვლა. ის და იგივენი.

სინამდვილეში ყველაფერი სხვანაირად იყო. შაკოიას მანქანაში ჟიგულის სუნი იდგა. ასეთ სუნს სხვაგან ძნელად იპოვით და კიდევ უფრო ძნელად აღწერთ, თუმცა ყველამ ზეპირად ვიცით, ვინც რომ საბჭოთა დროიდან მოვდივართ. ცალი ფეხით მაინც. შაკოია და მისი კლასელი 16 წლისა იქნებოდნენ, მე შაკოიას მონათესავო ელემენტი, 13 წლის. „რა დროის შენი ქალია, შენ ტყუილა წამოგიყვანეთ, იგენს რომ არ ენერვიულათ", – მითხრა შაკოიამ საზარელი სიმართლე და ბრძანება გასცა, მანქანაში მომეცადა. აქ როგორც კლასიკა გვკარნახობს, თვალებზე ცრემლი ვიგრძენი. წამებით მოვკლავდი, რომ რამე.

გიორგი კეკელიძე

შაკოია და მისი კლასელი 16 წლისა იქნებოდნენ, მე შაკოიას მონათესავო ელემენტი, 13 წლის. „რა დროის შენი ქალია, შენ ტყუილა წამოგიყვანეთ, იგენს რომ არ ენერვიულათ" – მითხრა შაკოიამ საზარელი სიმართლე და ბრძანება გასცა, მანქანაში მომეცადა. აქ როგორც კლასიკა გვკარნახობს, თვალებზე ცრემლი ვიგრძენი. წამებით მოვკლავდი, რომ რამე.

იქვე, რკინა-ბეტონის ბინად ცნობილ სახლში შევიდნენ. იმ ბინებიდან ჩემ სახლამდე კია ასე 4 კილომეტრი. ცხადია, არ დაველოდე. მანქანის კარი ღია დავტოვე და წამოვედი. უკვე ღამე ეთქმოდა. პირველმა მეტაფორებმა მაშინ შემიტიეს. ასეთი რამე დავწერე: „მთვარე, ნიშნავს რომ დედამიწას გარდაცვლილი მზე ესიზმრება. ამიტომაც მთებს შიშისფერი ადევთ. ობისფერი. შიშისფერი ადევთ ქუჩებსაც. დედამიწას გარდაცვლილი მზე – მთვარე ესიზმრება". უჯრაში შევინახე. და წლების მერე წიგნში შევიტანე. მაშინ სუბლიმაციებისა არაფერი ვიცოდი, მაგრამ რაღაც გადატანასთან რომ მქონდა საქმე, ვიგრძენი და გავბრაზდი. და ვთქვი, რომ ყველაფერში მაგარი უნდა ვყოფილიყავი, რომ არაფერი უნდა დამეთმო. მამაჩემს ვთხოვე და ჭირის დღისთვის შენახული თხილი ჩავაბარეთ. მივედი იმ ფულით დამახსოვრებულ ბინაში. ვიკითხე ესა და ეს სად ცხოვრობს-მეთქი. არავინაა ეგეთიო, პლანი თუ გინდა იმ პადიეზდშიაო. აი, იმაში – შაკოია და მისი ძმაკაცი რომ შევიდნენ. წამებაზე უარესით მოვკლავდი შაკოიას. ორმაგად მომატყუა იმ საწყალმა, თორემ რა უნდოდა, როგორც დღეს იტყვიან, სექსმუშაკს, რკინა-ბეტონის ბინაში. იმ ფულით ვიყიდე კლაუდია შიფერის პლაკატები და საწოლთან გავიკარი. 13 წლის ვიყავი, მაგრამ სიამაყით და დამალული ცრემლით სავსე. დანებებას არ ვაპირებდი. არც ერთ ფრონტზე. ომიც მაშინ გამოვაცხადე.

მაგრამ ომი იქით გავწიოთ. ან იქით რატომ, ესეც ხომ იგივეა – 13 წლისამ მივიღე ერთი ფრიად ამაღელვებელი და ამავდროულად, როგორც მერე გაცხადდა, მცდარი მინიშნება – ალბერტო მორავიას „ჩოჩარა" იმფერი წიგნი იყო. იმფერი, ანუ ეროტიკული. მორავია რომ ქართველი მეგონა ეს კიდევ ცალკე საგაა. ახლა ალბერტოსა და ჰამლეტის გურულსახელობით ძნელად გაგვაკვირვებთ. ჰოდა ვითხოვე. გარეკანი, სადაც შიშველი ქალი იყო წარმოდგენილი, ინფორმაციის წყაროს სანდოობას, დიახაც რომ ადასტურებდა. დავიწყე კითხვა და ამაოდ. ჩემთვის მოსაწყენი ამბები: ჯარისკაცები, სიკვდილი, გაჭირვება. არადა, გასაჭირი ჩვენიც გვეყოფოდა. მოკლედ იმფერი აფერი. დე სიკას ლორენიანი ეკრანიზაცია რომ მქონოდა ნანახი, ფიქრს სხვა გაქანებას მივცემდი. მაგრამ მაშინ დე სიკა ბესიკად შეიძლებოდა მომყურებოდა – ჩემსა და კინოს შორის მკვდარი ტელევიზორი იდგა.

მეორე წიგნს ეწერა „გამოდის ავტორის ხარჯით". ეს იმ პერიოდისთვის ეტყობა განსაკუთრებული ამბავი იყო, გასაგები ტრადიციის გამო – 1991 წლის გამოცემაა – და ხაზგასმით მიუთითებდნენ. როსტომ ბეჟანიშვილის „ჰერცოგის ნადიმი". ამ კაცის სახელი და გვარი მერე რუსთაველზე დამხვდა – აქ ცხოვრობდა და ა.შ.-ს ამბავში და გამიხარდა. ხსენებული წიგნიც ეროტიკული „ნაკოლის" გავლენით წავიკითხე.

აქაც ვერაფერი ბევრი ამ მხრივ, მაგრამ სხვა ამბები გავიგე. მაგალითად ის, რომ არსებობდა ვინმე ჯუ დე, ჩინელი გენერალი – 9 მარტს, სტალინის სახელის დასაცავად ქართველი დემონსტრანტები მიადგნენ სტუმრად ჩამოსულს და გაჰყვროდნენ: ჯუ დე, ჯუ დე, ჯუ დე!

ძალიან საინტერესო ამბავია ერთი წიგნის გამოცემა ორჯერ – ბათუმში და თბილისში – განსხვავებული სათაურებით. სერგეი ლიბიხი – „სექსუალური ჰარმონია“ (თბილისი, მერანი, 1991 წელი. თარგმნა ნ.ლობჟანიძემ. გვერდი – 96) და სერგეი ლიბიხი – „სასიყვარულო ჰარმონია“ (ბათუმი, ჟურნალ ,,ჭოროხის“ გამომცემლობა, თარგმნა ე.ნიკოლაძემ. გვერდი – 64). საინტერესოა ისიც, რომ ორივე წიგნი ოჯახის ბიბლიოთეკაში აღმოვაჩინე. ალბათ დროისა და კონტექსტის გათვალისწინებით – ძალიან სტერილური ქართულით ნათარგმნი, რაღაც აზრით ნეიტრალური წიგნი – არც სამედიცინო, არც ეროტიკული. მოკლედ, არცთუ სახალისო საკითხავი, სულ მცირე იმ დეკლარირებული მიზნით მაინც, რაზეც თავიდანვე მოგახსენეთ.

მაგრამ ამ დროის საკულტო წიგნი მაინც სხვა იყო. კარგად ან უნებლიეთ კარგად გათვლილი კომერციული პროექტი. ფასი სახელშეკრულებო – ეს ბიზნესგანცდისთვის. ტირაჟი, ოფიციალური – 1000 – ეს ექსკლუზიურობის შეგრძნებისთვის, თორემ ბარემ ათას ხუთასი კაცისგან მე გამიგია, რომ სადღაც სხვა გამოცემების ზურგში უდევთ. შრიფტი – პეტიტი – მზერის დასაძაბად და სხვანი. გაფორმება – სურათ-ნახატების გარეშე, ტექსტზე მეტი აქცენტით. ხოლო ავტორი – ირინა ავერბახი. ხოლო პირველ გვერდზე – ზ.ი. ავერბახი. აშკარა ფსევდონიმი, რომლის უკან მდგომი თუ ოდესმე სცენაზე გამოვა, დიადი კარნავალი უნდა შეიქნას. და სახელი მისი: „გარყვნილების ჭაობი, ანუ დედიდან შვილზე გადასული უბედურება“ უფრო მოკლედ: ჭაობი. წინასიტყვა გვამცნობს: „ძვირფასო მკითხველებო! ამ რომანში მოთხრობილი ამბები ნამდვილად მოხდა, მისი ავტორის ზაირა ისაის ასული ავერბახი რამდენიმე წლის წინ საზღვარგარეთ გაიქცა. ეს წიგნი საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო. იგი გამოიცა საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში. წიგნი ჩვენთან საიდუმლოდ იბეჭდებოდა, რადგან წიგნის აღმოჩენის შემთხვევაში მისი მფლობელიც სათანადოდ დაისჯებოდა“. პორნოგრაფიული ელემენტები. კრიმინალი. სიმდიდრე და სიღარიბე. ციხე. სიყვარული. ცოტა მოულოდნელი მორალისტური ამოვარდნები. ყველაფერი რაც რაგინდარა ხარისხის ტექსტს ბესტსელერობას დაუმკვიდრებს, მით უფრო იმ დროს, საბჭოთა ფსევდოტაბუდან გამომძვრალ საზოგადოებაში. ამ წიგნს ეგრე ვკითხულობდი, როგორც რომ ჩემი ვარაუდით ბევრი თქვენგანი – ან საბჭოთა ენციკლოპედიაში ვაქცევდი სხვათა თვალის ასაქცევად, ანდაც იყო ასეთი ფოლიანტი – ოქრო აჭარის ლაჟვარდში, ციტრუსთა და მსგავს ხილთა ქება და იქ ვათავსებდი. ერთი შეხედვით კი გასაკვირია ამგვარ წიგნთა ასე დაჟინებით კითხვა, მაგრამ უცნაურ ბავშვად ვითვლებოდი და ამან გამიმართლა.

დღეს ცოტა სხვანაირადაა საქმე. მაგრამ წიგნებისკენ ხელის წაცდენას ახლაც წავაწყდებით. სრულიად ირიბად – საშა გრეი ჟან ბოდრიარს კითხულობს (ან კითხულობსო). უცნაური ამბავია – შებრუნდა სამყარო.



ლიტერატურა, რომელსაც სექსი ძლიერ უყვარდა

ეროტიკა ლიტერატურის უკვდავი თემაა. რაღაც დროიდან ეროტიკა მწერლობის აუცილებელ ნაწილად იქცა. ხშირად მწერლებს იმის მიხედვითაც ვაფასებთ, რამდენად კარგად იცნობენ ისინი ინტიმურ სფეროს და როგორ შეუძლიათ მისი გადმოცემა. სხვათა შორის, ის ავტორებიც კი, ვინც ამ სფეროს კარგად იცნობდნენ, ამ თემაზე საუბარს ერიდებოდნენ.

ლევან ბერძენიშვილი

პირველივე ლიტერატურულ ძეგლში გვხვდება მინიშნებები, რომ სექსუალურ ურთიერთობებთან დაკავშირებით შეიძლება კონფლიქტს წავაწყდეთ. ვგულისხმობ „გილგამეშიანს“ და იმ მონაკვეთს, სადაც ამქვეყნიური დიდებით გაზულუქებულმა და გაამპარტავნებულმა, სეკულარიზებულმა, გილგამეშმა ქალღმერთს ქმრობაზე უარი უთხრა.

თანაც, ეს უბრალო უარი არ იყო. გილგამეშმა ქალღმერთის ქმრები ჩამოთვალა და აღმოჩნდა, რომ ყველა „უბედურ დღეზე იყო გაჩენილი“. ქალღმერთმა იწყინა, სხვა ღმერთებს მიმართა და მას სასჯელად ზეციური მოზვერი მოუვლინეს. მოზვერი, რომელიც გილგამეშმა და მისმა მეგობარმა ენქიდუმ დაამარცხეს. გამარჯვებას კიდევ ერთი სასჯელი მოჰყვა – ენქიდუ დაიღუპა. ამით დასაჯეს გილგამეში. გილგამეშის სიკვდილი ჩვეულებრივი სასჯელი იქნებოდა, მაგრამ ღმერთები ღმერთები არიან და შეურაცხყოფა – ქალღმერთის „არმიღება“ – ვერ აიტანეს, გილგამეში კი არ მოკლეს, მეგობარი მოუკლეს.

აქ საუბარია თემაზე: შენ – ქმარი, მე – ცოლი, მე ამას არ ვიზამ. ეს ამბავი შორს არ მიდის. ქალღმერთის ხელ-ფეხი, ქალური, მიწიერი თვისებები არ არის წარმოჩენილი, თუმცა ამავე ნაწარმოებში ჩვენ უაღრესად თანამედროვე სცენაც გვხვდება, პირდაპირ რომ ვთქვათ – ველური სექსის ეპიზოდი. ვფიქრობ, სწორედ აქ ჩაისახა ეროტიკის როლი ლიტერატურაში. ეროტიკა წარმოდგენილია როგორც განმაკაცებელი ფუნქცია. ქალი ცივილიზატორია, ველურის ადამიანად ქცევის, ფილოგენეზის მთავარი შემადგენელი ნაწილი. ვგულისხმობ მონაკვეთს, როცა უდაბნოში დაბადებული, ველური ენქიდუსგან გაწამებულმა მონადირეებმა მისი მოთვინიერება გადაწყვიტეს. ამისთვის კი მხიარული ქალი დასჭირდათ, რომელსაც არასოდეს აღიქვამენ, როგორც მრუშს, გაფუჭებულს.

„გილგამეშიანში“ ამ მხიარული ქალის პროფესია მრუშობა კი არა, იშთარის ტაძრის ქურუმობაა, ანუ სექსი საკრალურ დონეზეა აყვანილი. თუმცა, როდესაც ქალღმერთთან ფიზიკურ კავშირზეა საუბარი, სინამდვილეში აქ სწორედ მისი მოადგილეები – შამხათები მოიაზრებიან. ენქიდუ გააფრთხილეს, როგორ უნდა მოქცეულიყო ქურუმთან. ან გაფრთხილება რად უნდოდა, ისედაც ყველაფერი კარგად იცოდა. ქურუმმა გაიხადა, დაანახა მთელი სიმდიდრე და გადარია კაცი, რომელსაც ამ ნეტარების შესახებ მანამდე წარმოდგენა არ ჰქონდა და როგორც ქართულ თარგმანში ვკითხულობთ – ექვსი დღე ნერბავდა და მხოლოდ მეშვიდე დღეს...

რა თქმა უნდა, ამ ქალმა ყველაფერი ასწავლა ენქიდუს, მაგრამ თავად ის, რომ სექსი, ეროსი, მომთვინიერებელი და ცხოველის ადამიანობის გზაზე დამყენებელი აღმოჩნდა, გრანდიოზული იდეაა ლიტერატურისთვის.

ლიტერატურა გულშემატკივრობს ამ ქალებს იმდენად, რომ დიდი მწერლები დაცემულ ქალებს დიდ გმირებად გვიხატავენ. ამას აკეთებს არა მხოლოდ დოსტოევსკი, არამედ სხვებიც, რომლებიც გვაჩვენებენ, რომ შეიძლება ადამიანი ფიზიკურად დაეცეს, ყველაზე დაბალ სოციალურ საფეხურზე იდგეს, მაგრამ მისი სული ხელუხლებელი დარჩეს, აყვავდეს და ადამიანები გადაარჩინოს.

გავიხსენოთ „ილიადაც“. ტროელი მოხუცები ელენეს აგინებენ და ამბობენ, როგორ შეიძლებოდა ქალის გამო ამდენი სისხლი დაღვრილიყო, ამდენი ვაჟკაცი დაღუპულიყო და სხვ, მაგრამ გამოივლის რა ელენე პრიამოსთან ერთად, მოხუცები იტყვიან, რომ ასეთი ქალისთვის ღირდა ომის დაწყება.

ცბიერი ავტორია ჰომეროსი, საერთოდ არ აღწერს სექსს, მაგრამ მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. აქ ელენეს გარეგნობაზეა საუბარი, თუმცა მისი ვიზუალური მხარე კი არა, მის მიერ მოხდენილი ეფექტია აღწერილი. ამით ჰომეროსი გვეუბნება – აი, რაც თქვენ ლამაზად მიგაჩნიათ, ისეთიაო. ერთადერთი რაც ზუსტად ვიცით, ელენე ოქროსფერთმიანია. ჰომეროსმა ელენეს სახე მთლიანად ჩვენს წარმოსახვას მიანდო.

სარეცლის ენიგმას ვხვდებით „ოდისეაში“. პენელოპე არ ენდობა უცხო კაცს, არ სჯერა რომ ის ოდისევსია, ცდის და ამბობს – ლოგინი გარეთ გაიტანეთო. რა თქმა უნდა, ოდისევსმა იცის, რომ ეს შეუძლებელია – ეს ლოგინი გადაჭრილი ზეთისხილის ათასწლოვანი ხეა. სწორედ ამ სარეცელზე, ამ ხის ირგვლივ აშენდა სასახლე. აქაც სარეცლის საიდუმლოა. ჰომეროსი მიუთითებს, რომ ოცი წლის განმავლობაში კაცი შეიძლება ძალიან შეიცვალოს, ვერ იცნო მისი სახის ნაკვთები, გამომეტყველება, მაგრამ მას ვერ შეეცვლება ის უნარ-ჩვევები, რაც ინდივიდუალურია, როგორც თითის ანაბეჭდი, როგორც თვალის ბადურა. ეს მისი სექსუალური პოტენციალი და მისი თამაშის უნარია. კაცი სარეცელზე ამოიცნობა.

ჰომეროსი ფიგურალურად გვეუბნება, რომ ოდისევსი ისევ იქ, იმ თავის კაცობაში გამოიცადა და პენელოპესგან რწმუნება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო. ალბათ პენელოპე ლოგინში ვერ შეცდებოდა.

ამ ეპოქის დრამატურგებთან სექსი საერთოდ არ გვხვდება. კი ბატონო, ჩანს სიყვარულის ელემენტები – ქალის გამო კაცმა თავი მოიკლა, მაგრამ უფრო ახლოს, როგორც რუსები ხუმრობენ – „ближе к телу“ – ჩვენ დაშვებულები არ ვართ.

ეროტიკამ აპოთეოზს რომაულ პოეზიაში, კერძოდ „ენეიდაში“ მიაღწია, სადაც სიყვარულს ქალი ემსხვერპლა. აქ უკვე გვაქვს მინიშნება, რომ გმირებს შორის სქესობრივი აქტი შედგა, თუმცა ავტორს დეტალები არ აინტერესებს.

„ენეიდაში“ სიყვარულის ვითარება ახსნილია იმით, თუ რა ხდება გმირის სულში, მაგრამ სხეულთან ჩვენ არ გვიშვებს. როგორც ჩანს, ეს ძალიან მაღალი პოეზიაა საიმისოდ, რომ სხეულის დონეზე ჩამოვიდეს. ამაში ვერ დავეთანხმები ვერგილიუსს, მას ჰქონდა ტალანტი, შეეძლო რომ ეს აღეწერა.

იქვე, რომაულ პოეზიაში იყო ეროტიკის ელემენტები, განსაკუთრებით კატულუსთან. საერთოდაც უნდა ითქვას, რომ ამ დროს უკვე გამდიდრდა ჩვენი წარმოდგენები. გარდა იმისა, რომ გვაქვს სიყვარული ტრადიციული წარმოდგენით, ეროტიკული მომენტები გვხვდება ფილოსოფიურ ნაწარმოებებშიც. მანამდე კი – პოეზიაში, მაგალითად, ერთსქესიანი სიყვარული საფოსთან, რომელიც მომენტალურად იქცა ორსქესიანად, როგორც კი საფო ლათინურად ითარგმნა. რაც მართალია, მართალია – ბრწყინვალე გამოვიდა! მთავარი სიყვარულია და არა სქესი. საფოც და კატულუსიც კარგი პოეტები არიან (ერთი ქალებზე წერს და მეორე იმავე ტექსტს კაცისა და ქალის ურთიერთობას უძღვნის). ანტიკურობა გვიმტკიცებს, რომ მთავარი სიყვარულია და არა მისი სუბიექტი ან ობიექტი.

ახლა, რაც შეეხება იმ ფილოსოფიურ ნაწარმოებს, რომელიც, რა თქმა უნდა, მხატვრულია, ლიტერატურას ეთვლება. პლატონის „ნადიმში“



ეროსი მიმოხილულია როგორც ღმერთი, როგორც ფუნქცია. ჩემი აზრით, ლიტერატურაში სულ ორი ნაწარმოებია, რომელიც სიყვარულს თეორიულად შეეხო: ერთია პლატონის „ნადიმი“, რომელშიც სიყვარულის შვიდი კონცეფციაა განხილული, მათ შორის, ეროსის, ეროტიკის, სექსის; მეორე კი – ანრი ბეილის, ანუ სტენდალის მიერაა დაწერილი.

არაერთი ლიტერატურული ძეგლი ვიცით, რომლებიც ეროსის, ეროტიკის გარეშე უბრალოდ არ იარსებებდა. მაგალითად, „ლედი ჩატერლეის საყვარელი“ თავიდან ბოლომდე სექსზე, რიტმზე, ტემპზეა აგებული.

სხვა ამბები იყო მაღალ ლიტერატურაში, სადაც ითვლებოდა, რომ არ შეიძლებოდა ასეთი რამ! როჩესტერსა და ჯეინ ეარს შორის როგორ შეიძლებოდა „ის“, „В советском союзе секса нет“ იყო ამ ნაწარმოებებში. თუმცა ჩვენ ისიც ვნახეთ, რომ როდესაც წიგნებში სექსი დაიბადა, ლიტერატურა კვლავ თავის სიმაღლეზე დარჩა.

არსებობს ნაწარმოები, რომელიც პირდაპირ ეროტიკას ეძღვნება. უპირველეს ყოვლისა – „ლოლიტა“, რომელიც იმდენად ეძღვნება ეროტიკას, რომ ჩანაწერების გასაჯაროების შემდეგ გავიგეთ, ნობელის კომიტეტში აღშფოთებულან, ამის დამწერს პრემია როგორ უნდა მივცეთო. გამოდის, ნობელის კომიტეტს ნაბოკოვის მიერ აღწერილი ფენომენის არსებობა აშფოთებდა, თითქოს, რომ არ დაეწერა, ლოლიტები არც იარსებებდნენ.

საინტერესოა, რომ ეს „ლოლიტას“ კრიტიკის ყველაზე სუსტი ნაწილია, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ნაწარმოები პედოფილიაზე არაა. შეიძლება მოგვწონდეს, შეიძლება არა, მაგრამ მასში ჭარბად მოწოდებული ინტიმი დაინახეს, ინტიმი, რომელზეც თურმე არ უნდა საუბრობდნენ.

„ლოლიტა“ ბრწყინვალე წიგნია, მაგრამ არსებობს უფრო დიდი წიგნებიც, რომლებიც, ასევე

კრიტიკის ქარ-ცეცხლში აღმოჩნდნენ სწორედ იმის გამო, რომ მათში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეროტიკული მომენტები.

უპირველეს ყოვლისა, შედარებით უწყინარი წიგნი – „ანა კარენინა“ მინდა ვახსენო. რომ ვთქვა, ამ ნაწარმოებში სექსი არ არის-მეთქი, მეტყვიან – როგორ კაცო, პირველი გვერდი სწორედ ამ ამბებით იწყებაო. კრიტიკოსებმა ეს ნაწილი გაატარეს, თუმცა აღშფოთდნენ იმაზე, რომ ტოლსტოიმ ქალის ფიზიოლოგიის ძალა აჩვენა.

ითვლებოდა, რომ ქალი კდემამოსილია და მამაკაცს ლამის უთმობს, თითქოს ამ მხრივ მას საერთოდ არ ჰქონდეს არანაირი სურვილები. ეს რომ რეალობას არ შეესაბამებოდა, ალბათ ვხვდებოდით, მაგრამ ლიტერატურაში ამას არ წერდნენ. ყველაფერი უცბად მოხდა, როდესაც ანა კარენინას ვრონსკი შეუყვარდა. ქალმა დაინახა, რომ მისი ქმარი საზიზღარია, საზიზღარი ფიზიოლოგიურად, რომ არ უვარგა ყურები, ატკაცუნებს თითებს. რაც უფრო მეტად შეუყვარდა ერთი, მით უფრო შესძულდა მეორე. ვრონსკი ახალგაზრდა კაცია, ფრიადოსანი ეროტიკაში და მის ფონზე წარმოიდგინეთ ქმრის მოვალეობის შემსრულებელი ასაკოვანი კაცი. ამაზე როგორ შეიძლებოდა ლაპარაკი?! ტოლსტოი კი წერდა.

მეტიც, ნიკოლოზის ძემ ქალის ბუნება უზარმაზარი ძალით ნატაშა როსტოვასთან გვაჩვენა. ნატაშას უყვარდა ანდრეი ბალკონსკი, მზად იყო ნებისმიერ წამს გაჰყოლოდა, მაგრამ ანდრეის მამამ ახალგაზრდები გატანჯა – უნდა გავიდეს წელიწადი... სწორედ ამ წლის განმავლობაში ნატაშას უჩნდება გრძნობა, რომ დრო გადის და ის მისთვის იკარგება. მას უთხრეს – შენ მწიფეხარ, რომ გაჰყვე რჩეულს, მაგრამ უნდა მოითმინო წელიწადი. ნატაშამ ვერ მოითმინა. დაიწყო ჯანყი, კინაღამ გაიქცა, კინაღამ საბოლოოდ დაღუპა თავი. სიყვარული კი დაინგრა, დაინგრა იმის გამო, რომ მოიძებნა კურაგინი, გაფუჭებული, ცუდი კაცი. მინდა გავუგოთ ნატაშას, ადამიანს, ახალგაზრდას, რომელსაც სხეულმა უკარნახა, რომ რაღაც უნდა მოხდეს, დრო გადის...

ეს ტოლსტოიმ დაწერა და მის წინააღმდეგ აღდგა, გადაირია, გაგიჟდა ყველა, ყველამ ჭკუის სწავლება დაუწყო. ის დიდი კაცი იყო და გადაიტანა, ეცინებოდა კრიტიკოსებზე. შემდეგ კი გადასარევ გამოსავალს მიაგნო: თქვა, ზოგადად, არც „ანა კარენინა“ ვარგა და არც „ომი და მშვიდობაო“. ამიტომაც დაანებეს თავი. არადა, მართლა ასე ფიქრობდა, უკეთესები მაქვს და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილიო. თავადვე გაემიჯნა საუკეთესოს, რაც მისი ხელიდან გამოსულა.

ის, რაზეც ტოლსტოიმ მიგვანიშნა, მთავარ ამბად აქცია ჯოისმა „ულისეში". რა არის „ულისე"? ჩვეულებრივ, ამბობენ, რომ ულისე ორგმირიანი ნაწარმოებია. ეს დიდი ტყუილია. საერთოდაც, თუ ნამუსია, „ულისეს" – „პენელოპე" უნდა ერქვას. „ულისე" ირონიული სახელია, იმიტომ რომ ამ ნაწარმოებში ლეოპოლდ ბლუმი ყველაზე ნაკლებადაა გმირი. აქ სტივენ დედალუსი გაცილებით მნიშვნელოვანია, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, ქალბატონი ბლუმია. თუ ვინმეს ამოდენა წიგნის წაკითხვა ეზარება, ბოლო თავს მიადგეს, არ იქნება ურიგო.

აი როგორი ტექსტია: ჯერ ერთი, ითვლება, რომ ჯოისმა ქალის ფსიქოლოგია ძალიან კარგად იცის. ვფიქრობ, ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის ნაჯვარი იგულისხმება, ანუ არა მარტო ქალის ფიზიკურობა, არამედ ქიმიაც. ჯოისი ბრწყინვალედ იცნობს ადამიანის ინტიმური ცხოვრების ყველაზე ბნელ ნაწილებს. ფიქრებში იგი სრულიად თავისუფალია. იფიქრო მოლი ბლუმივით, ეს ძალიან რთული წარმოსადგენია.

მოლი თავისუფალია, მისი ქმარი კი ფიქრობს – ღალატობს თუ არა ცოლი. გასაგებია, რომ მან ამ კითხვის პასუხი იცის, თუმცა ურჩევნია, რომ ეჭვები ღრღნიდეს. აქ საუბარია არა ღალატზე, არამედ იმაზე, რომ მოლი საკუთარ საქციელს ღალატად არ თვლის. ის სხვაგან იხედება, სოციალური ნაწილი, შეფასებები – ღალატი, ერთგულება, მისი ლექსიკის ნაწილი არ არის. იყო დრო, როდესაც „ულისე" ამის გამო არ იბეჭდებოდა, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი.

სწორედ ამერიკის კონტინენტზე იყვნენ მწერლები, რომლებმაც ეროტიკა წარმოუდგენელ სიმაღლეზე აიყვანეს, თანაც ისე, რომ სხეულთან ძალიან ახლოს არ მისულან. ბავშვობიდან ჩამრჩა ფრაზა – როდესაც ჰემინგუეის პერსონაჟი ომში მამაკაცობას კარგავს, მას ეუბნებიან – შენ სამშობლოსთვის სიცოცხლეზე მეტი გაიღეო. ეს სიტყვები პარიზში ითქვა, პარიზში, რომელიც ჰემინგუეის სიტყვებითვე – მუდმივი დღესასწაულია და სადაც სამშობლოსთვის სიცოცხლეზე მეტის გაღება წარმოუდგენელი ბედის ირონიაა.

მსოფლიო ლიტერატურის თვალსაზრისით, ქალების და ეროტიკის დამოკიდებულება განსაკუთრებულია იაპონიაში. განსაკუთრებულია იმიტომ, რომ ვისაც „ნანკინელი ქრისტე" წაუკითხავს, ეცოდინება ავტორის დამოკიდებულება – მითი ცალკე მიდის, ცხოვრება ცალკე. ის, ვინც ქრისტე გგონია, სინამდვილეში, ღვთის პირიდან გადავარდნილი, წვერმოშვებული ჟურნალისტია; ის, რაც ქრისტეს მიერ ხსნა გგონია – ჩვეულებრივი მომენტია, როდესაც შეიძლება განიკურნო, თუკი ვენერიულ დაავადებას სხვას გადასდებ, ხოლო ის, რომ „ნანკინელი ქრისტე" მოკვდება, შენ არ იცი, რადგან უკვდავი, ქრისტე გგონია.



ამ ტიპის დამოკიდებულებით სავსეა იაპონური ლიტერატურა, ოღონდ, ყველაფერთან ერთად აქ უმაღლეს დონეზე გამოხატული ერთსქესიანი სიყვარული გვხვდება. მისიმას შემოქმედებას ვგულისხმობ, უცნაური კაცის, რომელიც ბისექსუალიც იყო, კულტურისტიც, კინომსახიობიც და ხარაკირიც გაიკეთა. ამ ყაიდის გენიოსი ძნელად წარმოსადგენია. რა გასაკვირია, რომ მას ნობელის პრემია არ მიანიჭეს.

ევროპულ ლიტერატურაში იყო ისეთი წიგნებიც, რომლებზეც ხალხი ამბობდა – გენიალურია, მაგრამ უნდა აიკრძალოს. ასეთია საზოგადოებისთვის სილის გამწვნელი ეროსით სავსე „ნოტრ-დამ-დე-ფლერი", ძალიან მაღალ დონეზე გადმოცემული არა მარტო ჰომოსექსუალობის, არამედ კრიმინალების სფეროს, სისხლთან, სიბინძურესთან, ტალახთან და მკვლელობასთან შერეული და შეზავებული, ციხეში დატრიალებული სიყვარულის პოეზიის გამო.

ასევე, ბორის ვიანი, რომელიც, ვფიქრობ, საუკუნის ერთ-ერთი ენიგმაა, იმიტომ რომ დიდი ხნის შემდეგ მას კიდევ მიუბრუნდებიან. ვიანმა აჩვენა ქალის სიძულვილი ქმრისადმი, რადგან მან ის დაორსულა. შემდეგ კი – ამ ქალისადმი სხვა კაცის სიყვარული, რომელმაც პიგმალიონის ტიპის ქანდაკება შექმნა. მოკლედ, მთელი ამბებია.

ერთი სიტყვით, ლიტერატურაში ეროსი ძირითად მწერლებთანაც კი ძირითად ადგილს იკავებს. იშვიათია მწერალი, რომელსაც ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ უწევდეს. ზოგიერთი მას თეორიულადაც სწავლობს და შემდეგ თავისივე ნაწარმოებებით პასუხობს. ზოგ შემთხვევაში ეროტიკა ძალიან სერიოზული ფილოსოფიური სიღრმით არის გადმოცემული. დრო გადის და ამ სფეროში მწერლები უფრო და უფრო ოსტატდებიან, ბევრად უსწრებენ წინ გამომსახველობით საშუალებებს, თუნდაც კინოს, სადაც გარკვეული კლიშე ჩამოყალიბდა. ამერიკელებმა გადასარევად იციან სექსის სცენების გადაღება, ოღონდ მაყურებელს მინდა ვუთხრა, ნუ გაიმეორებთ, ეს კამა-სუტრა არაა, ეს აბსოლუტურად დაუდასტურებელი, შეუმოწმებელი, ტრავმატული ფორმებია. ვინც სცადა, იცის.

ღვინის ქვეყანა

გიორგი სამანიშვილს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელს, განახლებულ შენობაში შევხვდით. კახური მწვანით გამასპინძლების შემდეგ ქართული მევენახეობის განვითარებაზე, ღვინის ექსპორტის პერსპექტივებსა და სააგენტოს სხვა პრიორიტეტებზე ვისაუბრეთ.

როგორც ვხედავ, განახლებულ შენობაში გადახვედით. რით გამოირჩევა ის?

ეს შენობა 1962 წელს აშენდა. ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის კონგრესისთვის. ის მეღვინეობა-მევენახეობის სამეცნიერო კომპლექსი იყო. ჩვენ შარშან გადმოგვეცა. გავარემონტეთ, გვაქვს სამი დიდი სადეგუსტაციო, სასწავლო ცენტრი, აგრეთვე ენოთეკა, სადაც სამოციანი წლებიდან ბოთლში ჩამოსხმული რამდენიმე ათეული ათასი ბოთლი ღვინო ინახება; გვექნება მუზეუმის კუთხე, ასევე ბიბლიოთეკა, რომელიც ყველა მსურველისთვის ღია იქნება.

ვისაუბროთ ღვინის ტურიზმზე. რა როლს ასრულებს დღეს ის ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში?

შარშან ჩავატარეთ ღვინის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია. ღვინის ტურიზმი ხელს უწყობს ღვინის კულტურულ მოხმარებას. აქ ჩამოსულ ტურისტს ღვინო ყოველთვის ხვდება. ქვეყნის აღმოჩენა თუ გინდა, აუცილებელია ადგილობრივი სამზარეულოს, ფოლკლორისა და, რა თქმა უნდა, ღვინის შეცნობა. ნებისმიერ შემთხვევაში ღვინის გარეშე არაფერი გამოდის. ასე რომ, ყველა ტურისტი, გამონაკლისების გარდა, ღვინის მომხმარებელია.

რა ღონისძიებებს ახორციელებს სააგენტო ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდისა და პოპულარიზაციისთვის?

ღვინის ეროვნულ სააგენტოს ორი ძირითადი ფუნქცია აქვს. ერთია ღვინის წარმოების ხარისხის კონტროლი და სერტიფიცირება, მეორე კი – ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის პოპულარიზაცია უფრო საზღვარგარეთ, თუმცა ქვეყნის შიგნითაც. გვაქვს სტრატეგიული და სამოქმედო მარკეტინგული გეგმები. კერძო სექტორთან ერთად ძირითადი ბაზრები შევარჩიეთ. ესენია – შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი და ჩინეთი.

რა ნიშნით შეარჩიეთ?

გამოვკითხეთ კერძო სექტორში მომუშავე გამოცდილი ადამიანები. მათთან ერთად მსჯელობისას ამ ოთხ ქვეყანაზე ჩამოვყალიბდით. უპირატესობა იმ ქვეყნებს მივანიჭეთ, სადაც ჩვენი ღვინის გაყიდვის მეტი პოტენციალია.

მაგალითად, ჩინეთში უზარმაზარი პოტენციალია. შეერთებული შტატები პრაქტიკულად ასათვისებელია. რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, იქ აქცენტი არა რაოდენობაზე, არამედ იმიჯზე კეთდება. ბრიტანეთი ღვინის ყველაზე დახვეწილი ბაზარია. იქ ყოფნა საჭიროა იმისთვის, რომ ცნობადი იყო.

პოლონეთის ბაზარი ძალიან მძლავრია. ათი წლის წინ ღვინო იქ ფაქტობრივად არ გადიოდა. არადა, ამ ქვეყანაში ექსპორტი ყოველ წელს სტაბილურად მატულობს.

კონკრეტული მაგალითებით რომ აგვიხსნათ, რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ, ვთქვათ, ჩინელმა მომხმარებელმა ქართული ღვინო შეიყვაროს?

ჩვენი მარკეტინგული აქტივობები მასაზე გათვლილი არ არის. არჩეული გვაქვს ღვინის მოყვარულთა სეგმენტი. ვაცნობთ მათ საქართველოს, როგორც უძველესი მევენახეობის კულტურის მქონე ქვეყანას, ვაჩვენებთ ჩვენს განსხვავებულ ჯიშებს, ღვინის დამზადების ტრადიციულ მეთოდებს, მაგალითად, ქვევრს, რომელიც ღვინოს აბსოლუტურად განსხვავებულ გემოს აძლევს. ამით ღვინის მოყვარულები და სპეციალისტები ინტერესდებიან. ვაწყობთ გამოფენებს, ვაქვეყნებთ სტატიებს, ჩამოგვყავს ჟურნალისტები... როცა ჩავდივართ ვუტარებთ პრეზენტაციებს, ვუწყობთ დეგუსტაციებს... ისეთი დიდი მარკეტინგული ბიუჯეტი არ გვაქვს, როგორც განვითარებული მევენახეობის მქონე დიდ ქვეყნებს, მაგრამ გარკვეული ნიშის დაკავებას ვახერხებთ.

ქვევრის ღვინო, როგორც უნიკალური მოვლენა მსოფლიო ბაზარზე... რამდენად არის მის მიმართ მსოფლიოში ინტერესი?

ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიცია ჩვენი, ქართული, კახური ენდემია. ქვევრის ღვინის პროცენტი საკმაოდ დაბალია, თუმცა დეგუსტატორებს ის ძალიან აინტერესებთ. ეს არის ღვინო, რომელიც განსხვავებულია. მას თავისი, სპეციფიკური მომხმარებელი ჰყავს. ცოტა იყიდება, მაგრამ ყველა, ვინც ქართულ ღვინოს ახსენებს, ქვევრის ღვინოზეც საუბრობს. მისი პოპულარობა და ცნობადობა იზრდება, იზრდება წარმოებაც.

საქართველო ცნობილია ღვინის უნიკალური და უძველესი ჯიშებით, რომელთა ნაწილი დღეს გადაშენების, გაქრობის საფრხის წინაშეა. რას აკეთებთ ამ ჯიშების გადარჩენისა და გამრავლების ხელშესაწყობად?

კანონში გვიწერია, რომ ადგილობრივი ჯიშები ჩვენი სიმდიდრეა, რომელსაც სახელმწიფო იცავს. იმ ჯიშებს, რომელიც მოძიებულია, გადაშენება აღარ უწერიათ. სპეციალისტები დადიან და ახალ ჯიშებს პოულობენ. თუ შეიტყობენ, რომ რომელიმე სოფელში ახალი საინტერესო ჯიშია აღმოჩენილი, ექსპედიცია ემზადება და ჩადის, თუ საინტერესო ჯიშს წააწყდებიან, მოაქვთ ერთი რქა და საკოლექციო ნაკვეთში ამრავლებენ.

რამდენად ძვირია ქართული ღვინო მსოფლიო ბაზარზე?

ძვირი და იაფი შედარებითი ცნებებია. სხვა ქვეყნის ღვინის ფასებს თუ შევადარებთ, საკმაოდ ძვირია. საშუალო ფასით ფრანგულს (რომელიც ძალიან მაღალია) ჩამოუვარდება, მაგრამ აღემატება იტალიურ, თუ სხვა ქვეყნის ღვინის ფასებს. ეს ფასი იმითაცაა განპირობებული, რომ ქვეყნებში, რომლებშიც ქართულ ღვინოს იცნობენ (ძირითადად პოსტსოციალურ ქვეყნებში), ჩვენს ღვინოში უფრო მეტს იხდიან და ამის ფუფუნება გვაქვს. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ ჩვენი ყურძნის ფასი ძალიან ძვირია.

რამდენად ხშირად ჯილდოვდებიან ქართული ღვინოები საერთაშორისო კონკურსებზე და როგორ მოქმედებს ეს ჯილდოები გაყიდვებზე?

მსოფლიოში ასობით ღვინის კონკურსი ტარდება. ზოგი პრესტიჟულია, ზოგი ნაკლებადპრესტიჟული. ეს კონკურსები წინ უსწრებს ხოლმე ამა თუ იმ გამოფენას, ჩვენი მწარმოებლები მონაწილეობას იღებენ მათში და ცხადია, ესა თუ ის ჯილდო ეხმარებათ, რომ გამოფენებზე პოტენციურ მყიდველამდე უფრო მარტივად მიიტანონ თავიანთი პროდუქცია. დამეთანხმებით, რომ როდესაც ბოთლზე მედალია მინიშნებული, ეს მყიდველს ეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში.

საკმაოდ ხშირად ვიღებთ პრიზებს. ამ ბოლო დროს იაპონიაში ჩხავერმა ბრილიანტის მედალი აიღო – ყველაზე მაღალი ხარისხის მაჩვენებელი. ეს ფესტივალი ცნობილია, როგორც საკურას ღვინის ფესტივალი, და გამოირჩევა იმით, რომ ჟიურის წევრები მხოლოდ ქალები არიან. ჩხავერი, ეს უდახვეწილესი და უნაზესი ღვინო, ძალიან კარგად შეფასდა.

რა წილი უჭირავს ღვინოს ქვეყნის ექსპორტში?

საქართველო საექსპორტო პროდუქციის ათეულშია. 2014 წლის მონაცემებით, ღვინო მთლიან ექსპორტში 6,8%-ით მე-4 ადგილს იკავებდა.

თქვენ რომელ ღვინოს ანიჭებთ უპირატესობას?

გააჩნია რა შემთხვევაში, რა საკვებთან ერთად, რა განწყობაზე ვარ და ა.შ.

დაბოლოს, რას ეტყოდით ღვინის ქართველ მოყვარულებს?

ჩემი სურვილია, დავაფასოთ ღვინო უფრო მეტად, შევეჩვიოთ, რომ ღვინო უნდა ვიყიდოთ. ღვინო, რომელიც ბოთლშია ჩამოსხმული. საჩუქრადაც ძალიან კარგია. ღვინის გახსნა და დალევა პოზიტიური მოვლენაა და ვისურვებ ასეთი მომენტები უფრო მეტი იყოს ჩვენს ცხოვრებაში.

ქართული ღვინო
ღვინის ეროვნული სააგენტო

რეკლამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამოს ბოლო გასეირნება

„ჩემი არქივის გადათვალიერებისას წავაწყდი 1922 წლის მიმოწერას ამხანაგი კამოს ტრაგიკული სიკვდილის გარემოებების შესახებ. ვფიქრობ, ეს ინფორმაცია საკმაოდ საინტერესო შეიძლება იყოს, ამიტომ გიგზავნით მას, რათა შესაბამისმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გამოიყენონ“.

ირაკლი ხვადაგიანი

1941 წლის 8 ივნისს, ვსევოლოდ მერკულოვმა „სრულიად საიდუმლოს“ ლიტერით გამზადებულ კორესპონდენციას კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი და მცირე ყოყმანის შემდეგ ამხანაგ რაფავასადმი განკუთვნილ წერილს საკუთარი ხელით დაუმატა -„თუკი ეს საერთოდ საჭირო იქნება“.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ზურგს უკან ხუმრობდნენ ხოლმე – „ბერიას თავი მერკულოვის მხრებზე დგასო“. ჩრდილში მომუშავე, საიმედო მეწყვილეს ყნოსვა არ ღალატობდა – თბილისიდან მათი გადმოსვლის შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილიყო. იმის მიუხედავად, რომ უკვე ყველას მივიწყებული ჰქონდა, როგორ მიაფარეს თვალს პუშკინის სკვერიდან კამოს ძეგლი და რევოლუციის რაინდის სახელი მხოლოდ დიდი მთავრის ყოფილ ქუჩას და პიკანტურ ზეპირსიტყვიერებას შერჩენოდა, შეთქმულების თეორიებით დახუნძლული ვერსიების საფუძვლად ქცეული – ელბაქიძის დაღმართზე მომხდარი ავტოკატასტროფის დეტალების თუნდაც მცირე დოზით გაჟონვა მართლაც არავის სჭირდებოდა.

თანამედროვე თბილისში კამოს სახელი ბოლოს ტრადიციული ოხუნჯობის სტილში ყოფილი ელბაქიძის დაღმართის თავზე, ყოფილი რეპუბლიკის მოედანზე, ველოსიპედის უკვე განთქმული სკულპტურის გამოჩენისას ამოტივტივდა. უნებლიე დამთხვევის გამო, ავტომობი-

ლებით გადატენილი თბილისის ქუჩების ფონზე „ძველებს“ ენთუზიასტი ველოსიპედისტი კამო გაახსენდათ, ქალაქური ფოლკის რწმუნებით, ცარიელ ქუჩაში მიმავალი თბილისში მოძრავმა ერთადერთმა საბარგო მანქანამ რომ გაიტანა.

დროთა განმავლობაში ისტორიული პერსონაჟები „იფიტებიან“ და ხშირად მათზე ცოდნა კომიკურ ელფერს იღებს. დღეს მოქალაქეების უმრავლესობას კამოს სახელი ან არაფერს ეუბნება, ან მას სტალინის ძმად და მეგობრად იცნობენ, რომელიც უკვე კარიერის სიმაღლეებზე ასულ სოსოს, სიმთვრალისას ამხანაგ კობასთან ერთად გადატანილი თავგადასავლების შესახებ გულახდილი ლაყბობით პრობლემებს უქმნიდა და უბედური შემთხვევის ინსცენირებით გულგრილად მოაშორებინა ხელქვეითებს.

1922 წელს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის ეკონომიკური განყოფილების რწმუნებულის, ვსევოლოდ მერკულოვის მიერ რატომღაც შინ გადანახული სამსახურებრივი დოკუმენტები – ძიების მასალები კამოს დაღუპვის შესახებ – საბოლოოდ მარქსიზმ-ლენინიზმის საკავშირო ინსტიტუტის თბილისის ფილიალის არქივს ჩაჰბარდა. მხოლოდ დღეს თუ შევძლებთ ცალი თვალით მაინც ჩავიხედოთ რიგითი მოქალაქეებისაგან დაფარულ დეტალებში, ვცადოთ გავერკვეთ, რისი მსხვერპლი გახდა ამხანაგი კამო, კაცი რომელიც, როგორც დაღუპვის შემდეგ თანამებრძოლები გულისტკივილით შენიშნავდნენ, ზღვას გადაურჩა და წვეთმა დაახრჩო.

14 ივლისი კამომ მთელი დღე ველოგადარბენაში გაატარა – დილით რუსთაველის პროსპექტზე ამაღლებულ-საზეიმო ვითარებაში შეავსო საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საწევრო ანკეტა, საიდანაც ორჯონიკიძის ქუჩაზე, რკინიგზის სამმართველოს ამიერკავკასიის საბაჟო ოლქში დაბრუნდა და კვლავ საყვედურებით აავსო თანამშრომლები აპარატის ძველი ბიუროკრატებით გავსებისა და უინიციატივობის გამო.

საღამოსკენ კამო კვლავ ცენტრში – ტროცკის ქუჩაზე საქართველოს ჩეკაში გაეშურა – სიძის, ჩეკას მრისხანე თავმჯდომარის, კოტე ცინცაძის სანახავად. სამსახურის სპეციფიკის და სამოქალაქო ომისდროინდელი მდიდარი გამოცდილების გამო, კამო საქართველოს ჩეკაშიც შინაური კაცი იყო. ლეგენდარულ კონსპირატორს, ტერორისტსა და დივერსანტს ახლა უკუამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი – ამიერკავკასიაში სამხრეთიდან და ზღვიდან დიდ ნაკადად მომდინარე კონტრაბანდის ქსელები უნდა გაენეიტრალებინა, რაც „რევოლუციის ფხიზელ თვალთან“, ჩეკას აპარატთან ერთად უნდა დაეგეგმა.

საღამოს 11 საათამდე კამო ფრონტელ მეგობართან, ცნობილ ჩეკისტ – გიორგი ათარბეგოვთან ერთად უკვე მის სახლში, ტროცკის (დღევანდელი ინგოროყვას) ქუჩა №3-ში ათანხმებდა გეგმებს. აქედან კი დამღლელი დღის ბოლოს შინ – მამიდის ოჯახში უნდა დაბრუნებულიყო დიდი მთავრის (უზნაძის) ქუჩაზე.

ბარეულში დაბადებული კოლა (ნიკოლოზ) დავითის ძე დვალი კარგი, გამოცდილი შოფერი იყო – პროფესიული კურსები 1920 წელს დაასრულა კავკასიის ოლქის გზათა სამმართველოში, თუმცა სტაჟი უფრო ძველი ჰქონდა – პირველად 1914 წელს, თურქეთის ფრონტზე მიუჯდა მანქანის საჭეს. საქართველოს ოკუპაცია-გასაბჭოების შემდეგ საჭირო სპეცი უკვე მოსკოვში აღმოჩნდა და იქაც „მოსტრანსში“ მუშაობისას აიმაღლა კვალიფიკაცია. თბილისში დაბრუნებული კი იმ დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და პრესტიჟული „ლოკომობილით“ დაატარებდა თბილისის აღმასკომისა და საბჭოს უფროსობას – ლადო დუმბაძესა და ვასიკო წივწივაძეს.

14 ივლისს რაღაც ბედად სახკომსაბჭოს გარაჟში თავისუფალი მანქანა არ აღმოჩნდა და კოლა იძულებული გახდა გვიან ღამემდე ევლო აღმა-დაღმა თბილისის ქუჩებში. თორმეტის ნახევარზე ყოფილი მეფისნაცვლის სასახლის ეზოში განთავსებული გარაჟი იკეტებოდა. დვალმა გადაწყვიტა გზად პლეხანოვის პროსპექტზე ვეტცელის სასტუმროსთან მეგობარ მძღოლ-ავტომექანიკოსთან გაევლო. მანქანა ბოლოს წლინახევრის წინ შეერემონტებინათ და უკვე ხელახალი შემოწმების დრო მოდიოდა.

■ თანამედროვე თბილისში კამოს სახელი ბოლოს ტრადიციული ოხუნჯობის სტილში ყოფილი ელბაქიძის დაღმართის თავზე, ყოფილი რეპუბლიკის მოედანზე, ველოსიპედის უკვე განთქმული სკულპტურის გამოჩენისას ამოტივტივდა. უნებლიე დამთხვევის გამო, ავტომობილებით გადატენილი თბილისის ქუჩების ფონზე „ძველებს“ ენთუზიასტი ველოსიპედისტი კამო გაახსენდათ, ქალაქური ფოლკის რწმუნებით, ცარიელ ქუჩაში მიმავალი თბილისში მოძრავმა ერთადერთმა საბარგო მანქანამ რომ გაიტანა.



■ რამდენიმე წამში „ლოკომობილის“ მძლავრი ფარების შუქი დიდი სიჩქარით მომავალი, უფარნო ველოსიპედისტის ფიგურას მიებჯინა, რომელიც აშკარად დაიბნა და საჭე აერია. დვალმა მკვეთრად მოუხვია მარჯვნივ, ტროტუარისკენ და მუხრუჭს დააწვა, თუმცა გვიანი იყო. ველოსიპედისტმაც ინსტინქტურად საჭე მარცხნივ აიღო, მანქანის მარცხენა ფრთამ ველოსიპედის წინა ბორბალი ჩაითრია და მისი მძღოლი ქვაფენილზე, ტრამვაის რელსებში მოისროლა.

მექანიკოსთან მცირე საუბრის შემდეგ, 12-ის ნახევრისათვის, დვალმა ვერის ხიდი უკან მოიტოვა, ვერის დაღმართის ბოლოს, ცირკთან შეჯგუფულ უსაქმურებს როგორც კი გასცდა, მკვეთრ მოსახვევში მესამე სიჩქარე ჩართო და სიგნალი მისცა – რამდენიმე წამში „ლოკომობილის“ მძლავრი ფარების შუქი დიდი სიჩქარით მომავალი, უფარნო ველოსიპედისტის ფიგურას მიებჯინა, რომელიც აშკარად დაიბნა და საჭე აერია. დვალმა მკვეთრად მოუხვია მარჯვნივ, ტროტუარისკენ და მუხრუჭს დააწვა, თუმცა გვიანი იყო. ველოსიპედისტმაც ინსტინქტურად საჭე მარცხნივ აიღო, მანქანის მარცხენა ფრთამ ველოსიპედის წინა ბორბალი ჩაითრია და მისი მძღოლი ქვაფენილზე, ტრამვაის რელსებში მოისროლა.

დვალის ყვირილზე ცირკთან მდგომებმა, ქუჩის ზემო ნაწილში მომავალმა გამვლელებმა და მორიგე მილიციონერმა მოირბინეს, გასისხლიანებული უცნობი მანქანაში ჩააწვინეს და სამიოდე წუთში მიხეილის სავადმყოფოში მიქანდნენ. თუმცა გვიან ღამეს, მორიგე ექიმი სადღაც გამძვრალიყო. მძიმედ დაშავებული და უგონოდ მყოფი დაზარალებულის ჭრილობების დამუშავება ფელდშერმა დაიწყო.

კოლა მხოლოდ მაშინ მიხვდა, რამხელა შარში გაება, როდესაც მილიციონერმა უკვე მომაკვდავი უცნობის პირადი ნივთების გასინჯვა დაიწყო – №205156 ნომერ პარტბილეთში არაფრისმთქმელი სახელის – სიმონ ივანეს ძე პეტროვის გასწვრივ ყველასთვის ცნობილი სახელი – „კამო“ – იყო მიწერილი. სასწრაფო სატელეფონო ზარის შემდეგ საავადმყოფოში კოტე ცინცაძე მივიდა, ენერგიული განკარგულებები გასცა და დეტალების გამორკვევას შეუდგა. დვალი ადგილზე სიტყვიერად დაკითხეს, შემდეგ მილიციის უახლოეს განყოფილებაში ოქმი შეუდგინეს და მისდა გასაკვირად გაუშვეს მორიგ დაკითხვებზე ჩეკაში გამოცხადების პირობით.

კამოს ცხედარი მუშათა სასახლეში გადაასვენეს. 18 ივლისს საღამოს მისი ნეშტი პუშკინის სკვერში, შადრევნის სიახლოვეს გაჭრილ სამარხში ჩაუშვეს. საფლავი ყოფილ „ერევანსკის მოედანთან“ 1907 წელს მისი მეთაურობით სახელოვანი „ექსის“ მოსაგონებლად შეარჩიეს. დაკრძალვას ერთი უცნაურობაც გამოარჩევდა – ქალაქის ბოლშევიკმა მამებმა მასებს მოუწოდეს, ყვავილებისა და გვირგვინებისთვის გამიზნული ფული კამოს სახელობის ბავშვთა სახლისათვის გადაედოთ.

როგორც ახლობლები იხსენებდნენ, განსვენებული ზოგჯერ ოხუნჯობდა ხოლმე – ნეტავ მოვკვდე და მერე გავცოცხლდე, რომ ვნახო, მართლა ისე ვუყვარვარ თუ არა მეგობრებს, როგორც მე ისინიო. 19 ივლისის „კომუნისტის“ ფურცლებზე დაბეჭდილ დაკრძალვის რეპორტაჟში ჩასმული მთავარი ბოლშევიკების დაღრეჯილი სახეები ნამდვილად დაარწმუნებდა მკითხველს, რომ საქართველოს და ამიერკავკასიის კომპარტიის ლიდერები ღრმად იყვნენ შეძრული უძველესი მებრძოლი ამხანაგის ასე უბრალო დაღუპვით.

„კომუნისტს“ თავისი წილი ნეკროლოგი კოლა დვალმაც გაუგზავნა, სადაც ირწმუნებოდა რომ თავის მართლებას არ აპირებდა და ბოდიშსაც იხდიდა მისთვის უცნობი გმირი რევოლუციონერის უნებური მკვლელობის გამო. ტრაგიკული ფაქტის შემთხვევითობასა და მძღოლის უბრალოებაში, რომელსაც თვალით არასოდეს ენახა ამხანაგი კამო და არანაირი პირადი ანგარიშები არ შეიძლებოდა ჰქონოდა, მკითხველს ისიც არწმუნებდა, რომ კამოს ძველი ამხანაგები, ერთი მხრივ, მისი პერსონის ლეგენდარულობის ხაზგასასმელად და, მეორე მხრივ, ოდნავ უხერხული სიტუაციის ასახსნელად გამოსათხოვარ სიტყვებში ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ კამოს ნამდვილი სახელი და გვარი მხოლოდ საგაზეთო ნეკროლოგებით შეიტყვეს.

პირადად კამოს სიძის – ამხანაგ კოტესა და საგანგებო კომისიისათვის სენტიმენტები საკმარისი არ იყო. მერკულოვმა დვალი საფუძვლიანად დაკრძალვის დღეს, 18 ივლისს, დაკითხა, თუმცა ტრაგედიის მიზეზი მაინც ბანალური ჩანდა – ვერის დაღმართის ბოლო მონაკვეთში, გზის მარჯვენა მხარეს (მტკვრის სანაპიროსკენ) ქვაფენილი დაზიანებული იყო, რის გამოც კამო დაღმართში საპირისპირო ზოლზე ეშვებოდა, სადაც დვალი თავის ხაზზე მოძრაობდა. „ლოკომობილის“ მძლავრი ძრავა სხვა მარკის მანქანებისაგან განსხვავებით ხმაურით არ გამოირჩეოდა, თუმცა ძლიერი საყვირი და წინა ფარების მძლავრი შუქი ჰქონდა. ამ უკანასკნელმა მკვეთრ მოსახვევში მის საპირისპიროდ მოძრავი ისედაც ცალთვალა კამო (ცალი თვალი მას 1907 წელს, თბილისში ბომბის დამზადებისას დაუზიანდა) დააბნია და მან შეჯახების აცილება ვერ შეძლო. დამატებითი ფაქტორებიც გამორიცხული იყო. ორთავე მძღოლი აბსოლუტურად ფხიზელი იყო – დვალი ვერ მოახერხებდა სიმთვრალის დაფარვას, ხოლო კამო კი ვეგეტარიანელი გახლდათ და ალკოჰოლსაც ბავშვობიდან არ ეკარებოდა.

მერკულოვმა დასკვნა 22 ივლისის საღამოს

დაასრულა – კამოს პირადი დოკუმენტებისა და საქმეში არსებული მიმოწერის მამია ორახელაშვილისთვის (რომელიც პარტისტორიის განვითარებას უძღვებოდა) გადაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო მილიციის განყოფილებიდან კამოს დაჭეჭყილი ველოსიპედი რევოლუციის ახლადდაარსებულ მუზეუმს გადაულოცა. თუმცა იმ ღამეს საქართველოს ჩეკას მშვიდი ძილი არ ეღირსა – თბილისი მორიგმა სკანდალმა, უკვე აშკარა პოლიტიკურმა მკვლელობამ აალაპარაკა.

კამოს ტრაგიკული აღსასრულის სცენის მოქმედი გმირების ბედი საბჭოთა რეჟიმისთვის ჩვეული ლოგიკით განვითარდა. დვალის უფროსობა – ლადო დუმბაძე და ვასილ წივწივაძე, ასევე კამოს სიძე, კოტე ცინცაძე 1926 წლიდან სტალინის „აპარატჩიკულ" რეჟიმს დაუპირისპირდნენ და ტროცკის ბანაკში გადავიდნენ, რის გამოც საკუთარი პირმშოს – რეპრესიული აპარატის სიმძიმე საკუთარ ზურგზე გამოსცადეს. ლადო დუმბაძე ბანაკში, კოტე ცინცაძე კი გადასახლებაში გარდაიცვალნენ 1930-იანი წლების დასაწყისში. წივწივაძემ „მოინანია" და დააბრუნეს, თუმცა 1937 წელს უბოდიშოდ ჩაავლეს ხელი და როგორც „გამოუსწორებელი ტროცკისტი" თბილისში დახვრიტეს.

ნიკოლოზ დვალს, 1937 წლის 14 ნოემბერს, თბილისში „ტროიკამ" დახვრეტის განაჩენი გამოუტანა. ბრალდება სტანდარტული და არაფრისმთქმელი, „კონტრრევოლუციური ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა" იყო; ოქმს ხელს სამეულის თავმჯდომარე – ავქსენტი რაფავაც აწერდა. ძნელი სათქმელია ან მაშინ, ან 1941 წელს, მერკულოვის გადმოგზავნილი დოკუმენტების გადათვალიერებისას გაიხსენებდა თუ არა იგი დვალის ვინაობას და 1922 წელს, ან როგორ იმოქმედებდა მის განაჩენზე ძველი შემთხვევის ამოტივტივება, იმ დროს – „1937-ში", როდესაც კამოს და – ჯავაირა ხუტულაშვილიც სასწაულით გადაურჩა დაპატიმრებას და მინიმუმ გადასახლებას.

მერკულოვის და რაფავას ჯერი სტალინის სიკვდილის შემდეგ, ბერიას გარემოცვაზე ნადირობისას დადგა – პირველი 1953 წლის 23 დეკემბერს მოსკოვში დახვრიტეს, მეორე – 1955 წლის 19 სექტემბერს თბილისში.

„მიწა იცინის, უხარია, როდესაც ცოცხალი ზედ დავდივარ" – ეს კამოს საყვარელი ფრაზა იყო. რამდენიმე წლის წინ, პუშკინის სკვერში რეკონსტრუქციისას კამოს უკანასკნელი მიწისქვეშა თავშესაფრის კვალიც წაიშალა და დღეს ზედ სხვები დადიან ღიმილიანი სახეებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთის ბინადრები

საქართველოში ოთხი სახეობის მთის ჩლიქოსანი, ე.წ. ღრუ-რქიანების წარმომადგენლებია გავრცელებული. მათ შორისაა აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიური ჯიხვი, ნიამორი, რომელიც საკმაოდ მცირერიცხოვნებით გამოირჩევა, და არჩვი. ეს ის ოთხი სახეობაა, რომლებიც კავკასიონზე ბინადრობს.

ზურაბ გურიელიძე

არჩვი

მათ შორის ყველაზე ხშირად გვხვდება არჩვი – ის არა მარტო დიდ, არამედ მცირე კავკასიონზეც (აჭარის მთიანეთი და მესხეთის ქედი) ვრცელდება.

არჩვი მცირე ზომის ცხოველია, მდედრებსაც და მამრებსაც ორი პატარა, ბოლოებმოკაუჭებული რქები აქვთ, რასაც არაერთი ლეგენდა უკავშირდება, მაგალითად ის, რომ თავდაცვის შემთხვევაში არჩვი რქების დახმარებით ხეზე ეკიდება. რა თქმა უნდა, ეს ლეგენდა სიმართლეს არ შეესაბამება. არჩვს გამორჩეული სტვენისებური ხმა აქვს. ამას უკავშირდება მისი ქართული სახელი – ფსიტი. აღმოსავლეთ საქართველოში ამ ცხოველს უმეტესად ფსიტად იცნობენ, დასავლეთში კი – არჩვად.

არჩვი მთელ კავკასიონზეა გავრცელებული, თუმცა ამ შემთხვევაში მისი გავრცელება სპორადული და მთელი საქართველოს მასშტაბით საკმაოდ ფრაგმენტირებულია. 3 წლის განმავლობაში აღვრიცხავდით არჩვების რაოდენობას და ამ პერიოდის განმავლობაში ცხოველის მაქსიმალური რაოდენობა 2013 წელს დაფიქსირდა - 3267 ინდივიდი კავკასიონზე და 500-600 ინდივიდი მცირე კავკასიონზე. ჩლიქოსნებისთვის რაოდენობის ასეთი მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. არჩვებს პატარ-პატარა ჯგუფებად ცხოვრება ახასიათებთ, შეიძლება წარმოიქმნას 7-8-10-ინდივიდიანი ჯგუფი. საქართველოში ამაზე დიდი ჯგუფი ჩვენ არ შეგვხვედრია. გაცილებით უფრო ხშირი 2-3-ინდივიდიანი ჯგუფებია.

სქესობრივი დიმორფიზმი, ანუ განსხვავება მდედრსა და მამრს შორის ძალიან სუსტად არის გამოხატული – მამრი ცოტათი უფრო დიდია, მას შედარებით დიდი რქებიც აქვს, თუმცა ამ განსხვავების დანახვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ცხოველს ახლოდან ვაკვირდებით. შორ მანძილზე, ამის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომაც ამ ცხოველის სქესის დადგენა რთულია.

არჩვი საკმაოდ პოპულარული სანადირო ობიექტია. მართალია, ძირითადი სანადირო ობიექტი

მაინც ჯიხვი გახლავთ, თუმცა მასზე ნადირობის შემთხვევაში, ჯიხვი თუ არა, არჩვი მაინც უნდა მოიპოვონ.

ნიამორი

დღეისათვის საქართველოში ნიამორის რაოდენობა საკმაოდ მცირერიცხოვანია. XX საუკუნის დასაწყისისთვის ეს ცხოველი გავრცელებული იყო მცირე კავკასიონზეც, მათ შორის, ბორჯომის ხეობაშიც, სადაც ნიამორისთვის საკმაოდ კარგი ადგილებია – მას ახასიათებს სპეციფიკური ჰაბიტატი, როგორიც არის მდინარისპირა, ტყით დაფარული კლდე.

ნიამორი შინაური თხის წინაპარია და ძალიან კარგად დაძვრება კლდეებზე და ისეთ ადგილებში, სადაც ნიამორი ბუდობს, მთის სხვა ჩლიქოსნებსაც კი უჭირთ ცხოვრება. დღეისათვის ამ ცხოველის რაოდენობა საკმაოდ შემცირებულია. ის მხოლოდ თუშეთშია დარჩენილი, პერიოდულად ხევსურეთშიც ჩნდება.

რაც შეეხება თუშეთს, ნიამორი აქაც დაფიქსირდა და თითქმის ყველა ხეობაში ბუდობს., თუმცა მათი რიცხოვნობა როგორც თუშეთში, ასევე ხევსურეთში საკმაოდ მცირეა – ერთიანად სულ 300-მდე ინდივიდი. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ დაახლოებით 10 წლის წინ ბრაკონიერობის შედეგად ნიამორი ერთეულების სახით იყო წარმოდგენილი და ამიტომ ბოლო წლების პროგრესი საკმაოდ თვალშისაცემია.

რაც შეეხება მცირე კავკასიონს, საქართველოს ნაწილში ნიამორი მთლიანად განადგურებულია, თუმცა ჩვენს მოსაზღვრე ტერიტორიაზე, სომხეთშიც და აზერბაიჯანშიც დიდი რაოდენობით არის შემორჩენილი. იყო შემთხვევები, როდესაც საქართველოს მცირე კავკასიონის ნაწილში თითქოს ნიამორს წააწყდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის დამადასტურებელი არანაირი ფაქტი არ არსებობს. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ამ ცხოველის აღდგენას ცდილობდნენ, მაგრამ ეს პროცესი შეფერხებებით მიმდინარეობს და ნიამორის ბუნებაში დაბრუნება ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა.

ნიამორი მოზრდილი ცხოველია, სქესობრივი დიმორფიზმი კარგად არის გამოხატული – მდედრს პატარა, მამრს კი დიდი, ხმალისებრი რქები აქვს. სწორედ რქები გახდა მისი განადგურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი – ნიამორის რქები საკმაოდ პოპულარული სასმისია, არანაკლებ პოპულარული, ვიდრე ჯიხვის, თუმცა უფრო მცირე ზომისაა.

აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიური ჯიხვი

აღმოსავლეთ კავკასიურ ჯიხვსა და დასავლეთ კავკასიურ ჯიხვთან დაკავშირებით დღესაც საკმაოდ ბევრი კამათობს – ეს ერთი თუ ორი სახეობაა. ბოლო ინფორმაციის თანახმად, მიჩნეულია, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიური ჯიხვი ორი დამოუკიდებელი და ენდემური სახეობაა და ორივე მათგანს განადგურება ემუქრება.

აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი კავკასიონის მთავარი ქედის აღმოსავლეთ ნაწილშია გავრცელებული. აღმოსავლეთით მისი არეალი შემოსაზღვრულია აზერბაიჯანში მდებარე მთა ბაბადაგის მთიანი მასივით. რაც შეეხება დასავლეთ საზღვრებს, ზოგი ავტორის მიხედვით იგი მთა შხარამდე მიდის (საქართველოს ბიომრავალფეროვნების მასალები, 1996), ხოლო ზოგის მიხედვით კი – მდინარე ენგურის წყალშემკრები აუზით შემოისაზღვრება. ჩრდილოეთით არეალის საზღვარი შესაძლებელია მდინარე მალკასაუზამდეც მიდიოდეს.

ქვეყნების მიხედვით, აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი გავრცელებულია აზერბაიჯანში, საქართველოში, რუსეთში (ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილო ოსეთი-ალანია, ინგუშეთი, ჩეჩნეთი, დაღესტანი).

აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვის არეალის სიგრძე დაახლოებით 500 კმ-ია. არეალის ყველაზე ფართო ნაწილი (სიგანე- 70-კმ-მდე) დაღესტანში მდებარეობს, მდინარეების – ავარისყოისუსა და ანდისყოისუს აუზებში, ასევე თუშეთის ალაზნის აუზშიც, ხოლო ყველაზე ვიწრო კი (დაახლოებით 12 კმ-ი) ჩრდილო ოსეთში.

დასავლეთ კავკასიური ჯიხვი მხოლოდ კავკასიონის დასავლეთ ნაწილშია გავრცელებული: მთა ჩუგუშიდან მდინარე ბაქსანის სათავეებამდე. თუმცა, როგორც ლიტერატურული მონაცემებიდან არის ცნობილი, გასულ საუკუნეში დასავლეთ კავკასიური ჯიხვი ზოგჯერ ამ საზღვრის დასავლეთითაც გვხვდებოდა (ბალყარეთის ჩერეკის სათავეებამდე). არ არის გამორიცხული, რომ ბალყარეთის ჩერეკის სათავეებში ჯიხვის ორივე სახეობა ბინადრობდა. ასევე შესაძლებელი იყო ამ ორი სახეობის შეხვედრა მდინარე დიგორის მიდამოებში, ხოლო არდონის სათავეებში დასავლეთ კავკასიური ჯიხვი უკვე აღარ გვხვდება.

ამ სახეობის არსებობა აღნიშნულია მდინარე ბაქსანის სათავეებში, ასევე მდინარე მალკას მიდამოებში, თუმცა იალბუზის ჩრდილოეთით იგი აღარ გვხვდება.

ორივე სახეობა კავკასიონის გარდა, მთელ მსოფლიოში არსად გვხვდება. ეს მათ განსაკუთრებულად ძვირფას სახეობებად აქცევს, რადგან მათი გადაშენების შემთხვევაში ამ სახეობების აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

დასავლეთ კავკასიური ჯიხვი

განადგურებასთან ახლოსაა ორივე სახეობა, განსაკუთრებით დიდი საფრთხის წინაშე დასავლეთ კავკასიური ჯიხვი დგას, რომლის არეალიც შედარებით მცირეა. ის საქართველოს ფარგლებში – სვანეთის მთებში, სამეგრელოს მთიანეთსა და ნაწილობრივ რაჭაში – გვხვდება.

აღნიშნული ორი სახეობა მორფოლოგიურად ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულია – დასავლეთ კავკასიურ ჯიხვის ზევითკენ მიმართულ, უკან გადაწეულ ხმლისებრი ფორმის რქებს ხრახნისებური ფორმა არ აქვს. რქების წინა ზედაპირზე ნაოჭები უფრო მკვეთრადაა გამოხატული – ტალღისებურია. განივ ჭრილში, ფუძესთან უფრო ოთხკუთხაა, მომრგვალებული კუთხეებით რქები ფუძესთან გარეთ და ზემოთ, შუა ნაწილში ასევე გარეთ და უკან მიემართება, ხოლო რქების ბოლო 1/3 შიგნით ბრუნდება ისე, რომ ბოლოები ერთმანეთისკენაა მიმართული.

დასავლეთ კავკასიურ ჯიხვს გვარის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით უფრო მოკლე, მაგრამ ყველაზე მსხვილი რქები აქვს.

სქესობრივი დიმორფიზმი აქაც ძალიან მკვეთრად არის გამოხატული – მამრს გაცილებით უფრო დიდი რქები აქვს. ამას გარდა, მათთვის დამახასიათებელია მდედრებისა და მამრების ცალ-ცალკე ცხოვრება – მამრები ყოველთვის ცალკე ცხოვრობენ, ცალკე ჯგუფებს ქმნიან; მდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრები ცალკე ჯგუფად ცხოვრობენ, მათი გამრავლება დეკემბერში იწყება. შესაბამისად მამრები მდედრების ჯგუფში სწორედ ამ დროს შედიან. ეს თვისება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ კავკასიური ჯიხვებისთვისაა დამახასიათებელი.

რაც შეეხება მათ რაოდენობას, დასავლეთ კავკასიური ჯიხვი, ეს ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი სახეობაა სრულიად საქართველოში. 2012 წლიდან მოყოლებული, 3 წლის განმავლობაში მთის ჩლიქოსნების აღრიცხვებს ვატარებთ და დასავლეთ კავკასიური ჯიხვი მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ სვანეთში დავაფიქსირეთ, ისიც ორი ინდივიდის სახით (ასეთ შემთხვევებში, გასაგები მიზეზების გამო, ზუსტი ადგილის დასახელებას ვუფრთხით). სამწუხარო რეალობაა, რომ საქართველოში ამ ცხოველების რაოდენობა ძალიან შემცირებულია, მიზეზი კი ბრაკონიერობა გახლავთ.

აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი

კავკასიონზე გავრცელებული მთის ჩლიქოსნების ყველაზე დიდი წარმომადგენელი აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვია. ეს საკმაოდ დიდი ზომის, ძლიერი ცხოველია და მისი რქების ფორმა განსხვავდება დასავლეთ კავკასიური ჯიხვის რქის ფორმისგან.

აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი ყველა დანარჩენისაგან რქების ფორმით გამოირჩევა. მისი რქები განზეა გასული და ხრახნისებური ფორმა აქვს. ფორმით ცხვრის რქებს წააგავს. რქის წინა და შიდა ზედაპირებზე ტალღისებური ნაოჭები აქვს. რქები ჩვეულებრივ მოშავო ფერისაა. ფუძესთან, ქალაზე არ არის გამოხატული კოჟრები.

ზრდასრული მდედრების რქები სიგრძეში 20-22 სმ-ს, ხოლო მამრებში კი, 10 -15 წლის ასაკისთვის, 70-90 სმ-ს აღწევს, ფუძის 30 სმ-იან გარშემოწერილობით. რქების წვერებს შორის მანძილი 26-35 სმ-მდეა.

პატარების რქები სწორი ან ოდნავ მოხრილია ერთ სიბრტყეში და განივ კვეთში ოვალურია. ერთი წლის მამრების რქები განივ კვეთში ფუძესთან სამკუთხაა, აქვს პატარა განივი ღარები და ზემოთ იხრება, მერე განზე გადის და ბოლოს უკან არის გადახრილი.

3 წლის ასაკიდან განივი ტალღისებური ნაოჭები (ჩვეულებრივ 2-3 თითოეულ წლიურ სეგმენტში) შესამჩნევია ფრონტალურ ზედაპირზე, ხოლო მცირე ზომის ღარები კი ასაკთან ერთად ნელ-ნელა ქრება. რქების სპირალური ხვეული ასაკთან ერთად ვითარდება. რქის ბოლოები 6-7 წლის ასაკამდე წვეტიანია, ხოლო 8-9 წლის ასაკის ზევით მამრებში, როგორც წესი, "დაფოჩილი" ან წატეხილია.

ცხოვრების ნირით ორივე სახეობა ერთმანეთს ჰგავს. მამრები აქაც ცალკე ცხოვრობენ და მხოლოდ გამრავლების პერიოდში, რომელიც ასევე დეკემბერში იწყება, უერთდებიან მდედრებს, რის შედეგადაც წარმოქმნიან საკმაოდ დიდ ჯგუფებს. 2013 წელს, მოულოდნელად, თუშეთში 200-ინდივიდიანი ჯგუფი დავაფიქსირეთ. სამწუხაროდ, 2014 წელს ამ რაოდენობის ჯიხვების დაფიქსირება ვერ მოხერხდა.

აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვის მოპოვების ძირითადი მიზეზი მათი დიდი რქებია. როდესაც ჯიხვზე ვსაუბრობთ, გარდა იმისა, რომ საქართველოში მისი რქები, როგორც ტრადიციული სასმისი ისე გამოიყენება, ასევე მას დიდი საფრთხე ემუქრება, საფრთხე, რომელსაც ტროფეის მიზნით მოპოვება ჰქვია. ამ შემთხვევაში შეგნებულად ვამბობ ტროფეის მიზნით მოპოვებას და არასატროფეო ნადირობა, იმიტომ რომ ეს ორი საკითხი შინაარსობრივად განსხვავდება.

ტროფეის მიზნით მოპოვება უსისტემო ნადირობაა, როდესაც მოიპოვებენ ნებისმიერ ცხოველს, რომელიც შემდეგ ან აღმოჩნდება სატროფეო, ან არა. აფრიკული დიდი ხუთეულის (სპილოს, კამეჩის, მარტორქის, ლომის და ლეოპარდის) შემდეგ, მთელ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სანადირო ობიექტები მთის ჩლიქოსნები არიან და ნებისმიერი მონადირისათვის ძალიან დიდ პრესტიჟს წარმოადგენს, თუ მას ყველა სახეობის ოქროს ან ვერცხლის მედალოსანი რქები აქვს მოპოვებული. სწორედ ეს ხდება ამ ცხოველებზე ნადირობის ძალიან დიდი მოტივატორი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.

რას წარმოადგენს სატროფეო ნადირობა – აქ თავისთავად იგულისხმება, რომ სატროფეო ნადირობა ეს არის ნადირობა ტროფეის მოპოვების მიზნით. მაგრამ აქ სერიოზული განსხვავებებია. სატროფეო ნადირობის შემთხვევაში, რომელსაც ორგანიზებული სახე აქვს, მიზნობრივად ხდება დიდი ზომის გარკვეული ჩლიქოსნების მოპოვება. მონადირე საკმაოდ დიდ თანხას იხდის და შემდეგ ის კონკრეტულად რომელიღაც ერთი ინდივიდის მოსაკლავად მიდის. რა თქმა უნდა, ეს მაინცდამაინც კარგი არ არის, მაგრამ ცხოველების უსისტემო ხოცვა უფრო ცუდი შედეგის მომტანია.

ექსპერიმენტი პაკისტანში

ძალიან საინტერესო ექსპერიმენტი ჩატარდა პაკისტანში, ქვეყანაში, რომელიც მაღალგანვითარებული და მოწესრიგებული ქვეყნების რიგს არ მიეკუთვნება.

პაკისტანში გავრცელებულია მთის ჩლიქოსნების ყველაზე დიდი წარმომადგენელი – ე.წ. მარხური, ჩაპრა ფალკონერი, რქა-

ხრახნილი თხა. ძალიან დიდი ცხოველი, რომელსაც ხვეული რქები აქვს და შესაბამისად, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სანადირო ობიექტია მთელ მსოფლიოში. მარხორი გავრცელებულია ჰიმალაებში, ტიბეტში, ცენტრალურ აზიაში. მასზე ნადირობის პოპულარობის გამო მათი რაოდენობა მკვეთრად კლებულობდა, თუმცა მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავებული მეთოდის შედეგად, ამ ცხოველზე ნადირობის პროცესი მოწესრიგდა.

პაკისტანში მარხურზე ნადირობის ლიცენზიის ფასი 50 ათასი ევროა. თითოეული სანადირო ადგილი და სატროფეო ლიცენზია ადგილობრივ თემებს გადაეცა, იმ სოფლებს, რომლებიც ამ სანადირო ადგილების გარშემო ცხოვრობენ. ზოგადად, ჯიხვზე იქნება თუ მარხურზე ნადირობა ადგილობრივთა გარეშე შეუძლებელია – ჩამოსულმა არც ბილიკები იცის და არც ადგილობრივ სპეციფიკაში ერკვევა კარგად. ასე რომ, ნადირობა მას შესაძლოა სიცოცხლის ფასად დაუჯდეს.

თემი, რომელიც ნადირობის ლიცენზიას ფლობს, „ზრდის“ თავის ცხოველებს, უფრთხილდება მათ, რომ არავინ ინადიროს. ცხოველმა უნდა მიაღწიოს გარკვეულ ასაკს, რომ მას სატროფეო ღირებულება ჰქონდეს. ამიტომ თემის წევრები, რომლებიც სულმოუთქმელად ელიან უცხოელი მონადირეების გამოჩენას, განსაკუთრებით უფრთხილდებიან სატროფეო ღირებულების მქონე ინდივიდს.

ამ მიდგომას პაკისტანში ეფექტური შედეგი ჰქონდა, ლიცენზიის ღირებულებას ემატება ადგილობრივი მოსახლეობის დაქირავება, საოჯახო სასტუმროებში ცხოვრება, სუვენირების შეძენა, ანუ საერთო ჯამში ეს საკმაოდ დიდი შემოსავალია და მნიშვნელოვანია თითოეული თემისათვის. ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რომ დღეისათვის პაკისტანში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, მარხორის რიცხვი იზრდება.

სატროფეო ნადირობა პოპულარულია შუა აზიის ქვეყნებშიც, თუმცა მათ პაკისტანის მოდელი არ გამოუყენებიათ, შესაბამისად, სიტუაცია გაცილებით მძიმეა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი შუააზიური ქვეყნის წარმომადგენელი პირად საუბარში ასეთ ისტორიას მომიყვა – ადგილობრივები ჩასული მონადირის ფიზიკურ შესაძლებლობებს საკმაოდ კარგად აფასებენ. თუ ეს მონადირე კარგად ჩასუქებულია და იქაურ გარემოში გადაადგილება უჭირს, მიჰყავთ მთაში, აჩვენებენ მარხურს, ან, ე.წ. მარკო პოლოს ცხვარს, ან ნებისმიერ სხვა ცხოველს. მონადირეები ესვრიან მას, კლავენ, მიუხედავად მისი სატროფეო ღირებულებისა. სანამ მონადირე ნანადირევთან ფოტოს გადასაღებად ჩავა, ერთ-ერთი ჩასაფრებული ადგილობრივი ცხოველს პატარა რქებს აცლის, დიდ რქებს აკერებს, რომელიც ადრე ჰქონდა და ასე ატყუებენ უცხოელს. სამწუხაროდ, ასეთი მიდგომა ცხოველისთვის სასარგებლო არ არის და, შესაბამისად, მათი რიცხოვნობაც მცირეა.

პაკისტანში, ლიცენზიის შეძენის შემთხვევაში, მონადირეებს ყველაზე დიდი ცხოველის (რაც ყველაზე ასაკოვან ცხოველს ნიშნავს) მოპოვების უფლება მისცეს. მათი ღირებულება ნაკლებია, რადგან პოპულაციის გამრავლებაში ისინი დიდ როლს არ ასრულებენ. თუმცა ბოლო კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ მოწესრიგებული სატროფეო ნადირობა არც ისე უხიფათოა ცხოველის პოპულაციისთვის, რადგან ასაკოვანი ცხოველის მოპოვებაც საფრთხეს უქმნის სოციალური ცხოველების სტრუქტურას. ამას შედეგად შობადობის შემცირებაც მოჰყვება. ამიტომაც, ამ საკითხსაც დიდი ყურადღება და ფრთხილი მიდგომა სჭირდება. ამ საკითხში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობაც მნიშვნელოვანია. თუკი ადგილობრივ მოსახლეობას „საკუთრების“ გრძნობა არ აქვს, ის არ გაუფრთხილდება გარეულ ცხოველს, რომელიც თითქოსდა არავის ეკუთვნის, სინამდვილეში კი ის ყველას „საკუთრებაა“ და მასზე ყველა უნდა ზრუნავდეს. სწორედ ასეთი დამოკიდებულება უნდა გაჩნდეს. მხოლოდ მაშინ მიიღება კონსერვაციული ეფექტი. მაგრამ, თუ სატროფეო ნადირობა, მაგალითად, რომელიმე მსხვილი კომპანიის ხელში მოხვდა და ადგილობრივმა მოსახლეობამ (იგულისხმება მთელი თემი) არ მიიღო შემოსავალი, ასეთ სატროფეო ნადირობას არანაირი ეფექტი არ ექნება და მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს. ადგილობრივი მოსახლეობა, თავის მხრივ, ეცდება, რომ ცხოველი დამატებით მოიპოვოს, რადგან ისინი მათ არ ეკუთვნის და რაც სხვისია, მას სხვა უნდა გაუფრთხილდეს.

საქართველოში სატროფეო ნადირობა არ არის გავრცელებული, თუმცა საკმაოდ ხშირია ბრაკონიერობა. სამწუხაროდ, 90-იან წლებში, როდესაც ბრაკონიერობის რიცხვი ძალიან დიდი იყო, ჯიხვებს ვერტმფრენებიდანაც კი ხოცავდნენ – გვინახავს 60-მდე მოკლული ჯიხვი, რომლებსაც მხოლოდ რქები ჰქონდათ მოჭრილი...

ჟურნალ „ლიბერალისა“ და თბილისის ზოოპარკის ერთობლივი პროექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯომბინაცია ბუჩთი და ბოთლი

დედამიწის ზურგზე არ არსებობს ისეთი კეთილშობილი კომბინაცია, როგორიცაა ბურთი და ბოთლი – ბურთი მაინცდამაინც ფეხბურთის და ბოთლი მაინცდამაინც ლუდის. ბავშვობიდან მოყოლებული, ეს კომბინაცია ყველას გვახსოვს და ლუდის ყველა რეკლამაც ფეხბურთის დროს მაქვს ნანახი, ისე რას ავიტკიებდი თავს...

ლევან ბერძენიშვილი

არიან გუნდები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებიან ლუდს. არსებობს ლუდის სახეობა, რომელსაც მხოლოდ ერთი გუნდის გულშემატკივრები სვამენ, განსაკუთრებით კი ერთ კონკრეტულ ქალაქში. საკმარისია მიუნხენში ეს ლუდი შეუკვეთო, რომ „მიუნხენ 1860“-ის ფანები მაშინვე გიცნობენ და ალბათ მოგხვდება კიდეც, იმიტომ რომ ეს „ბაიერნის“ ლუდია. ის ისმევა ბევრი, როდესაც „ბაიერნი“ იგებს და ორჯერ მეტი, როდესაც გუნდი აგებს.

რატომ არის ფეხბურთი და ლუდი ასე დამეგობრებული? რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ამ სასმელის იმ რაოდენობით მიღება, როდესაც ლუდის მოყვარული მამაკაცები და ქალები ფესტივალზე 30 ლიტრამდე სითხეს სვამენ. ჩვეულებრივ ლუდის ის რაოდენობა, რაც ადამიანმა თამაშის დროს შეიძლება დალიოს, ტვინის ფუნქციების განსაკუთრებულ გააქტიურებას იწვევს, სწორედ იმ ფუნქციების, რომელიც გამომგონებლობაზეა პასუხისმგებელი. ამ დროს, ერთი მხრივ, მუხრუჭდება ოპერატიული მეხსიერება, მეორე მხრივ კი, ვითარდება წარმოსახვა.

ლუდი გვეხმარება დავინახოთ კომბინაციები. რატომ? იმიტომ, რომ შენელებულად ვაზროვნებთ და ვხვდებით პასის გენიალობას. როდესაც ოპერატიულად აზროვნებ, მთავარია, ვინ მიიღო ბურთი, სად დაარტყა და გავიდა თუ არა გოლი, მაგრამ ლუდით დაყოვნებული აზროვნებისას, შენ ხედავ, რომ პასი ზუსტად იქ გაკეთდა, სადაც საჭირო იყო და აღფრთოვანებაში მოდიხარ იმით, რაც ფეხბურთის გაცილებით ღრმა ნაწილია, ვიდრე გოლი.

წარმოიდგინეთ, ფეხბურთი ეს არის ფინტი, ბურთის ფეხებს შორის გატარება, გონებამახვილური პასი, სიჩქარისა და ტრაექტორიის გამოცნობა, მოედნის ხედვა, როდესაც მარჯვნივ ვითარდება შეტევა და ბურთი მარცხენა ფლანგზე, ზუსტად იქ გადაგაქვს, სადაც იცი, რომ შენი თანაგუნდელი სამ ფეხბურთელს ერთად მოატყუებს, ბოლოსდაბოლოს ფეხბურთი უბურთოდ თამაშია. სვამ ლუდს და ისეთი დეტალები ხდება შენთვის გასაგები, თითქმის ფეხბურთელის დონეზე გესმის ფეხბურთი.

ამბობენ, სასმელი ჯანმრთელობისთვის საზიანოაო. მოდი შევთანხმდეთ, არაერთი რამ არის ცუდი და საზიანო, მათ შორის სექსი 50 წლის შემდეგ. რა ვქნათ?! არც გალაკტიონის მამა იყო ახალგაზრდა და ბავშვის დაბადებასაც ვერ მოესწრო. როგორ მოვქცეულიყავით, იმის გამო, რომ თეორეტიკოსებმა გვითხრეს, ესა და ეს მავნეაო, გალაკტიონზე გვეთქვა უარი?!

ლუდს საგულშემატკივრო თვალსაზრისით ვგულშემატკივრობ – არ ვემხრობი მის უაზრო, ყოველდღიურ სმას, მაგრამ დღევანდელ სამყაროში, რომელიც სპორტული გადაცემებითაა სავსე, ვერ წარმომიდგენია ან რატომ უნდა წარმოვიდგინო, რომ ფეხბურთს უყურებდე და ლუდი გვერდით არ გედგას?! კი ბატონო, უნივრო ხაშიც არსებობს, ადამიანები იმიზეზებენ შეხვედრაზე წასვლას და ა.შ. სწორია, თუ შეხვედრაზე მიდიხარ, ნიორი არ გინდა. თუმცა როცა არც ნიორია, არც ჭაჭა და არც თონის პური, მაშინ ეს ხაში ხაში არ არის. ხაში კულტურული ფენომენია.

ფეხბურთიც ადამიანის მიერ გამოგონილი კულტურული ფენომენია გამოგონილი ლუდის ქვეყანაში, ქვეყანაში, სადაც ფეხბურთს არავინ უყურებს სახლში. ინგლისი და ადამიანმა ფეხბურთს სახლში უყუროს?! პაბში რომ ფეხბურთს უყურებენ, ყურებაც მასეთი უნდა – სვამენ ლუდს და ეს საოცრად ბუნებრივი კომბინაციაა.

ზოგიერთ ქვეყანაში სტადიონზე ლუდის დალევა აკრძალულია, ზოგან ნებადართული. ფეხბურთისგან ლუდის მოშორება არაფერს მოგვცემს. კულტურა, ფეხბურთის საყურებლად ლუდხანაში რომ მივდივართ, მაღალი კულტურაა. ასეთ დროს ჩვენთან ჩხუბი და გაუგებრობა არ ხდება, მაგ მხრივ საქართველო ხომ „ბედნიერი“ ქვეყანაა – მივდივართ კლუბში, სადაც ყველა ერთი გუნდის ან ნაკრების გულშემატკივარია. კი ბატონო, გვიკამათია, მაგრამ ბრაზილიის და არგენტინის ნაკრებების გამო ქართველებს ერთმანეთი არ დაგვიხოცავს. ლუდის გარეშე ეს ამბავი არ იქნება.

ადამიანებს შეიძლება მიაწოდო წმინდა სამეცნიერო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ლუდი კი არა, ფეხბურთიც კი მავნებელია. სასარგებლოა თეატრი – გადაიხდი ფულს, ნახავ სპექტაკლს, მიიღებ სიამოვნებას. თუ მსახიობებმა ვერ ითამაშეს, შექსპირის ტექსტი, მხატვრობა, მუსიკალური გაფორმება მაინც იქნება კარგი. ფეხბურთის საყურებლად კიდევ მიდიხარ და ფულს იხდი რისთვის? იმისთვის რომ ინფარქტით წამოგიღონ სახლში ან, პირიქით, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ადამიანი იყო. ამაში ლუდი გვეხმარება, გვეხმარება, რომ შევჩერდეთ წამზე, ზუსტად ისე, როგორც გოეთესთან – „შეყოვნდი წამო, მშვენიერი ხარ“. ლუდი აყოვნებს მშვენიერებას და გაფიქსირებინებს მას.

1981 წელს თბილისის „დინამოს“ გამარჯვება კიდევ ერთი ამბით იყო გამორჩეული – გამოჩნდა თაობა, რომელმაც ამ გამარჯვების აღსანიშნავად ლუდი დალია. მე მაშინაც ძველ თაობას წარმოვადგენდი და ღვინო მქონდა. მაგრამ მეზობლად ლუდი დავინახე და გამიკვირდა – როგორ, ლუდით აპირებენ გამარჯვების დასველებას? არადა, გუნდი პატრიარქმა დალოცა და ოთარს, გაბელიას, ცოდვები შეუნდო. ასეთ ვითარებაში ძველი თაობა ლუდს როგორ დავლევდით?! მაშინ ჩაისახა ამ მეგობრობის ქართული ვერსია.

ფეხბურთი და ლუდი განუყრელ წყვილად რჩებიან. რაც არ უყვარს ფეხბურთს, ერთი მხრივ ეს არის არაყი და გამოთაყვანება, მეორე მხრივ კი, ღვინო, იმ უბრალო მიზეზით, რომ ღვინო თავისკენ ექაჩება მოვლენებს. წარმოიდგინეთ, დედმამიშვილების სადღეგრძელო, თამადა ყურადღებას ითხოვს, ამ დროს კი მსაჯმა ჯარიმა დადო და გოლი შეიძლება გავიდეს. ამ მხრივ ლუდი უპრეტენზიოა, მას არ ვესაუბრებით, როგორც ღვინოს, რომელსაც ვუხსნით – ვიცავთ შენს წესებს!

ლუდი საჩუქარია, და თუ ფეხბურთი თანამედროვე ადამიანის უკანასკნელი, უმაღლესი დონის თამაშია, ლუდი ადამიანთან შეთამაშებული სასმელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ისტორიის მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდი

თბილისის ისტორიის მუზეუმის ნუმიზმატიკური ფონდი 1937 წლიდან არსებობს. ფონდი შედგება როგორც კერძო პირებისაგან შეძენილი ან შემოწირული, ასევე თბილისის ისტორიის მუზეუმისა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ სხვადასხვა წელს ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მონეტებისაგან.

ამ აღმოჩენათა მეშვეობით ნათელი ხდება, თუ როგორი იყო საუკუნეთა მანძილზე ფულადი მიმოქცევა თბილისში და მის ფარგლებს გარეთ, ქალაქის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა და კავშირ-ურთიერთობა გარე სამყაროსთან.

ნუმიზმატიკის ფონდში დაცულია ათას ერთეულზე მეტი ქართული, აღმოსავლური, ევროპული და რუსული ბრინჯაოს, სპილენძისა და ვერცხლის მონეტა და მედალი. მათგან ყველაზე ადრეული ძვ.წ. I საუკუნის რომაული მონეტებია, ყველაზე გვიანდელი კი – XIX საუკუნის I ნახევარში თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტები. გარდა მონეტებისა, ნუმიზმატიკის ფონდი ივსებოდა თბილისელი მოქალაქეებისაგან შესყიდული თუ საჩუქრად გადმოცემული მემორიალური მედლებით, ორდენებითა თუ სამკერდე ნიშნებით.

თბილისის სავაჭრო ზედამხედველის ნიშანი, 1870 წ. ლითონი.

თბილისელი მეეზოვის ჟეტონი,
XX ს-ის დასაწყისი, ლითონი

სასანური დრაქმა, ხოსრო I, 531-579 წწ., ვერცხლი,
წონა 3.21 გრ, დიამეტრი - 30 მმ.

რუსულ-ქართული 2-აბაზიანი 1806 წ. ვერცხლი,
წონა 6.33გრ, დიამეტრი 23 მმ.

თბილისის რაბინის ლუქის საბეჭდავი,
XIX ს., სპილენძი.

დავით სარაჯიშვილის ლუქის საბეჭდავი, XIX ს-ის II ნახ.,სპილენძი, ხე.



კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა II ყრილობის დელეგატის სამკერდე ნიშანი, 1913 წ., ქსოვილი, ლითონი.

თბილისის საქალაქო შემფასებლის ნიშანი,
1870 წ. ვერცხლი, წონა 157 გრ, დიამეტრი 93 - 67 მმ.

ერეკლე II-ს ბისტიანი 1765-66 წწ., სპილენძი.

შაჰ ჰუსეინის თბილური აბაზი, 1718-19 წწ, ვერცხლი, წონა 5.30 გრ, დიამეტრი 23 მმ.

საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ჟურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალისა და მუსიკის სუინელი

კლასიკური მუსიკის შემსრულებელთა შორის, ალბათ ძნელად მოიძებნება ათწლეულობით გამყარებული სტერეოტიპების მსხვრევის უკეთესი მაგალითი, ვიდრე მარია კალასია. როდესაც 1952 წლის შემოდგომაზე მრავლის მნახველმა და განებივრებულმა მილანელებმა „ლა სკალას" სცენაზე გამხდარი და გალამაზებული მარია კალასი იხილეს, მათ გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა. ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ სცენაზე მდგომი დივა რამდენიმე თვის წინ დაახლოებით 104 კილოგრამს იწონიდა და საკმაოდ შეუხედავი იყო. უმკაცრესი დიეტებით, დისციპლინითა და მუდმივი ვარჯიშით კალასმა საკუთარი სხეულიც დაახლოებით ისევე გაწვრთნა, როგორც დაუვიწყარი, ყველასგან გამორჩეული ხმა. ცხადია, ეს დიდ სიყვარულთან იყო დაკავშირებული, რისთვისაც მან არანაკლებ დიდი მსხვერპლი გაიღო.

დავით ბუხრიკიძე

■ ტაბლოიდებმა, მუსიკის მენეჯერებმა, სატელევიზიო რეკლამამ თუ ცნობილი ფილარმონიებისა და საოპერო თეატრების დირექტორებმა თითქოს თავიანთი ხელით გამოძერწეს ახალი დროის კლასიკოს-შემსრულებელთა იმიჯი, რომლის მიღება-მორგება იოლი სულაც არ აღმოჩნდა. ამგვარი სასტიკი „თამაშის წესების" მიღმა დარჩენილებს მუსიკალური კარიერა შესაძლოა საერთოდ დაენგრეთ კიდეც.

ამგვარი „მსხვერპლი" კლასიკური მუსიკის სფეროში წესით სავალდებულო სულაც არ არის, თუმცა, როგორც ფაქტები მოწმობენ, ხაზგასმული ორიგინალურობა, ექსცენტრულობა და გამორჩეული სექსუალური იმიჯი საკონცერტო სცენასა და მის მიღმა (ისევე როგორც, მედიაში აუცილებელი გამოჩენა) მათი წარმატების განუყოფელი ნაწილია. ტაბლოიდებმა, მუსიკის მენეჯერებმა, სატელევიზიო რეკლამამ თუ ცნობილი ფილარმონიებისა და საოპერო თეატრების დირექტორებმა თითქოს თავიანთი ხელით გამოძერწეს ახალი დროის კლასიკოს-შემსრულებელთა იმიჯი, რომლის მიღება-მორგება იოლი სულაც არ აღმოჩნდა. ამგვარი სასტიკი „თამაშის წესების" მიღმა დარჩენილებს მუსიკალური კარიერა შესაძლოა საერთოდ დაენგრეთ კიდეც.

21-ე საუკუნის დასაწყისში ზალცბურგის საოპერო ფესტივალზე ცნობილი რუსი სოპრანოს, ანა ნეტრებკოს სენსაციურმა დებიუტმა და სექსუალურმა იმიჯმა (დონა ანას პარტია „დონ ჟუანში" და ვიოლეტა „ტრავიატაში") პუბლიკა და კრიტიკაც საამოდ მონუსხა, ხოლო საოპერო თეატრების მენეჯერები აშკარად და პროვოკაციულად წაახალისა. დღეს სექსუალური იმიჯი, ელეგანტურობა, ფორმა, რაღაც უცნაურ, ზოგჯერ საეჭვო წვეულებაზე მილიონერებთან გამოჩენა და გარკვეულწილად სითავხედეც საოპერო დივების ცხოვრების სტილის განუყოფელი ნაწილი გახდა. თუმცა ოპონენტები ისევ კალასს გაიხსენებენ, რომელიც სწორედ ახირებული მილიარდერის, არისტოტელე ონანისის გვერდით იყო და მას შემოქმედება და ცხოვრება შესწირა.

სხვათა შორის, უცხოურ მედიაში უკვე დამკვიდრდა საოპერო მომღერლების გარეგნობით შეფასების სახიფათო ტენდენცია და ამ შეფასებით მსოფლიოს ულამაზეს მომღერალთა ტოპათეულში ორი ქართველ მომღერალიც მოხვდა – სოპრანო ნინო მაჩაიძე და მეცოსოპრანო ნინო სურგულაძე... ცხადია, არა მარტო სილამაზის, არამედ, პირველ რიგში, მათი ნიჭისა და ტალანტის გათვალისწინებით. მაგრამ დასაფიქრებელია, რომ, მაგალითად, შეუდარებელი და ხავერდოვანი ხმის მქონე ფინელი დრამატული სოპრანო კარიტა მატილა, რომელიც ვერდის ოპერების საუკეთესო შემსრულებლად ითვლება ან ლიტველი სოპრანო ვიოლეტა ურმანა, მხოლოდ იმიტომ არ ჩნდებიან ხშირად ტელეეკრანზე და არ იწვევენ მათ სპექტაკლებში, რომ ისინი მოძველებულ საოპერო დივებს უფრო ჰგვანან; დაახლოებით ისეთებს, ფელინი რომ აშარჟებს ცნობილ ფილმში „და მიცურავს გემი": დიდი ბიუსტით, ჭარბი წონით, შენელებული რეაქციებით და რაღაცნაირი, იმპოზანტური გაბღენძილობითა თუ აკადემიური სიმორცხვით.

კიდევ ბევრი ფაქტის გახსენება შეიძლება, როცა მოდას, ახირებას და სექსუალურ იმიჯს ნიჭიერი მუსიკოსი ეწირება. მაგალითად, ვაგნერისა და რიჰარდ შტრაუსის ოპერების ერთ-ერთ ბრწყინვალე შემსრულებელს, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენის" გამორჩეულ სოლისტს, დებორა ვოიტს ოპერის დირექციამ ფაქტობრივად ჭარბი წონის გამო რამდენიმე წლით სცენაზე გამოსვლა აუკრძალა, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან დაახლოებით 40 კილოგრამი დაიკლო, ეღირსა სცენაზე დაბრუნება. საბედნიეროდ, არსებობს

ჩამწერი სტუდიები და კლასიკური მუსიკის რადიოსადგურები, სადაც „უიმედოდ უიმიჯო“ და კარგ მომღერლებს წარმატების შანსი აქვთ. მაგრამ სატელევიზიო შოუს, სცენასა და პირდაპირ ეთერს მაინც სულ სხვა ხიბლი და გავლენა აქვს მსმენელზე.

სუფრასთან ყოჩაღი და არაშესატყვისად ამბიციური ქართველი მამაკაცებისგან განსხვავებით, მომღერალ ქალებს აშკარად დიდი წარმატება აქვთ. ამაზე არა მხოლოდ ზემოაღნიშნული გამოკითხვა მეტყველებს, არამედ მათი შთამბეჭდავი წარმატება მსოფლიოს უდიდეს საოპერო სცენებზე: ულამაზესი ლირიკული სოპრანო ნინო მაჩაიძე („ოპერის ანჯელინა ჯოლი“, როგორც მას პრესაში უწოდეს); სექსუალური და უდავოდ არტისტული მეცოსოპრანო ნინო სურგულაძე; კარმენისა და დალილას პარტიების ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი, ანიტა რაჭველიშვილი; ახალგაზრდა და ასევე ძალიან წარმატებული მეცო-სოპრანო ქეთევან ქემოკლიძე; თავისი განცხადებების გამო ლამის სკანდალურად შერაცხული, ლირიკული და ლამაზი ხმის მქონე თამარ ივერი; ნამდვილი „ვერდიანელი“, შედარებით გამოცდილი და უძლიერესი ხმის მქონე დრამატული სოპრანო იანო თამარი (ალიბეგაშვილი), რომლის აბიგაილი ვერდის „ნაბუქოში“ კრიტიკოსებმა ლეგენდარულ ბულგარელ სოპრანოს, გენა დიმიტროვას შეადარეს...

ნინო სურგულაძე

ანიტა რაჭველიშვილი

ნინო სურგულაძე, უკვე ნამდვილი საოპერო ვარსკვლავია, რომელიც, სხვათა შორის, ჯერ კიდევ ბავშვობაში გახდა ვარსკვლავი ფილმებით „მეტიჩარა“ და „ვალსი პეჩორაზე“. განსაკუთრებულმა ნიჭმა და არტისტულობამ მას არაერთი ჯილდო მოუტანა კინოსა და საოპერო სცენაზე. თუმცა ნინოს კარიერაში სრულიად განსაკუთრებული იყო „რიგოლეტოს“ კინოვერსია, რომელიც ცნობილმა რეჟისორმა მარკო ბელოკიომ გადაიღო, და რომელიც 149 ქვეყნის პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. მაშინ ნინომ პირველად იმღერა მადალენას პატარა პარტია პლასიდო დომინგოსთან ერთად.

სხვათა შორის, დომინგო ტენორის პარტიებიდან ბარიტონალურ პარტიებზე გადავიდა და პირველად იმღერა რიგოლეტო. გადაღება მანტუაში მიმდინარეობდა, სწორედ იმ სასახლეში, რომელიც სინამდვილეში ამ ნაწარმოების პროტოტიპს, მანტუის ჰერცოგს ეკუთვნოდა.

ცხადია, როგორც ყველა მეცოსოპრანო, ნინოც ოცნებობდა ემღერა კარმენი – სექსუალური, დაუმორჩილებელი, თავისუფალი, ცოტა ჯიუტი და ცოტა თავხედიც, რაც ახლოა მის არტისტულ იმიჯთან. და ეს ნატვრა უკვე აისრულა. „ჩემთვის ეს არის ცხოვრების როლი, „კარმენი“ ყოველთვის დარჩება აქტუალური, ყოველთვის იქნება თანამედროვე. როდესაც ამ პარტიას ვმღერი, ყოველ შესრულებას რაღაც ახალი ემატება ისე, რომ ვცდილობ არ დავარღვიო ამ პარტიის მუსიკალური სქემა. ურთულესი როლია, ემოციურად ფსიქოლოგიურად, არტისტული თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია ხმის შეფერილობა, თუნდაც რეჩიტატივების დროს, რადგან სწორედ აქ ჩანს კარგად კარმენის ხასიათი“, – ამბობს ნინო სურგულაძე, რომელმაც უკვე დაიპყრო „მეტროპოლიტენი“ (ისევ მადალენას პარტიით) და იმღერა ფენენას პარტია ვერდის „ნაბუქოში“. უკვე „არენა დი ვერონას“ სახელოვან ღია სცენა-

ქეთევან ქემოკლიძე

ნინო მაჩაიძე

ზე, განახლებულ და მოდერნისტულ დადგმაში.

და მაინც, ისაუბრო „კარმენზე“ და არ ახსენო ანიტა რაჭველიშვილი, ეს დაახლოებით იგივეა, ჩემპიონთა ლიგის მატჩები „რეალისა“ ან „ბარსელონას“ გარეშე მიმოიხილო. მისი ტრიუმფალური კარიერა ფაქტობრივად 2009 წლის 7 დეკემბერს დაიწყო, როცა სრულად ახალგაზრდამ კარმენი „ლა სკალას“ სცენაზე, სეზონის გახსნაზე ცნობილ გერმანელ ტენორთან, იონას კაუფმანთან ერთად იმღერა, მაესტრო დანიელ ბარენბოიმის დირიჟორობით.

უკვე 29 წლის ასაკში ქართველი მეცოსპრანო კარიერის იმ საფეხურზეა, როცა სანერვიულო აღარაფერია. კონტრაქტები მსოფლიოს ლამის ყველა ცნობილ საოპერო თეატრთან გააფორმა და შემოქმედებითი კალენდარი 2019 წლის ჩათვლით შევსებული აქვს; კარმენი, დალილა და ამნერისი – არაერთხელ შესრულებული, მიზნები – ნათელი, შემოქმედება და ცხოვრება – ჯაზივით თავისუფალი და ვნებით დატვირთული. მით უმეტეს, რომ იტალიელ მეუღლეს, რომელიც ასევე მომღერალია, გაეყარა და ახლა ისინი კარგი მეგობრები არიან. გარდა ამისა, ანიტა ხშირად მონაწილეობს საქველმოქმედო კონცერტებში და ყოველთვის გვერდში უდგას ლამის კატასტროფული პრობლემების მქონე ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრს, მის დირიჟორს, ნიკოლოზ რაჭველს.

მიუხედავად იმისა, რომ ანიტას ნამდვილად აქვს სცენური ქარიზმა და ბუნებრივი სექსუალობაც (რის გამოც მას თავნება კარმენს და ზვიად, ამპარტავან მეფის ასულს, ამნერისს ადარებენ), მისი ცხოვრება სინამდვილეში ოცნება ახდენილ კონკიას მითს უფრო ჰგავს – გლდანში მცხოვრები გოგონა ზოგჯერ ფეხითაც კი მიდიოდა კონსერვატორიაში. მის მშობლებს სწავლის ფული არ ჰქონდათ. ამიტომ ყველაფერი გაყიდეს და ბინა ბანკში ჩადეს, რათა ანიტა სასწავლებლად იტალიაში გაეშვათ. მართალია, ზღაპარი სექსუალურ და გამრჯე კონკიაზე ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მას უკვე ბედნიერი ფინალი უჩანს. ანიტა კი ამასობაში ხან ბერლინში მღერის (ლუბაშა რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლეში“, დიმიტრი ჩერნიაკოვის დადგმა), ხან „მეტროპოლიტენში“ („კარმენი“, რეჟისორი ემა დანტე), ხანაც პიანისტ დათო ალადაშვილთან ერთად – რუსულ რომანსებს.

ვიდრე ანიტა რაჭველიშვილი და ნინო სურგულაძე კარმენის სექსუალურ იმიჯს განსხვავებული კუთხით აითვისებენ, კიდევ ერთი ქართველი მეცოსოპრანო, შესანიშნავი პედაგოგისა და დახვეწილი მუსიკოსის, გულიკო კარიაულის მოწაფე, ქეთევან ქემოკლიძე ჯოაკინო როსინის ურთულესი ოპერების ლაბირინთში იკვალავს გზას. უცხოური პრესის შეფასებით, მისი მსუბუქი და საოცრად ტექნიკური ხმა იოლად უმკლავდება როზინას „სევილიელი დალაქის“ და „კონკიას“ ურთულეს არიებს. ცოტა ხნის წინ, 2015 წლის ზამთარში კი ვარშავის საოპერო თეატრში ელისაბედის პარტია იმღერა გაეტანო დონიცეტის ოპერაში „მარია სტიუარტი“. როსინი, დონიცეტი, ვერდი, გუნო... რამდენადაც მრავალფეროვანია მისი რეპერტუარი, მით უფრო ვრცელია საოპერო თეატრების ნუსხა, სადაც მისი ნახვა და მოსმენა სურთ.

ხატია ბუნიათიშვილი

■ პიანისტის მანერულობამ და გამორჩეულმა არტისტიზმმა გაგრძელება მის გამორჩეულ მაკიაჟში, გარდერობსა და 50-იანი წლების სექსუალურ იმიჯში ჰპოვა. როდესაც ხატია ბუნიათიშვილი სცენაზე გამოდის, გეგონებათ შავთმიანი მონროს აჩრდილი დალანდეთ, ან ლოლიტა ტორესი გაცოცხლდა თავისი შემოტმანსილი კაბებით. რა შთაგონებითაც არ უნდა უკრავდეს გრიგის ან შოპენის საფორტეპიანო კონცერტს, ზურგზე ამოჭრილი კაბით, გონება მაინც სხვა რამისკენ გაგირბით.

მიუხედავად დიდი წარმატებისა და პლასიდო დომინგოს მხრიდან გამორჩეული ყურადღებისა (რამდენჯერმე მან საკუთარი თვითმფრინავით ჩააფრინა ქართველი მომღერალი იტალიასა და ესპანეთში გასტროლებზე), ქეთევან ქემოკლიძე გაცილებით მოკრძალებულია ცხოვრებაში. არც სოციალურ ქსელებში ჩნდება ხშირად და არც მედიის ყურადღების ცენტრში ყოფნა ანიჭებს სიამოვნებას. და საერთოდ, საკმაოდ თავშეკავებული ადამიანია.

სამაგიეროდ, მხიარული და არცთუ სიტყვაძუნწია „ოპერის ანჯელინა ჯოლი“ – ულამაზესი გარეგნობის ლირიკული სოპრანო, ნინო მაჩაიძე. ის ჯერ თბილისის კონსერვატორიაში, ტენორ თეიმურაზ გუგუშვილთან სწავლობდა, შემდეგ კი – იტალიაში. 2008 წლის აგვისტოში, სწორედ იმ დროს, როცა რუსეთმა საქართველოში საომარი აგრესია განახორციელა, ზალცბურგის საოპერო ფესტივალზე ნინო მაჩაიძის დებიუტი შედგა. მან ჯულიეტას პარტიაში (შარლ გუნოს ოპერა „რომეო და ჯულიეტა“, რომელიც ერთ თვეში მოამზადა) ფეხმძიმე ანა ნეტრებკო შეცვალა და პრესის და ფესტივალის დირექციის დიდი სიმპათია დაიმსახურა.

ანიტა რაჭველიშვილის მსგავსად, ნინოსაც ლამის ზღაპრული დებიუტი ჰქონდა და ძალიან მალე ნამდვილ ვარსკვლავად იქცა. უკვე რამდენიმე წელია მღერის „სკალაში“, ვენაში, ზალცბურგში, პრაღაში. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ანა ნეტრებკოს ადარებენ, სულ ამბობს, რომ არ სურს ვინმეს ჩრდილი იყოს და საკუთარი თავის სჯერა. არც გაემტყუნება – ლამაზია, ნიჭიერი, მხიარული და წარმატებული. ჰყავს იტალიელი მეუღლე, რომელიც ასევე ოპერის მომღერალია – გვიდო ლაკონსოლო და 3 წლის ვაჟი ალექსანდრე (ალესანდრო). ასე რომ, ნინოს პირადი, მყუდრო ცხოვრება და შემოქმედება შორსაა ინრტიგებისა და კამერებისგან, თუმცა ანჯელინა ჯოლისთან შედარებაზე მას მხოლოდ ეცინება – „დაე, ასე იყოს, თუ ჟურნალისტებს უნდათ“.

თუ საოპერო მომღერლების იმიჯი ასე თუ ისე დაკავშირებულია პოპულარობასთან, წარმატებასთან, სცენასთან, სექსუალობასთან და გარკვეულ პოლიტიკურ ინტრიგებთანაც კი (რუსულ პრესაში ანა ნეტრებკოს მთლად პუტინისა და დირიჟორ ვალერი გერგიევის ახლო მეგობრად მოიხსენებენ), პიანისტებსა და ინსტრუმენტული მუსიკის შემსრულებლებს მსგავსი რამ თითქოს ნაკლებად უნდა ეხებოდეთ. არადა, პიანისტ ხატია ბუნიათიშვილის სექსუალური იმიჯი, გაბედულება და სითამამე სწორედ რომ ყველა სტერეოტიპს ამსხვრევს.

პიანისტი, რომლის პოლიტიკური განცხადებები, სითამამე, ორიგინალობა, გამომწვევი ჩაცმულობა, ქცევა, დაკვრის სტილი კარგა ხანია გასცდა შოპენისა და ლისტის ფარგლებს, უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მთელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ ლიზა ბათიაშვილი ჯერ ახალგაზრდაა, მისი სახელი მხოლოდ კარგი ხარისხის მუსიკასთან და პერფექციონისტულ დაკვრასთან ასოცირდება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მას მსოფლიოში იცნობენ როგორც ღრმა და მგრძნობიარე მუსიკოსს.

ლიზა ბათიაშვილი

ევროპაში. ხატია რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია და დიდი ხანია გააფორმა კონტრაქტი Sony Classical-თან.

პიანისტის მანერულობამ და გამორჩეულმა არტისტიზმმა გაგრძელება მის გამორჩეულ მაკიაჟში, გარდერობსა და 50-იანი წლების სექსუალურ იმიჯში ჰპოვა. როდესაც ხატია ბუნიათიშვილი სცენაზე გამოდის, გეგონებათ შავთმიანი მონროს აჩრდილი დალანდეთ, ან ლოლიტა ტორესი გაცოცხლდა თავისი შემოტმანსილი კაბებით. რა შთაგონებითაც არ უნდა უკრავდეს გრიგის ან შოპენის საფორტეპიანო კონცერტს, ზურგზე ამოჭრილი კაბით, გონება მაინც სხვა რამისკენ გაგირბით.

დაახლოებით 10-15 წუთის შემდეგ ისევ ჭაღარათმიანი მარტა არგერიხისა და სპეციფიკური მანერის მქონე მიცუკო უშიდას მოსმენა გინდებათ. არა იმიტომ, რომ ხატია ცუდად უკრავს, არამედ იმიტომ, რომ ეს აშკარად რაღაც სხვა ფლუიდია თუ სხვა სეანსია... როგორც მაგალითად, რეზინის ბოტებსა და სარაფანში გამოწყობილი ბუნიათიშვილი უკრავს შუბერტს სადღაც, ბერლინის ტყეში (ეს უკვე შვეიცარიული ტელეარხის, 3 Sat-ის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია).

სადაც ხატია ბუნიათიშვილია, იქ "ნაციონალური მოძრაობის" „კლასიკური ფრთა" და მელომანებიც ალბათ შესანიშნავ მევიოლინეს, ლიზა ბათიაშვილის დაკვრასაც გაიხსენებენ. სხვათა შორის, ორი წლის წინ ხატია ბუნიათიშვილმა და ლიზა ბათიაშვილმა წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში ერთობლივი კონცერტი გამართეს, რომელსაც მაშინ "ნაციონალური მოძრაობა" ლამის სრული შემადგენლობით ესწრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ლიზა ბათიაშვილი ჯერ ახალგაზრდაა, მისი სახელი მხოლოდ კარგი ხარისხის მუსიკასთან და პერფექციონისტულ დაკვრასთან ასოცირდება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მას მსოფლიოში იცნობენ როგორც ღრმა და მგრძნობიარე მუსიკოსს.

„როცა პროკოფიევს და შოსტაკოვიჩს ვუკრავ, რა თქმა უნდა, ეს არის პირდაპირი კავშირი ჩვენს საბჭოთა ცხოვრებასთან და ადამიანებთან, რომლებმაც ეს რეჟიმი განიცადეს. ეს ჩემთვის უფრო ადვილია, რადგან საბჭოეთი ჯერ კიდევ მახსოვს. რაც შეეხება კლასიკურ რეპერტუარს – ბრამსი, ბეთჰოვენი, მათი შექმნილი მუსიკა იმ ფერების, გრძნობების მატარებელია, რომელიც ჩვენში ისედაც არის. ყველაზე დიდ სირთულეს მუსიკოსისთვის წარმოადგენს ის, რომ სწორედ სცენაზე, მსმენელის წინაშე შეძლოს იმის წარმოჩენა, რისი თქმაც სურდა... მთავარია არა ის, რომ სტრადივარიუსის ვიოლინო გეჭიროს, არამედ ის, რომ საკუთარი ხმა იპოვო", – ამბობს მომხიბვლელი ლიზა ბათიაშვილი New York Times-თან ინტერვიუში და მისი მოსმენის შემდეგ რწმუნდებით, რომ მისთვის მთავარია მუსიკა და არა „დამხმარე ტექნოლოგიები".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

CELEBRATING

130 years

CONGRATULATIONS

Years

ANNIVERSARY

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეჩნახული თამაშები

იძახე შენ, გლობალიზაციაო და „ესესესერი“ რათ დაიშალაო და საერთოდ კიდევ სამიათას შვიდასი რამე, მაგრამ ისეთ ადამიანებს, ვისაც ძველად ფეხბურთი უყვარდა და ახლა ეს ფეხბურთი, თუნდაც შეცვლილი, თუნდაც ისეთი არა, როგორიც ეგონა, რომ იქნებოდა, კიდევ უყვარს და კვლავაც უფრო საინტერესოდ უჩანს, ვიდრე რაიმე, თუნდაც პირველი რიგისად აღიარებული, იმათთვის ინტერნეტის დროება მისწრებაა.

გიო ახვლედიანი

საბჭოთა კავშირში ისე იყო, რომ საერთაშორისო ფეხბურთის ყურება მეტად ჭირდა, თუ მოთამაშე გუნდთაგან ერთ-ერთი საბჭოთა არ იყო. პანტიანობა და რამ ასეთები, თეთრიწყარო, ლენინაკანი ან რამე სხვა, გვიანდელი ამბავია, ოთხმოციანების. ოფიციალურად კი, ასე იყო – მხოლოდ იმათი ხილვა, ვისაც ეთამაშებიან სსრკ ჩემპიონატის გუნდები.

ფრაგმენტები, მერე და მერე, მოზრდილი ფრაგმენტები დავით ქლიბაძის გადაცემებში ალბათ პირადად ჩვენი საჩუქარი იყო. სხვა რესპუბლიკების ხალხთაგან არ გამიგონია, ჩვენც გვქონდა ასეთი გადაცემებიო, მაგრამ აბა, თამაშების ცქერას ვინ გაჩუქებდა. უკვე 1984 წელი იყო, ანდროპოვ-ჩერნენკოს დროება და ევროპის ჩემპიონატიც არ აჩვენეს ადამიანურად. მხოლოდ ნახევარფინალები და ფინალი. საუკეთესო ევროპის ჩემპიონატი, თავისი პლატინის ცხრა გოლით ხუთ თამაშში, გასაოცარი დანიით და ფრანგთაგან დამტვრეული ალან სიმონსენით, შალანას და ჟორდაოს პორტუგალიით, ესპანელებით და რა ვიცი, რით აღარ.

საერთოდ, ევროპის ჩემპიონატებს შემოსწყრნენ რატომღაც. წინა, ოთხმოცი წლისა, საერთოდ არ აჩვენეს. მანამდე კიდევ ის პანენკას პენალტის ამბავი იყო. არ აჩვენებდნენ, თითქმის იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი ვერ ხვდებოდა ფინალურ ეტაპზე 1972 წლის შემდეგ, გერმანიამ რომ მისცხო 3-0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ჯი-პი-აი ჰოლდინგის" ახალი, ეკომეგობრული შეთავაზება მძღოლებს

გყავთ ავტომობილი და გაინტერესებთ კონკრეტულად რა ზიანს აყენებთ ამით გარემოს? იმისთვის, რომ გაიგოთ რა მოცულობის ნახშირორჟანგს გამოყოფს თქვენი მანქანა, საკმარისია ვებგვერდ www.ecoist.ge-ზე შეხვიდეთ და კითხვარში ავტომობილის მარკა, მოდელი, ძრავის მოცულობა და გამოშვების წელი მიუთითოთ. თუკი თქვენი ავტომობილი ეკომეგობრული აღმოჩნდება, „ჯი-პი-აი ჰოლდინგში" მისი დაზღვევა სტანდარტულთან შედარებით 20%-ით ნაკლები ტარიფით შეგეძლებათ. გარდა ამისა, მოხვდებით გათამაშებაში, რომელში გამარჯვების შემთხვევაში თუ მის გარეშე არაერთი პრიზის მფლობელი შეიძლება გახდეთ.

ეკომეგობრული აქცია მაისის ბოლომდე გაგრძელდება და ყოველი მეათე დაზღვეული სხვადასხვა პრიზს მიიღებს, მათ შორისაა: ეკოტური ამსტერდამში – 2 ადამიანზე, „კლუბ 71"-ის ვაუჩერი, ველოსიპედი, უიქ-ენდი ყაზბეგში, სასტუმრო „რუმსში" და სხვა ეკოპრიზები. თუმცა გამარჯვების გარეშეც დაზღვეულები გარანტირებულად მიიღებენ „სითი პარკის" ერთწლიან ვაუჩერს, „ვაინორის" 50%-იანი ფასდაკლების ბარათს და სხვა საჩუქრებს.

„ჯი-პი-აი ჰოლდინგმა" ახალი ეკოკამპანია ცოტა ხნის წინ წამოიწყო. კამპანია ორი ნაწილისგან შედგება, პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს იმის შესახებ, რამდენად მავნებელი შეიძლება იყოს მათი ავტომობილების მიერ გამოყოფილი ნახშირორჟანგი მათივე ჯანმრთელობისთვის. შემდეგ კი, თუკი მოქალაქეები ძველი ავტომობილების ახალი, უფრო „ეკომეგობრული" ავტომობილით ჩანაცვლებას მოისურვებენ, სადაზღვევო კომპანიის შეღავათიანი ტარიფით ისარგებლებენ. თვისობრივად ახალი ავტოდაზღვევა – ეკოპოლისი სწორედ იმ მანქანებისთვისაა განკუთვნილი, რომლებიც გარემოს ნაკლებად აბინძურებენ.

„ჯი-პი-აი ჰოლდინგის" გენერალური დირექტორის, პაატა ლომაძის თქმით, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია იმისთვის, რომ საზოგადოება და დაინტერესებული მხარეები ამ კუთხით კიდევ უფრო გააქტიურდნენ:

„ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება უფრო მეტად იყოს ინფორმირებული ამ პრობლემების შესახებ. პირველ რიგში, გვსურს, მეტმა მძღოლმა დაიცვას ეკომართვის წესები, რაც მათ საწვავის მინიმუმ 20 %-ით დაზოგვის საშუალებას მისცემს. ამასთან ერთად ვთავაზობთ მართლაც უპრეცედენტო პირობებს იმ სტანდარტის ავტომობილებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ახალია და ნაკლებად აბინძურებს გარემოს", – ამბობს ლომაძე.

„საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის" ერთ-ერთია იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, ვინც „ჯი-პი-აი ჰოლდინგს" პროექტის განხორციელებაში ეხმარება. ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე ეკა ლალიაშვილი მიიჩნევს, რომ კერძო კომპანიის მიერ წამოწყებული ამგვარი ინიციატივა აუცილებლად უნდა გაფართოვდეს, და სასიხარულო იქნება, თუკი ამ წამოწყებას როგორც მთლიანად სადაზღვევო სექტორი, ისე ბიზნესის სხვა წარმომადგენლებიც შემოუერთდებიან.

ორგანიზაციის „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის" დამფუძნებელი გელა კვაშილავა კი ამბობს, რომ კერძო წამოწყებებს ამ ეტაპზე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

„გასაგებია, რომ ყველაფერს სახელმწიფო ვერ გააკეთებს, ამიტომ, რაც უფრო მეტი კერძო ინიციატივა იქნება, მოსახლეობას მეტი ალტერნატივა ექნება, ექნება საშუალება აირჩიოს ის, რაც ნაკლები ზიანის მომტანია. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი მათთვის ინფორმაციის მიწოდება და ამ ტიპის კამპანიები.

საქართველოში ჰაერის დაბინძურებაში 71%-იანი წილი სწორედ ავტომობილების გამონაბოლქვზე მოდის. რაც დიდწილად ავტოპარკის სიძველითაა გამოწვეული. ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოტრანსპორტის მხოლოდ 3%-ია 1-დან 5 წლამდე ასაკის. 24% – 6-15 წლის, 26% – 16-20 წლის, 21 წელზე მეტი ასაკის ავტომობილები კი ავტოპარკის 47%-ს შეადგენენ.

ჯიპიაი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი
რეკლამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში ისე იყო, რომ საერთაშორისო ფეხბურთის ყურება მეტად ჭირდა, თუ მოთამაშე გუნდთაგან ერთ-ერთი საბჭოთა არ იყო. პანტიანობა და რამ ასეთები, თეთრი წყარო, ლენინაკანი ან რამე სხვა, გვიანდელი ამბავია, ოთხმოციანების. ოფიციალურად კი, ასე იყო – მხოლოდ იმათი ხილვა, ვისაც ეთამაშებიან სსრკ ჩემპიონატის გუნდები.

მსოფლიო ჩემპიონატები, არგენტინიდან და ესპანეთიდან კარგად და გემრიელად აჩვენეს. საბჭოთა კავშირი არ იყო არგენტინაში, მაგრამ მაინც. მანამდეც არ იყო და მე კი არ დამითვლია და არც მახსოვს, მაგრამ ძველები მეუბნებოდნენ, გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატიდან მხლოდ ცხრა თამაში იყო ტელევიზორშიო.

არ ვიცი სწორია თუ არა, მაგრამ ჰოლანდიის ძველი გულშემატკივრები ასე ამბობდნენ, ამ გუნდისა მხოლოდ ორი თამაში ვნახეთ – ბრაზილიასთან და ფინალიო.

ევროთასების ფინალებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, ისიც მხოლოდ საბჭოთა გუნდების მონაწილეობით. ოდესღაც მოსკოვის „დინამოს“ ეთამაშა „გლაზგოსთან“ და სალაპარაკო იყო, წაგვართვესო, და მერე ჩვენ და ორჯერ კიევი. სხვა სად იყო ასე, რომ „სპარტაკსა“ და „დნეპრს“ ბოლომდე გაეღწიათ. ზოგჯერ უცხოელებთან ჩვენს გასვლით თამაშებსაც არ გადმოსცემდნენ. ხან რა მიზეზი იყო, ხან - რა. „ლივერპული“-„დინამოც“ ხომ არ უჩვენებიათ, გაფიცვაო, თუ რაღაც. იქაო, კაპიტალისტურ სამყაროშიო. იყო ალბათ, აბა ჩვენ ხო არ გავიფიცებოდით.

მოკლედ, ასე კი იყო. რაღაც გოლების „ვრემიაში“ ლოდინი. ისიც იშვიათად. ამ დროს კი რა ხდებოდა. ფეხბურთს მიჰქონდა ქვეყანა. მერე პერესტროიკა რომ დაიწყო, რუსეთის ტელევიზიაში გამოჩნდა „ფუტბოლ ბეზ გრანიც“ და „ნა პუნი კ უემბლი“. ეს უკანასკნელი შთამბეჭდავი და საინტერესო იყო, ინგლისის თასის ფართო მიმოხილვა გახლდათ. მერე კი მოეშვა და მოეშვა და სწორედ ქვეყანა რომ ჩაბნელდა, მაშინ ყოველღამე მაგარი ფეხბურთის ყურება შეიძლებოდა და იმის მერე კი იმატა და იმატა საკაბელოა, თუ რაცაა, იმედია, აღარასდროს შეიცვლება ძველი წესით. ეგ შუქის ნაკლებობის და კაბელთა ნაირსახეობების, მანამდე კი პირველ ტელევიზიათა მიერ მაგარი ფეხბურთების დაჭერა-გადმოცემის ამბავი კიდევ სხვა იყო.

მაგრამ საქმე ისაა, რომ იმ ძველ დროს ძალიან ბევრი და მაგარი ფეხბურთი დაუმალეს ჩვენებურ გულშემატკივრებს. დაუმალეს რა, ვერც ნახავდა ვინმე რამეს ოდესმე, ის დროება რომ დარჩენილიყო, ვერც ძველს და ვერც მიმდინარეს. აგე, რამდენი ქვეყანაა ახლოსაც და შორსაც, რომ ამ შუა ინტერნეტობაში ან გუგლი აქვთ აკრძალული, ან იუთუბი, ან ორივე ერთად, რახან ერთმანეთისგან გამომდინარეობენო და ყოველივეს წერენ და აჩვენებენო.

ჰოდა, იქ კიდევ იმდენი რამეა. ჯერ მარტო ბრაზილიისა და არგენტინის ერთმანეთში თამაშებია იმდენი, ყურებით ვერ გაძღები. უფრო საინტერესო, რაღა უნდა იყოს. ჩესტერტონმა თქვა, ახალი ამბავი ისაა, რომელიც პირველად გესმისო. დაახლოებით ასე თქვა, ჰოდა, დაჯექი და უყურე. იმ დღეს ერთ მშვენიერ „რივერ“-„ბოკასაც“ ვუყურებულ არ იყო კომუნისტების დროის, მაგრამ სამხრეთ ამერიკულს ჩვენთან იმხანადაც ნაკლებად აჩვენებდნენ. იმ დროისა გახლდათ, მსოფლიო თასის დისკვალიფიკაციის შემდეგ მარადონა თამაშს რომ აგრძელებს „ბოკაში“ კლაუდიო კანიხასთან ერთად, „რივერში“ კი ენცო ფრანცესკოლი უფროსობს.

ძალიან საინტერესო იყო.

მოკლედ, რომ არ გავაგრძელო, უამრავი ისეთი თამაშია ამ იუთუბებსა და რამეებში, რომ ვინც ოდესღაც გულნაკლული დარჩენილა, იმათ გვარიანად გაახარებს. ამ უკიდეგანო მასალებში კი ყველა აუცილებლად იპოვის თავის საყვარელ თამაშს. მეც ვიპოვე ასეთი, ინგლისის დაბლა ლიგის ორმოცი წლის წინანდელი ერთი მატჩი: „ფულემი“-„ჰერეფორდი“.

ვითომ ასეთი რა უნდა იყოსო, და ალბათ დიდი არც არაფერი. მასპინძელი სტუმარს უგებს ძველ მეორე დივიზიონში. ოღონდაც „ფულემში“ თამაშობენ ამერიკული შვებულებიდან დროებით საშოვარზე დაბრუნებული ჯორჯ ბესტი და როდნი მარში. იმ დროის ფულემი ისეთი მოდური გუნდი ყოფილა, რომ ყველა განთქმული ვინმე იმის თამაშებზე დაიარებოდა. ნალოთავები, ვარსკვლავობამოლეული ბესტი და მხიარული მარში. ჩვენ არასდროს გვინახავს როდნი მარში. არ მოგვიწია. არც გაგვიგია დიდად. ნამდვილი ისტენდელი, ის დიდი ფეხბურთელი იყო, უცნაურად დარჩენილი მსოფლიო ფეხბურთის მიღმა.

ჰოდა, ეს ორნი თამაშობენ, ბესტი სადად პროფესორობს, მარში კი საერთოდაც დაფრინავს. ისეთი ლაღი თამაშია, რა ვიცი.

მოკლედ, ყველა იპოვის თავის საყვარელ თამაშს, ისეთს, როგორიც შეიძლებოდა ენახა. უკეთესი რა უნდა იყოს. თუ, რა თქმა უნდა, ისევ ისე გიყვარს ფეხბურთი, როგორც მაშინ გიყვარდა, როდესაც მისი ყურების საშუალება არ გქონდა.



აკაკი მორჩილაძე

ასი მილიონი

გიჰვანქა სტეროიდებით შოის

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
პირველი წიგნი

გამომცემლობა „არტანუჯი“

ლიბერალი

არქითაუერ
ჭავჭავაძის N3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ARCHI
არქი ჯგუფი

შენი
ევროპული სახლი

n. 81/48

WWW.ARCHI.GE
2 602 6